განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

ქართული ლიტერატურა 7

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი



მაია ჯალიაშვილი, თინათინ ცერაძე,
ფატი ფირუაშვილი, მაკა სახურია

ქართული ლიტერატურა 7

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

ქართული ლიტერატურა
VII კლასი, I ნაწილი
მოსწავლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორები: მაია ჯალიაშვილი ფატი ფირუაშვილი
თანაავტორი: მაკა სახურია
ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი: თინათინ ცერაძე

სამეცნიერო რეცენზენტები: გია მურღულია, გიორგი გოგოლაშვილი
ფსიქოლოგი-მეთოდისტი: თეონა ლოდია
რედაქტორი: ცისანა ბურჯანაძე
ილუსტრატორები: ხატია აფციაური, ნინი თარგამაძე
დამკაბადონებელი: გურამ ჩხაიძე
ყდის დიზაინერი: ნინო ხვინგია

სახელმძღვანელო განკუთვნილია მეშვიდე კლასის მოსწავლეებისთვის და შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია თვალსაჩინო მასალები ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკიდან, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმიდან.

სახელმძღვანელოში ასევე გამოყენებულია ციფრული ლიცენზირებული პლატფორმებიდან შეძენილი/მოპოვებული ფოტოილუსტრაციები. ზოგიერთი ფოტოილუსტრაცია შექმნილია/დამუშავებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი I და II ნაწილები;
მასწავლებლის წიგნი I და II ნაწილები.

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ISBN 978-9941-8-8905-9

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები - დროშა, გერბი და ჰიმნი



თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომაყალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

მოუსმინეთ ჰიმნს

ლექსი დავით მაღრაძისა
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეკელიძემ



რატომ ვკითხულობთ მხატვრულ ლიტერატურას?

„იყო მკითხველი - ეს სასწაულია“, - ასე ფიქრობს მწერალი გურამ დოჩანაშვილი. მაინც რა ჯადოსნური ძალა აქვს ლიტერატურას, რა სასწაულების მოხდენა შეუძლია?

მოდი, ერთად დავფიქრდეთ, რა ხდება, როდესაც წიგნს გადაშლით, რა ჯადოსნური თავგადასავლები გელოდებათ წინ:

✓ **იმოგზაურებთ დროსა და სივრცეში** - წიგნი ერთადერთი „დროის მანქანაა“, რომელსაც შეუძლია ოთახიდან გაუსვლელად გადაგიყვანოთ სხვადასხვა საუკუნესა და ქვეყანაში: ძველ საბერძნეთში, შუა საუკუნეების ციხესიმაგრეში ან სულაც შორეულ გალაქტიკაში. თქვენ თავად აირჩევთ მოგზაურობის დროსა და ადგილს.

✓ **სრულფასოვნად წარმოაჩენთ საკუთარ თავს** - რაც უფრო მეტს კითხულობთ, მით უფრო ღრმად და საფუძვლიანად ეცნობით მშობლიურ ენას, უფრო მდიდრდება თქვენი სიტყვიერი მარაგი. თქვენ შეძლებთ საკუთარი აზრების უკეთ გამოთქმას, თქვენი ემოციებისა და გრძნობებისთვის ზუსტი სახელების დარქმევას, რაც დაგეხმარებათ მრავალმხრივ გამოხატოთ საკუთარი თავი.

✓ **უკეთ გაუგებთ ადამიანებს** - როცა პერსონაჟთან ერთად განიცდით მის თავგადასავალს, ამით სწავლობთ სამყაროს სხვისი თვალით დანახვას, ადამიანების შეცნობას. ეს დაგეხმარებათ უკეთ გაუგოთ თქვენს მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და სრულიად უცხო ადამიანებსაც კი, რაც გაგიადვილებთ მათთან ურთიერთობას.

✓ **იპოვით საუკეთესო მეგობრებს** - ზოგჯერ წიგნის გმირები უფრო ახლობლები ხდებიან, ვიდრე ნაცნობები. ისინი გასწავლიან ერთგულებას, სიმამაცესა და იმას, რომ წიგნთან დამეგობრებული მარტო არასოდეს დარჩებით თქვენს სირთულეებთან. წიგნის გადაშლისთანავე ისინი თქვენთან გაჩნდებიან და ნებისმიერ დაბრკოლებას გადაგალახვინებენ.

✓ **იცხოვრებთ მრავალი სიცოცხლით** - ადამიანს მხოლოდ ერთი ცხოვრება აქვს, მკითხველს კი - ათასობით. თქვენ შეგიძლიათ თავი იგრძნოთ მეფედ, მეომრად, გამომძიებლად ან ჯადოქრად. ყოველი წიგნი ახალი გამოცდილებაა, რომელიც ძლიერ, თავდაჯერებულ, სამართლიან და გონიერ პიროვნებად გაყალიბებთ.

✓ **გაიმდიდრებთ წარმოსახვას** - კითხვისას თქვენ თავად ხართ „ფილმის“ რეჟისორიც, სცენარისტიც და მხატვარიც: წარმოსახვაში ქმნით პერსონაჟთა სახეებს, მათ ხმებსა და გარემოს. ეს გონების საუკეთესო ვარჯიშიცაა, რომელიც შემოქმედებით უნარებს გაგივითარებთ.

✓ **აღმოაჩენთ საკუთარ თავს** - კითხვისას ხშირად წააწყდებით ფრაზას, რომელიც თქვენს გულსა და სულს ეხმიანება; გრძნობას, რომელსაც თავად განიცდიდით, მაგრამ სიტყვებს ვერ უძებნიდით; პერსონაჟს, რომელიც ზუსტად თქვენსავით იქცევა. ლიტერატურა დაგეხმარებათ უკეთ გაიცნოთ, ალბათ, ყველაზე ამოუცნობი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში - საკუთარი თავი.

✓ **აღმოაჩენთ სამყაროს მშვენიერებას** - მწერლის მიერ ოსტატურად შერჩეულ სიტყვებზე, მხატვრულ ხერხებსა და სახეებზე დაკვირვებით ისწავლით სილამაზის დანახვას ყველგან: წვიმის წვეთებში, შემოდგომის ფოთლების შრიალში, ადამიანის ღიმილში. წიგნის კითხვა დაგიხვეწთ გემოვნებას და დაგეხმარებათ, რომ საკუთარი ცხოვრებაც უფრო ფერადი და ჰარმონიული გახადოთ.

✓ **ისწავლით რთული პრობლემების სხვადასხვა გზით გადაჭრას** - ამაში პერსონაჟები დაგეხმარებიან. მათი წარმატება თუ შეცდომები თქვენთვის თვალსაჩინო გაკვეთილები იქნება. ლიტერატურა გიჩვენებთ სხვადასხვა გამოსავალს რთული სიტუაციებიდან, რაც რეალურ ცხოვრებაში უფრო გონივრულ გადაწყვეტილებებს მიგაღებინებთ.

✓ **გაივარჯიშებთ გონებას** - სოციალური ქსელებისა და გაჯეტების ეპოქაში ადამიანის გონება მიეჩვია ინფორმაციის ზედაპირულ, სწრაფ ცვლას და ყურადღება ხშირად გვეფანტება. წიგნი კი მიგაჩვევთ ერთ საკითხზე დიდხანს ფიქრს. ეს უნარი ძალიან დაგეხმარებათ სწავლასა და ნებისმიერ საქმეში.

✓ **დაამარცხებთ სტრესსა და დაღლილობას** - კარგი ამბავი საუკეთესო წამალია დაღლილობის მოსახსნელად. სულ რაღაც 15-წუთიანი კითხვაც კი საკმარისია, რომ დამშვიდდეთ და ყოველდღიურ საზრუნავს მოსწყდეთ.

გახსოვდეთ: არ არსებობს ადამიანი, რომელსაც კითხვა არ უყვარს - არსებობენ ადამიანები, რომლებსაც, უბრალოდ, ჯერ არ უპოვიათ „თავიანთი“ წიგნი!

როგორ ვიკითხოთ მხატვრული ლიტერატურა?

კითხვა მხოლოდ ინფორმაციის დამახსოვრება არ არის - ეს ავტორსა და პერსონაჟებთან საუბარს ჰგავს. იმისათვის, რომ „საუბარი“ შედეგიანი და ნაყოფიერი იყოს, მნიშვნელოვანია გქონდეთ კითხვის სტრატეგია, ანუ მოქმედების გეგმა.

1. კითხვის დაწყებამდე

• დაფიქრდით, რისთვის კითხულობთ: რაიმეს შესასწავლად, სიამოვნების მისაღებად, გასართობად თუ სხვა მიზნით;

• წინასწარ გადახედეთ, რა უნდა წაიკითხოთ: გაეცანით სათაურს, გადაათვალიერეთ სურათები, წაიკითხეთ ნაწარმოების დასაწყისი, აბზაცების პირველი წინადადებები და შეეცადეთ წინასწარ გამოიცნოთ, რაზე იქნება ნაწარმოები, რათა განეწყოთ კითხვისათვის;

• ჰკითხეთ საკუთარ თავს: „რა წამიკითხავს ამ თემაზე, რა ვიცი მის შესახებ?“

2. კითხვის დროს

• ჩაინიშნეთ თქვენთვის საინტერესო ან ახალი სიტყვები, მხატვრული ხერხები - ყველაფერი, რაც თქვენს ყურადღებას მიიზიდავს;

• დროდადრო შეაჯამეთ წაკითხული: დაფიქრდით, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოცემულ ეპიზოდში. შეეცადეთ წინასწარ ამოიცნოთ, რა მოხდება შემდეგ;

• თუკი ხვდებით, რომ რაღაც ვერ გაიგეთ, შეჩერდით და თავიდან გადაიკითხეთ გაუგებარი მონაკვეთი - კიდევ ერთხელ გაიაზრეთ საკვანძო სიტყვები, ფრაზები, ადგილები;

• „გააცოცხლეთ“ ტექსტი თქვენს წარმოსახვაში: შეეცადეთ წარმოიდგინოთ, როგორ გამოიყურებიან, როგორ მოძრაობენ ან მეტყველებენ პერსონაჟები; როგორია გარემო, სადაც ხდება მოქმედება, რა ფერებია, რა ხმები ისმის.

3. კითხვის შემდეგ

• შეაჯამეთ წაკითხული: თქვით ერთი-ორი წინადადებით, რა იყო ყველაზე მთავარი; რისი თქმა უნდოდა მწერალს;

• დაფიქრდით, ჰგავს თუ არა ეს ნაწარმოები სხვას, რომელიც მანამდე წაგიკითხავთ;

• ჰკითხეთ საკუთარ თავს: „რა მასწავლა ნაწარმოებმა? რომელი პერსონაჟი მომეწონა და რატომ? როგორ შემიძლია გამოვიყენო პერსონაჟის გამოცდილება ჩემს ცხოვრებაში?“

შინაარსი

თავი I. სამშობლო, უპირველეს ყოვლისა! 9

1. ნიკო ლორთქიფანიძე - ლიტერატურული საღამო (ფრაგმენტი) 11
2. გალაკტიონ ტაბიძე - გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! 18
3. ლადო ასათიანი - საქართველოში 25
4. ილია ჭავჭავაძე - ბაზალეთის ტბა 31
5. აკაკი წერეთელი - ხატის წინ 37
6. ანა კალანდაძე - საქართველოო ლამაზო 44

თავი II. ცოდნის გზაზე 53

1. დავით გურამიშვილი - სწავლა მოსწავლეთა 55
2. ილია ჭავჭავაძე - სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე 64
3. დავით კლდიაშვილი - ჩემი ცხოვრების გზაზე (ფრაგმენტი) 76
4. მიხეილ ჯავახიშვილი - ათი მცნება 83
5. გურამ დოჩანაშვილი - პირველი კონცერტი 93

თავი III. ადამიანის არჩევანი 115

1. სულხან-საბა ორბელიანი - იხვი და მყვარი 117
2. სულხან-საბა ორბელიანი - უგუნური მცურავი 122
3. სულხან-საბა ორბელიანი - მეფე და მხატვარი 126
4. აკაკი წერეთელი - ღამურა 130
5. ჭაბუა ამირეჯიბი - დათა თუთაშხია (ფრაგმენტი) 139
6. გოდერძი ჩოხელი - ცასწავალა 148
7. თავგაუტეხელი კაცი (ქართული ზღაპარი) 170



ქართბოტი

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები

 დააკვირდით

 დისკუსია\დებატები

 ეს საინტერესოა

 იმსჯელეთ

 ლიტერატურული მეგზური

 ლიტერატურული ხიდები

 მოემზადეთ წასაკითხად

 მოგზაურობა ციფრულ სამყაროში

 მწერლის ენა და სტილი

 სიტყვების განმარტება

 სიტყვების კიდობანი

 უპასუხეთ კითხვებს

 შეადარეთ

 შემოქმედებითი სახელოსნო

 შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება

 წერითი დავალება

თავი I
სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!



ზურაბ წერეთლის ძეგლების კომპლექსი „საქართველოს ვაცლიანე"-საქართველოს ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ეროვნების ამსახველი ძეგლი

- რით არის სამშობლო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ადამიანისთვის?
- რას ნიშნავს, იყო პატრიოტი?
- როგორ შეიძლება ვიზრუნოთ ქვეყანაზე?

1. ნიკო ლორთქიფანიძე (1880-1944)




„ერის თავისუფლება მშობელია ყოველივე განვითარების, კეთილდღეობის“.
ნიკო ლორთქიფანიძე

ნიკო ლორთქიფანიძის წინაპრები, იმერეთის მეფის „ფიცის კაცები“, ვაჟკაცობითა და ერთგულებით გამორჩეული ადამიანები იყვნენ. თავმდაბალ და მოკრძალებულ მწერალს განსაკუთრებით ახალგაზრდებთან ურთიერთობა უყვარდა. საქართველოსა და ავსტრიაში მიღებულ სწავლა-განათლებას ნიკო ლორთქიფანიძე უშურველად იყენებდა მომავალი თაობის აღსაზრდელად. თავის მოსწავლეებს ის არა მხოლოდ გერმანულ ენას ასწავლიდა, არამედ ზნეობის მაგალითსაც აძლევდა.

მისი გაკვეთილები არ იყო ჩვეულებრივი, სტანდარტული, მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული. პროგრამას ხშირად გადაუხვევდა ხოლმე და მოზარდებს ესაუბრებოდა ისტორიაზე, მწერლობაზე, თეატრსა და მხატვრობაზე. მოწაფეებს „თქვენობით“ მიმართავდა და ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ეტყოდა ხოლმე: „ყმაწვილებო, ცოტა ვისწავლოთ, მაგრამ ის ცოტა კარგად, ბეჯითად ვისწავლოთ“.

მასზე ამბობდნენ, ესაა ადამიანი, რომელსაც, ერთხელ თუ ნახავ, ვერასდროს დაივიწყებო.

ნიკო ლორთქიფანიძე თავის ნაწარმოებებში ადამიანის სიხარულსა და ტკივილზე, ოცნებასა და ყოველდღიურობაზე წერდა. იგი თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, გამორჩეული სტილით „ხატავდა“ პერსონაჟებსა და მოვლენებს, ამიტომაც შეიყვარა მკითხველმა.



ლიტერატურული საღამო
(ფრაგმენტი)

...ჩემი ოთახის ფანჯრიდან ხშირათ მოჩანს თეთრი თოვლით დაფარული მზის სხივებით აფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი ქალწულისა:

მოუარეთ საქართველოს!

მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თალხით მოსილ ჭირისუფალსავით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოთ მეტყველებენ:

მოუარეთ საქართველოს!

ზოგჯერ ქუჩაში წინ გადამეღობება სულის მესაიდუმლე შოთა და ბრძანების კილოთი ამბობს:

მოუარეთ საქართველოს!

ღამის წყვდიადში ყურს მოვკრავ მდინარეთა გალობა-სიმღერას; იწყებს მკვირცხლი რიონი; შემოსძახებს გიჟმაჟი თერგი და ბანს ეუბნება დინჯი მტკვარი:

მოუარეთ საქართველოს!

ნუთუ, ბატონო ჩემო, გუშინწინ რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა:

მოუარეთ საქართველოს!

სიტყვების განმარტება

აფერილი - განათებული.
თალხი - სამგლოვიარო შავი სამოსი.
ჭირისუფალი - აქ: გულშემატკივარი.
კილო - აქ: ლაპარაკის მანერა, ტონი.
ბაგრატის ტაძარი - ტაძარი ქუთაისში, აგებული XI საუკუნეში მეფე ბაგრატ III-ის მიერ. ნაწარმოების დაწერის დროს ეს ძეგლი ნანგრევების სახით იყო შემორჩენილი. ამჟამად ბაგრატის ტაძარი აღდგენილია.
მკვირცხლი - სწრაფი, მარდი, მოძრავი.
გიჟმაჟი - ცელქი, მოუსვენარი, ხალისიანი.
დინჯი - მშვიდი, აუჩქარებელი.
კოკისპირული - ძლიერი წვიმა.

უპასუხეთ კითხვებს

1. თქვენი აზრით, რატომ ადარებს ავტორი ბაგრატის ტაძარს „თალხით მოსილ ჭირისუფალს“?
2. როგორ ფიქრობთ, რაზე შეიძლება „უხმოთ მეტყველებდნენ“ ტაძრის ნანგრევები?
3. ახსენით, როგორ გესმით სიტყვა „მესაიდუმლე“? „სულის მესაიდუმლე“?
4. როგორ ფიქრობთ, ვინ არის ტექსტში მოხსენიებული შოთა - ვის უნდა გულისხმობდეს ავტორი?
5. რომელ მდინარეებს მოიხსენიებს მწერალი? რა საშუალებებითაა გადმოცემული მათი „გალობა-სიმღერა“? რატომაა შერჩეული სხვადასხვა მახასიათებელი: „მკვირცხლი“, „გიჟმაჟი“ და „დინჯი“?
6. როგორ ფიქრობთ, რაზე მიგვანიშნებს ის, რომ მწერლის მოწოდებას წვიმის „ყოველი წვეთი“ იმეორებს?
7. ნაწარმოებში მყინვარი, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, მდინარეები თუ წვიმის წვეთები თითქოს ცოცხალი არსებები არიან. რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს მწერალი მათი „გაცოცხლებისას“?
8. თქვენი აზრით, ვის მიმართავს მწერალი მოწოდებით?
9. თქვენ რისი გაკეთება შეგიძლიათ ამ მოწოდების საპასუხოდ - როგორ შეგიძლიათ გამოხატოთ ზრუნვა ქვეყანაზე?

დააკვირდით

ნაწარმოებში სხვადასხვაგვარი „ხმა“ ისმის, რაც ქართული სიმღერისთვის დამახასიათებელ მრავალხმიანობას მოგვაგონებს.

დააკვირდით ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებს და განსაზღვრეთ, რა განწყობილებას ქმნის თითოეული მათგანი:

- ბაგრატის ნანგრევები: „უხმოთ მეტყველებენ“;
- მდინარეთა ხმები: „გალობა-სიმღერა“, „შემოსძახებს“, „ბანს ეუბნება“;
- წვიმის წვეთები: „გაუთავებელი, გაბმული ძახილი“.

დისკუსია

გაეცანით შეკითხვებს და წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.

1. ნაწარმოებში მწერალი წარმოგვიდგენს საქართველოს სხვადასხვა მხარეში მდებარე ქალაქს, ისტორიულ ძეგლს, მთასა თუ მდინარეებს: ქუთაისს, ბაგრატს, მყინვარს, რიონს, თერგსა და მტკვარს. როგორ ფიქრობთ, რისი თქმა სურს ავტორს ამით?
2. როგორ ფიქრობთ, რატომ ათქმევინებს ავტორი „ბრძანების კილოთი“ სწორედ შოთა რუსთაველს: „მოუარეთ საქართველოს“?
3. შეიძლება თუ არა მწერალი ადამიანის „სულის მესაიდუმლე“ იყოს? თქვენი მოსაზრება ახსენით.
4. თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ქვეყანაზე მზრუნველ ადამიანს? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

სიტყვების კიდობანი

ქართული ენის საგანძური: წვიმის სახელები

სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონში „სიტყვის კონა“ წვიმის ათზე მეტი სახეობა აქვს განმარტებული. თანამედროვე ქართულშიც წვიმის აღსანიშნავად არაერთი სიტყვა მოგვეპოვება. აი, ზოგიერთი მათგანი:

ჟუჟუნა - ნელი ხანგრძლივი წვიმა.

კოკისპირული - ძლიერი წვიმა, ორი სიტყვის შეერთებითაა მიღებული („კოკა“ და „პირი“). კოკა თიხის ჭურჭელია, რომელშიც წყალს ან ღვინოს ასხამენ. მას განიერი პირი აქვს და გადმოღვრილი სითხე მსხვილ ნაკადად გადმოდის. აქედან, მსგავსებით, წარმოდგება სიტყვა **„კოკისპირული“**.

თავსხმა - ძლიერი, უცებ მოსული წვიმა.

ღვართქაფი - ძლიერი, ღვარის მომდენი, ქაფიანი წვიმა.

შხაპუნა - ხშირი, მაგრამ შედარებით ხანმოკლე წვიმა.

თქეში - ძლიერი, გადაუღებელი წვიმა.

წარღვნა - უკიდურესად ძლიერი, დამანგრეველი, ყველაფრის წამლეკავი წვიმა, წყალდიდობა.

თქორი - წვრილი, ძნელად შესამჩნევი წვიმა.

ჟინჟღლი - ძალიან წვრილი, ხშირი წვიმა.

- **წვიმის აღმნიშვნელი რომელი სიტყვა ან სიტყვები იყო თქვენთვის ახალი?**

სავარჯიშო 1. წვიმის სახეობებს დაუკავშირეთ შესაბამისი ზმნები და ჩაწერეთ წინადადებები რვეულში. იხელმძღვანელეთ ნიმუშით.

ნიმუში: კოკისპირულმა წვიმამ დაასხა.

ზმნები: დაუშვა, მოვიდა, დაასხა, მოვარდა, ცრიდა, წინწკლავდა, გაგვლუმპა, დაგვალბო, დაგვნამა, გადაქელა, დააბუჟბუჟა.

გაითვალისწინეთ: შესაძლოა ერთი ზმნა მიუსადაგოთ წვიმის სხვადასხვა სახეობას ან პირიქით: ერთ სახეობას - რამდენიმე ზმნა.

სავარჯიშო 2. ქართულ ენაში არსებობს ასეთი გამონათქვამი: „მზე პირს იბანს“. მოიძიეთ მისი მნიშვნელობა და ისაუბრეთ, წვიმის რომელ სახეობას შეიძლება უკავშირდებოდეს იგი, თქვენი აზრით.

სავარჯიშო 3. თქვენ წვიმის რომელი სახეობა გიყვართ ყველაზე მეტად? აღწერეთ 5-6 წინადადებით, როგორია იგი.

მწერლის ენა და სტილი

1. რეფრენი

ნაწარმოების ყოველი აბზაცი სრულდება ერთი და იმავე ფრაზით: „მოუარეთ საქართველოს!“ ამას მხატვრული გამეორება, ანუ რეფრენი, ეწოდება.

დაფიქრდით, რა მიზნით იყენებს ამ რეფრენს ნიკო ლორთქიფანიძე. ამისთვის წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები, შემდეგ ისაუბრეთ, რომელი მიგაჩნიათ მართებულად და რატომ.

- ✓ რეფრენი ნათლად წარმოგვიჩენს მოქმედების ადგილს;
- ✓ რეფრენი მკითხველს უქმნის სევდიან განწყობილებას;
- ✓ რეფრენი გამოყენებულია მთავარი სათქმელის გამოსაკვეთად.

2. გაპიროვნება

გაიხსენეთ მხატვრული ხერხი გაპიროვნება.

გაპიროვნება (გასულიერება) - მხატვრული ხერხი, რომლის საშუალებითაც საგნებსა და მოვლენებს ადამიანური თვისებები მიეწერება. ეს ხერხი ფართოდ გამოიყენება ზღაპრებსა და იგავ-არაკებში, რომლებშიც ცხოველები, მცენარეები თუ საგნები ადამიანების მსგავსად ფიქრობენ, ლაპარაკობენ, უხარიათ თუ წუხან.

ყურადღებით გაეცანით ცხრილში მოცემულ წინადადებებს. იმსჯელეთ, რომელ წინადადებაშია გამოყენებული გაპიროვნება და რომელში - ჩვეულებრივი მოქმედების აღწერა. თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

I. ა) მზემ ოქროსფერი კალთა გადააფარა არემარეს. ბ) მზე დილით ადრე ამოვიდა და ცა გაანათა.	III. ა) ნაკადული ქვებზე მოხტუნავდა და მხიარულად ღიღინებდა. ბ) ნაკადული მთაში იღებს სათავეს და ხეობაში მიედინება.
II. ა) ძლიერმა ქარმა ხეს ტოტები დაუმტვრია. ბ) ქარი მთებს შორის დაქროდა და რაღაცას ბუტბუტებდა.	IV. ა) ფოთლებმა ნამიანი თვალები გაახილეს და ცას შეხედეს. ბ) ტყეში ბნელოდა და მხოლოდ ფოთლების შრიალი ისმოდა.

წერითი დავალება

წარმოიდგინეთ თქვენი საყვარელი ადგილი ან ისტორიული ძეგლი საქართველოში (მთა, ზღვა, ტყე ან ძველი კოშკი). გაპიროვნების ხერხის გამოყენებით დაწერეთ, რას იტყოდა ეს ადგილი, მასაც რომ ლაპარაკი შეეძლოს.

შემოქმედებითი სახელოსნო

1. წარმოიდგინეთ, რომ ხართ მხატვარი და გევალებათ ამ ტექსტისთვის ილუსტრაციების შექმნა. ისაუბრეთ, რა ფერებს გამოიყენებდით ტექსტში ასახული განწყობის გადმოსაცემად („მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები“, „მზის სხივებით აფერილი მყინვარი“). სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ ილუსტრაციების შექმნაც.
2. წარმოიდგინეთ, რომ ემზადებით ამ ნაწარმოების გამომეტყველებით წასაკითხად. დაფიქრდით და ისაუბრეთ, სად დასჭირდება თქვენს ხმას სინაზე, სად - სიმძიმე და სად - ენერგია, ახსენით თქვენი მოსაზრება ტექსტზე დაყრდნობით.

იმსჯელეთ

გაიხსენეთ, მუსიკაში როგორ ენაცვლება ერთმანეთს ძლიერი და სუსტი ხმიანობა. მართლაც, როდესაც მუსიკალურ ნაწარმოებს ვუსმენთ, ზოგი მონაკვეთი ხმამაღლა და ძლიერად ჟღერს, ზოგი - სუსტად, ჩუმად.

- ✓ ქვემოთ არეული რიგითაა მოცემული სხვადასხვა „ხმა“, რომლებსაც ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოების კითხვისას ვხვდებით. გადაწერეთ ისინი იმ თანმიმდევრობით, როგორითაც ტექსტშია მოცემული. შემდეგ დააკვირდით, როგორ მონაცვლეობს სუსტი და ძლიერი „ხმიანობა“ ნაწარმოებში: მაგ.:

თავიდან იწყება ძლიერი ხმიანობით, ნელ-ნელა სუსტდება ან პირიქით.

- ✓ იმსჯელეთ, თქვენი აზრით, რა ეფექტს აღწევს ამით მწერალი, რა შთაბეჭდილებას ახდენს ეს მკითხველზე.

„გაუთავებელი, გაბმული ძახილი“, „შემოსძახებს“, „ბანს ეუბნება“, „უხმოდ მეტყველებენ“, „ბრძანების კილოთი ამბობს“, „შორიდან ... ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი ქალწულისა“.

მოგზაურობა ციფრულ სამყაროში

ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებში მდინარეების „გალობა-სიმღერა“ ასეა აღწერილი: „იწყებს მკვირცხლი რიონი; შემოსძახებს გიჟმაჟი თერგი და ბანს ეუბნება დინჯი მტკვარი“.

მოუსმინეთ ქართულ ხალხურ სიმღერა „ჩაკრულოს“, რომელიც მსგავსი ქარგითაა აგებული: იწყებს ერთი ხმა, მას თანდათან ემატება მეორე ხმა და მესამე ხმები (ბანები), სიმღერის ბოლოს კი სამივე ხმა ერთ მძლავრ ჰარმონიად იკვრება.

წერითი დავალება

„მოუარეთ საქართველოს!“ - მოგვიწოდებს ნიკო ლორთქიფანიძე.

- ✓ დაფიქრდით, რისი გაკეთება შეგიძლიათ ამ მოწოდების სა-პასუხოდ თქვენ - მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს - სკოლაში, თქვენს საცხოვრებელ ადგილზე თუ ბუნებაში ყოფნისას?
- ✓ დაწერეთ თხზულება: **„როგორ ვიზრუნო საქართველოზე“**, რომელშიც ისაუბრებთ, როგორ შეიძლება გამოხატოთ ქვეყანაზე ზრუნვა კონკრეტული ქმედებებით. მოიყვანეთ მაგალითები თქვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან (მაგ.: გარემოზე ზრუნვა, ბეჯითი სწავლა, სხვების დახმარება, ისტორიული ძეგლების მოფრთხილება). ახსენით, რა მნიშვნელობა აქვს ამ „პატარა“ ნაბიჯებს - რა საფუძველს უქმნის თქვენი პირადი პასუხისმგებლობა ქვეყნის წარმატებასა და წინსვლას.

2. გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959)



„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული?!“
გალაკტიონ ტაბიძე

გალაკტიონ ტაბიძე დასავლეთ საქართველოში, ულამაზეს სოფელ ჭყვიშში, დაიბადა. ბავშვობიდანვე საათობით შეეძლო მარტოს ესეირნა რიონის პირას, ესმინა მდინარის ხმაურისა და ჩიტების ჭიკჭიკისთვის. სწორედ ბუნების ამ საოცარმა სამყარომ შთააგონა ქართული პოეზიის შედევრები. საზოგადოებისგან გაუცხოება და სულიერი მარტოობა სიყმაწვილიდანვე ახასიათებდა გალაკტიონს. ამიტომაც მისმა ბიძაშვილმა, დიდმა ქართველმა პოეტმა ტიციან ტაბიძემ, გალაკტიონს „მარტოობის ორდენის კავალერი“ უწოდა.

გალაკტიონის დღიურის ჩანაწერები მოწმობს, როგორ ვერ ეგუებოდა იგი რეალობას და ოცნების სამყაროში პოულობდა თავშესაფარს. თუმცა, ამ სულიერი მარტოობის მიუხედავად, ხალხს ის უსაზღვროდ უყვარდა და სიცოცხლეშივე უწოდეს „პოეტების მეფე“.

გალაკტიონმა ქართულ პოეზიაში სრულიად ახალი, ჯადოსნური სამყარო შემოიტანა. იგი სიტყვებს ისე ოსტატურად ფლობდა, როგორც მხატვარი — ფერებს. პოეტის უჩვეულო და შთამბეჭდავი მხატვრული სახეებით გამორჩეულ ლექსებში ვხვდებით ისეთ რითმებსა და ბგერათა ჰარმონიას, რომლებიც მანამდე ვერავის წარმოედგინა.

„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართულიო“, - წერდა გალაკტიონი და თავისი პოეზიით ქართული ენის მშვენიერებას წარმოაჩენდა.

მოემზადეთ წასაკითხად

გალაკტიონი და აფხაზეთი

გალაკტიონ ტაბიძეს გამორჩეულად უყვარდა აფხაზეთი და ხშირად სტუმრობდა საქართველოს ამ მხარეს. პოეტის მღელვარე სულს განსაკუთრებულად იზიდავდა ზღვა, რომელთანაც საოცარ სულიერ ერთიანობას გრძნობდა:

„...არა ჩემს გარეთ,
არა რამე სხვა -
არამედ ჩემში
ახმაურდა ზღვა,
ზღვა ახმაურდა“, - ასე აღგვიწერდა გალაკტიონი ზღვასთან შეხვედრას და ზღვის სტიქიასთან მსგავსებას.



გალაკტიონ ტაბიძე სოხუმში, 1946 წ.

აფხაზეთში ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მასპინძლობდნენ პოეტს, ხშირად უწყობდნენ ლიტერატურულ შეხვედრებს, სადაც მკითხველები თავიანთ საყვარელ პოეტს ხვდებოდნენ. გალაკტიონისთვის აფხაზეთი იყო სინათლის, ლურჯი ფერისა და ბედნიერი მოგონებების მხარე. აქ მისთვის ყველაფერი მშობლიური და მშვენიერი იყო: მთები, პალმები, ზღვა, მიწა, მზე და წვიმა.

თავის ტრაგიკულ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გალაკტიონს ექიმისთვის უთქვამს: დამესიზმრა, თითქოს მაღლა-მაღლა ავდიოდი მთაზე და სოხუმისკენ მივეშურებოდიო - ასეთი ძალით ადამიანებს მხოლოდ მათთვის ყველაზე ღირსსახსოვარი და ძვირფასი ადგილები იზიდავს.

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია,
მომენატრა მზე სინათლის მფენი,
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.
მომაგებე შენ იგივე პალმა,
სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა
გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი,
მომაგებე მშობლიური გემი,
მომაგებე მშობლიური მიწა,
შენი ძველი მეგობარი მიცან.



სიტყვების განმარტება

სანატორია (სანატორიუმი) - დასასვენებელი სახლი, სამკურნალო დაწესებულება.
მომაგებე - წინ შემომაგებე.
მფენი - მომფენი, მფრქვეველი.
ოდესმე - აქ: ოდესღაც, ერთხელ.

უპასუხეთ კითხვებს

1. რატომ იწყებს პოეტი ლექსს სიტყვით „გამარჯობა“? რა განცდას იწვევს მკითხველში ეს სიტყვა?
2. აფხაზეთისთვის დამახასიათებელ რომელ კონკრეტულ დეტალებს იხსენებს პოეტი?
3. რა აგონდება პოეტს? თქვენი აზრით, რატომაა ეს მოგონება მნიშვნელოვანი მისთვის?
4. როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს გალაკტიონი სიტყვებს: „მშობლიური“, „ძველი მეგობარი“? აფხაზეთის მიმართ პოეტის როგორ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ეს სიტყვები?
5. რომელი სიტყვები მეორდება ლექსში? რამდენჯერ? თქვენი აზრით, რას მატებს ეს ლექსს?
6. როგორ ფიქრობთ, ლექსში აფხაზეთის პირველად ნახვის შთაბეჭდილებაა გადმოცემული? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

დააკვირდით

- თქვენი აზრით, შეესაბამება თუ არა ილუსტრაცია ლექსის განწყობილებას? თქვენი მოსაზრება ახსენით.
- მწერალი ოსტატურად იყენებს ფერებს და პირველივე სტრიქონებიდან თითქოს „სიტყვის ფუნჯით“ ხატავს. დააკვირდით სიტყვებს: „ლურჯო მთებო“, „თეთრო სანატორია“ და ისაუბრეთ, რა განწყობილებას გიქმნით ისინი.
- თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი ამგვარი დეტალების აღწერა? რომელი დეტალი გეხმარებათ ყველაზე მკაფიოდ იმის წარმოდგენაში, თუ რას გრძნობს პოეტი?
- ლექსში ვკითხულობთ: „მომენატრა ზღვა, რომელიც შორია“. დააკვირდით სიტყვას „მომენატრა“ და ისაუბრეთ: თქვენი აზრით, აქ ფიზიკური მანძილი იგულისხმება (ზღვის სიშორე) თუ მიუწვდომელი ოცნება (მაგ.: შინაგანი თავისუფლება, რომელსაც ზღვა განასახიერებს)? რატომ ფიქრობთ ასე?

მწერლის ენა და სტილი

1. გაიხსენეთ მხატვრული ხერხი ეპითეტი.

თუ სიტყვა საგანს რაიმე ნიშნის მიხედვით ობიექტურად ახასიათებს (მაგ.: პატარა ხიდი, თეთრი კედელი), ის **ლოგიკური განსაზღვრებაა.**

თუ სიტყვა საგანს აცოცხლებს, ემოციურ ან პოეტურ ელფერს სძენს, ის **ეპითეტია** (მაგ.: იდუმალი ტყე, ოქროსფერი ოცნება).

2. ლოგიკური განსაზღვრება თუ ეპითეტი?

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები. დააკვირდით ხაზგასმულ სიტყვებს და იმსჯელეთ, რომელია ლოგიკური განსაზღვრება, რომელიც მხოლოდ საგნის ნიშან-თვისებას წარმოაჩენს, და რომელია ეპითეტი - მხატვრული განსაზღვრება, რომელიც საგანს ემოციურად ახასიათებს.

ა) ბიჭი ცივ ამინდში მარტო დახეტიალობდა.
ბ) მისი მგრძნობიარე ბუნება სინამდვილის სისასტიკეს ვერ უძლებდა.
გ) ქალმა სველი ჭურჭელი გაამშრალა.
დ) პოეტი მტანჯველ ფიქრებს ატანდა ქარს.
ე) ხმელი წიფლის ქვეშ მწვანე ბალახი აბიბინდა.
ვ) ვაჟა-ფშაველა დიდებული მთების შვილი იყო.

3. დააკვირდით ლექსში გამოყენებულ ეპითეტებს და ისაუბრეთ, აფხაზეთის როგორ „პორტრეტს“ გვიხატავს გალაკტიონი მათი საშუალებით.

ლიტერატურული მეგზური

ლირიკული ლექსი

გალაკტიონის ლექსი „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ ლირიკული ლექსია. სახელწოდება „ლირიკული“ წარმოდგება ბერძნული სიტყვისგან ლირა („lyra“) - ესაა მუსიკალური საკრავი, რომლის თანხლებითაც სრულდებოდა ლექსის ფორმით დაწერილი ნაწარმოებები.

ლირიკულია ის ლექსი, რომელშიც გამოხატულია პოეტის შინაგანი სამყარო: განცდები, გრძნობები, განწყობილება, შთაბეჭდილება; პირადი, ანუ სუბიექტური, ხედვა. ამიტომაცაა, რომ ლირიკული ლექსების დიდი ნაწილი პირველ პირშია დაწერილი.

ის, ვინც ლირიკულ ლექსში თავის ემოციებსა და განწყობილებებს გადმოსცემს, **ლირიკული გმირია.** ამ ლექსის ლირიკული გმირი გალაკტიონ ტაბიძეა. ის უშუალოდ მიმართავს აფხაზეთს, რაც ლექსს ძალიან პირადულ ხასიათს სძენს, საუბრობს პირველ პირში (მაგალითად, „მომაგებე“).

- იპოვეთ ლექსში ზმნა, რომელიც გამოკვეთს ლირიკული გმირის პირად გრძნობას, დაკავშირებულს აფხაზეთთან.

შემოქმედებითი სახელოსნო

1. ა) გადაიწერეთ ეპითეტების მაგალითები და თითოეულს მიუწერეთ შესაბამისი ლოგიკური განსაზღვრება სიტყვათა ჩამონათვალიდან (იხელმძღვანელეთ ნიმუშით). გაითვალისწინეთ: ჩამონათვალში მოცემულია ერთი ზედმეტი სიტყვა.

ნიმუში. თალხი ღრუბლები - შავი ღრუბლები.

- ცასაწვდენილი კლდეები;
- ჭაღარა მთა;
- მარტოსული კოშკი;
- მრისხანე მდინარე;
- წმინდა ნაკადული.

თოვლიანი, სუფთა, მდორე, ფოთლებგაცვენილი, ძალიან მაღალი, ადიდებული, განმარტოებით მდგარი.

ბ) დააკვირდით ლოგიკური განსაზღვრებებისა და ეპითეტების წყვილებს, რომლებიც შეადგინეთ. ისაუბრეთ: რომელი უფრო შთამბეჭდავია - ლოგიკური განსაზღვრება თუ ეპითეტი? რომელი ქმნის ემოციას? თქვენი მოსაზრება ახსენით.

2. ქვემოთ მოცემული სამი ნახატიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი. შემდეგ შეეცადეთ მოიფიქროთ სიტყვები, რომლებიც ემოციურად დაახასიათებს ნახატზე გამოსახულ გარემოსა თუ ცალკეულ დეტალებს.
ამისთვის:

- დაფიქრდით, როგორ განწყობილებას გიქმნით ეს ნახატი. დააკვირდით, რა არის გამოსახული, როგორი ფერებია გამოყენებული, როგორ არის გადმოცემული განათება. ყურადღება მიაქციეთ დეტალებს: ხეებს, შენობებს, მზეს, ღრუბლებს ... წარმოიდგინეთ, რა ხმები შეიძლება ისმოდეს ამ გარემოში, რა სურნელი შეიძლება შეიგრძნოთ.
- წერილობით აღწერეთ ნახატი: გამოსახულებები, დეტალები, ფერები, ფორმები. რას მოგაგონებთ, რა ემოციებს იწვევს თქვენში.
- გადაიკითხეთ ჩანაწერი. შეარჩიეთ და კლასის წინაშე ისაუბრეთ იმ სიტყვებზე, რომლებიც თქვენს ემოციებსა და წარმოდგენებს გამოხატავს.



1. დავით კაკაბაძე, „იმერეთის პეიზაჟი“



2. ელენე ახვლედიანი, „სოხუმის კუთხე“



3. თენგიზ მირზაშვილი, „სვანეთი“

წერითი დავალება

თქვენს მშობლიურ კუთხეზე, სოფელზე ან ქალაქზე დაწერეთ თხზულება, რომელშიც გადმოსცემთ, როგორია იგი, რითია ღირსშესანიშნავი. წერისას გამოიყენეთ, სულ მცირე, ორი ეპითეტი.

შეადარეთ

შეადარეთ ერთმანეთს ორი ნაწარმოები: ნიკო ლორთქიფანიძის „მოუარეთ საქართველოს“ და გალაკტიონ ტაბიძის „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“

ორივე მწერალი სამშობლოს სიყვარულზე გვესაუბრება, თუმცა სხვადასხვა „ენითა“ და განწყობით.

1. დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ ცხრილს და ისაუბრეთ, რომელ ნაწარმოებს უკავშირდება მეორე სვეტში მოყვანილი მახასიათებლები.

ტექსტის ელემენტი	მახასიათებელი
განწყობა	ა) მონატრება, სითბო, მოგონება. ბ) პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა.
სამშობლოს სახე	ა) დიდებული, ისტორიული, მებრძოლი. ბ) ნათელი, მშვიდი.
მთავარი მოწოდება	ა) თხოვნა, გაფრთხილება. ბ) მისალმება, მეგობრობის თხოვნა.
ფერები	ა) ჰარმონიული, ნათელი. ბ) კონტრასტული.
ხმა	ა) მრავალგვარი. ბ) უხმაურო, ჩუმი.

2. წერითი დავალება: ცხრილზე დაყრდნობით დაწერეთ, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვს ამ ორ ნაწარმოებს, როგორია თქვენი დამოკიდებულება მათ მიმართ.


3. ლადო ასათიანი (1917-1943)



„ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა...“
ლადო ასათიანი

ლადო ასათიანი თავის სიხარულსა თუ ტკივილს ლექსებით გამოხატავდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იავადმყოფა და ძალიან ახალგაზრდა, 26 წლისა, გარდაიცვალა, მის სტრიქონებში ვერ იპოვით სასოწარკვეთას. პირიქით, მისი აზრით, საქართველოში დაბადება ყველაზე დიდი ბედნიერებაა და სიკვდილსაც კი შეიძლება „კარი გადაურაზო“, თუკი სიცოცხლე გიყვარს. პოეტი ხშირად ამბობდა: ,,ვეცდები, ისეთი წიგნები დავწერო, რომ მკითხველს გულწრფელი სიხარული განაცდევინონ, ეს ქვეყანა შეაყვარონ და უკეთესი ცხოვრება მოანატრონ. ჩემმა წიგნებმა უნდა გაახალისონ და გაამხნეონ მკითხველი, მისი მხიარული თანამგზავრები იყვნენ“.

როდესაც ლადო ასათიანის პოეზიას კითხულობთ, გინდებათ, რომ იაქტიუროთ, ილაღოთ, გიყვარდეთ და ყოველ დილით მადლობა თქვათ იმისათვის, რომ ამ ქვეყანაზე გაჩნდით.



საქართველოში

საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე:
ეჰ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება, ბრძოლაში მოკვდეს
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.

საქართველოში როცა კვდებოდნენ,
უფრო და უფრო წუხდნენ ამაზე:
ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!

ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს.

რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!

სიტყვების განმარტება

მარად - მუდამ, სამუდამოდ.
ნავარდობს - ლაღად, თავისუფლად მოძრაობს, დაფრინავს.
დარაზეთ - კარგად დაკეტეთ (ურდულით).

უპასუხეთ კითხვებს

1. ლექსის მიხედვით, რაზე წუხდნენ ადამიანები, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ?
2. რას უკავშირებს პოეტი ბავშვობას?
3. ლექსის მიხედვით, ბრძოლაში დაღუპულნი სიცოცხლეს აგრძელებენ. თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი ძალა, რომელსაც ადამიანის უკვდავყოფა შეუძლია: მისი შთამომავლობა, საგმირო საქმე თუ სხვა რამ? ახსენით თქვენი მოსაზრება.
4. რომელი პირისა და დროის ზმნებით იწყება ლექსი? რა ცვლილება ხდება ბოლო ორ სტროფში - როგორ იცვლება ზმნის ფორმები და ნაცვალსახელები?

5. როგორ გესმით სიტყვები: „სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ“?
6. რომელი სტრიქონები მოგაგონებთ სადღეგრძელოს? რას ადღეგრძელებს პოეტი და რატომ?
7. ლექსის მიხედვით, რა თვისებებია დამახასიათებელი ქართველებისთვის?
8. თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ პოეტის მთავარი სათქმელი.

დააკვირდით

1. ლექსში სევდისა და სიხარულის განწყობილებები ერთმანეთს ენაცვლება. იწყება სინანულით ბავშვობის სილაღის დაკარგვის გამო, თუმცა მთავრდება დიდი იმედით. დააკვირდით ლექსს და იპოვეთ მონაკვეთი, რომელშიც სინანული იმედით იცვლება.
2. ლექსი აგებულია მკვეთრ დაპირისპირებებზე, ანუ კონტრასტებზე:

ბავშვობა - სიბერე;
წუხილი - ბედნიერება;
ბრძოლა - დანებება;
სიკვდილი - სიცოცხლე.

იპოვეთ ლექსში მონაკვეთები, რომლებშიც ამ კონტრასტულ წყვილებს ვხვდებით. ახსენით: როგორ დაგეხმარათ ეს დაპირისპირება პოეტის ემოციისა და სათქმელის უკეთ გაგებაში, რომელი კონტრასტული წყვილი მიგაჩნიათ ყველაზე შთამბეჭდავად და რატომ.

მწერლის ენა და სტილი

1. ლექსში მონაცვლეობს ზმნის პირისა და დროის ფორმები, ასევე ნაცვალსახელები. პოეტი იწყებს მესამე პირით, წარსული დროით: ისინი - „იბადებოდნენ“, „წუხდნენ“, ბოლო ორ სტროფში კი მესამე პირს პირველი პირით ცვლის: იცვლება მოქმედების დროც. ჩვენ - „ჩვენი ბავშვობა“, „ჩვენ ... მოგვდევს“, „მოვკვდეთ“, „არ ვტოვებთ“, „გავჩნდით“.
   - თქვენი აზრით, რა დატვირთვა აქვს ლექსში პირებისა და დროის ამგვარ მონაცვლეობას?

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები და ამოიცანით, რომელია არასწორი. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

ა) პოეტი შლის ზღვარს თავის თავსა და მკითხველს შორის, უახლოვდება მკითხველს;
ბ) პოეტი გამოკვეთს თავისი წინაპრების ვაჟკაცობასა და სულიერ სიმტკიცეს;
გ) პოეტი გვიჩვენებს, რომ ლექსის სათქმელი ყველას გვეხება - წარსული აწმყოსთან ერთიანდება;
დ) პოეტის საუბარი უფრო უშუალო ხდება, რაც აძლიერებს ემოციებს.

2. ყურადღება მიაქციეთ ზმნას „ნავარდობს“. ავტორმა სიცოცხლის დასახასიათებლად სწორედ ეს სიტყვა შეარჩია. რისი თქმა უნდა ამით ავტორს? რას გახსენებთ, რა ასოციაციას იწვევს თქვენში ეს სიტყვა?

დისკუსია

გაეცანით ინფორმაციასა და ქვემოთ მოცემულ შეკითხვას, შემდეგ წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება.

ძველბერძნული მითოსის გმირი აქილევსი ქალღმერთმა დედამ არჩევანის წინაშე დააყენა: ან დიდხანს იცოცხლებდა და აქილევსის სახელი მხოლოდ მის შთამომავლობას ემახსოვრებოდა, ან ბრძოლაში გმირულად დაიღუპებოდა და მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. აქილევსმა ბრძოლაში სიკვდილი აირჩია და ტროის ომში ვაჟკაცურად დაიღუპა.



აქილევსი და დედამისი, ქალღმერთი თეტისი (ძველბერძნული კერამიკული მხატვრობა, ჩვ. წ. აღ. - მდე V საუკუნე)

- აქილევსმა ხანმოკლე, მაგრამ სახელოვანი სიცოცხლე აირჩია, რომელიც ომში გმირული სიკვდილით დასრულდა. შეიძლება თუ არა ყოველდღიურ პასუხისმგებლობათა ერთგულად შესრულება - ოჯახის, საზოგადოების, საყვარელი საქმის ხანგრძლივი და თავდადებული მსახურება - ისეთივე გმირობად ჩავთვალოთ, როგორიცაა საკუთარი სიცოცხლის გმირულად გაწირვა მაღალი მიზნისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?

- აქილევსისთვის უმთავრესი ფასეულობა მარადიული დიდებისა და გმირული სახელის მოპოვება იყო. თქვენი აზრით, არის თუ არა შენარჩუნებული ეს ფასეულობა თანამედროვე ეპოქაში? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

შემოქმედებითი სახელოსნო

1. წარმოიდგინეთ, რომ ემზადებით ლადო ასათიანის ლექსის გამომეტყველებით წასაკითხად და გსურთ შეარჩიოთ მელოდია მუსიკალური გაფორმებისთვის. გაეცანით ცხრილს, რომელშიც მოცემულია მუსიკის მახასიათებლების ჩამონათვალი, შემდეგ კი ისაუბრეთ, როგორ მუსიკას შეურჩევდით ამ ლექსს. თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ მოამზადოთ თქვენ მიერ წაკითხული ლექსის აუდიოჩანაწერი შესაბამისი მუსიკალური გაფორმებით და წარადგინოთ კლასის წინაშე.

განწყობა	• ნათელი, მხიარული, ენერგიული, ოპტიმისტური (იმედიანი); • სევდიანი, ნაზი, იდუმალი, მშვიდი.
რიტმი	• ნელი; • ზომიერი; • სწრაფი; • ცვალებადი: იწყება სწრაფი ტემპით, შემდეგ ნელდება, ან პირიქით - იწყება ნელი ტემპით, შემდეგ ჩქარდება.
ბგერის სიძლიერე	• ხმამაღალი; • ზომიერი; • სუსტი, ჩუმი; • ცვალებადი: იწყება ჩუმად, შემდეგ ძლიერდება, ან პირიქით - იწყება ხმამაღლა, შემდეგ სუსტდება.

2. დაწერეთ „სიცოცხლის ჰიმნი“: მოიფიქრეთ და ჩამოთვალეთ სამი-ოთხი მიზეზი, თუ რატომ არის „ბედნიერი ის დღე“, როცა თქვენ ამქვეყნად დაიბადეთ.

წერითი დავალება

დაწერეთ თხრობითი ტექსტი: **„ბავშვობის ერთი მოგონება“**, რომელშიც გაიხსენებთ ბავშვობასთან დაკავშირებულ ერთ სასიამოვნო ეპიზოდს (მაგ.: დაბადების დღეს, საოჯახო დღესასწაულს, საინტერესო მოგზაურობას, პირველ შეხვედრას საუკეთესო მეგობართან). გადმოეცით კონკრეტული დეტალები: როგორ დაიწყო ამბავი, ვისთან ერთად იყავით, რით გაგრძელდა და დასრულდა ამბავი, რას გრძნობდით. ბოლოს შეაჯამეთ, რითია ეს მოგონება გამორჩეული და დღემდე მნიშვნელოვანი თქვენთვის.

4. ილია ჭავჭავაძე (1837-1907)



„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“
ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი პატრიოტი. მწერალს საქართველოს ისტორიის იმ მძიმე პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როდესაც ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და იდევნებოდა ყოველივე ქართული: ენა, ისტორიული მეხსიერება, ეროვნული თვითმყოფადობა. სრულიად ახალგაზრდა, 24 წლისა, იყო ილია, როდესაც პირველი კრიტიკული სტატია დაბეჭდა და მისი სახელი მთელი საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. ამ დროიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე მწერალი თავდადებით იცავდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს სიტყვითა თუ საქმით.

ილია იყო საქართველოში ყველა მნიშვნელოვანი საქმის წამომწყები და მონაწილე: სათავეში ედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ააღორძინა ქართული თეატრი, დააარსა ჟურნალ-გაზეთები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ბანკი, რომლის შემოსავლებით ახალგაზრდებს ეხმარებოდა.

მამული, ენა, სარწმუნოება - სწორედ ეს მიაჩნდა ილიას წინაპართაგან დატოვებულ „სამ ღვთაებრივ საუნჯედ“ და მათ დასაცავად თანამემამულეების სამართლიან კრიტიკასაც არ ერიდებოდა. ასე რომ, მისი კალამი ხან ხმალი იყო, ხანაც - მაკურნებელი მალამო.

ტრაგიკული იყო ილიას სიკვდილი — წიწამურთან ნასროლმა ტყვიამ მას ვერაგულად მოუსწრაფა სიცოცხლე. საყვარელ სამშობლოს მსხვერპლად შეწირულმა დიდმა მამულიშვილმა მომავალ თაობებს ანდერძად დაუტოვა იმ ფასეულობათა დაცვა, რომელთა ერთგულიც თავად იყო ბოლომდე.

ბაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო, წყლის ქვეშე,
უცხო წალკოტი ჰყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს, თურმე, არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.

ვერ ერჩის, თურმე, მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი გრძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან...

ამბობენ, - თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი აღარ ამბობენ -
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...

იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

თუ ესე არის, ნეტა მას,
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!

თუ ესე არის, ნეტა მას,
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა.



სიტყვების განმარტება

უცხო - აქ: არაჩვეულებრივი, უცნაური, საკვირველი.
წალკოტი - ულამაზესი ბაღი.
გრძნეული - ჯადოქარი.
სირინოზნი - აქ: ქალთევზები, ზღაპრული არსებები, რომლებიც მომაჯადოებელი სიმღერით ხიბლავდნენ ყველას.
დასტრფიან - სიყვარულით თავს ევლებიან.
ყრმა - ჩვილი ბავშვი.
სახელდებული - სახელოვანი.
მადლით ცხებული - ღვთიური მადლით დალოცვილი, წმინდა.

უპასუხეთ კითხვებს

1. თქვენი სიტყვებით გადმოეცით, როგორ აღწერს პოეტი ტბის ფსკერზე არსებულ წალკოტს.
2. თქვენი აზრით, რატომ არ ემორჩილება წალკოტი „დროთა ტრიალს“?
3. პოეტის თქმით, როგორ შეიქმნა ტბა? რა საუნჯეს იცავს ის?
4. თქვენი აზრით, რატომ იცავენ გრძნეული სირინოზები აკვანს?
5. ილია პირდაპირ არ ამბობს ყრმის სახელს. თქვენი ვარაუდით, ვინ შეიძლება იყოს ის, ვისაც ასე ელოდება ერი? როგორი თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს იგი?

დააკვირდით

1. ლეგენდაში ერთადერთი ისტორიული პიროვნებაა დასახელებული - თამარ დედოფალი. თქვენი აზრით, რატომ აკავშირებს ხალხური თქმულება ოქროს აკვანს თამარ დედოფალთან?
2. როგორ ფიქრობთ, რატომ „ნატრულობს“ ყრმის მოსვლას ქართველი „ჩუმი ნატვრით“? პასუხის გასაცემად გაიხსენეთ, საქართველოს ისტორიის რომელ პერიოდში მოღვაწეობდა ილია.
3. ავტორი ლექსის ბოლოს ყრმის დედას ახსენებს. როგორ ფიქრობთ, რატომ არის დედის როლი ისეთივე მნიშვნელოვანი ქვეყნის გადარჩენისთვის, როგორიც მებრძოლი, ვაჟკაცი მამისა?
4. მეცნიერი გეოგრაფისთვის ბაზალეთი მხოლოდ ტბაა, ისტორიკოსისთვის - ბრძოლის ან სხვა მოვლენის ადგილი, ტურისტისთვის კი - დასასვენებელი სივრცე. ისაუბრეთ: ლექსის წაკითხვის შემდეგ რა „საიდუმლო ამოიკითხეთ“ ტბის სიღრმეში ისეთი, რაც არც ფოტოებსა და რუკებზე ჩანს და არც ისტორიულ წყაროებში წერია? რა ახალი ემოცია ან დამოკიდებულება გაგიჩნდათ ამ ადგილის მიმართ?

იმსჯელეთ

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ორ მოსაზრებას, შემდეგ იმსჯელეთ, რომელს იზიარებთ და რატომ.

ა) ყრმა - „ვისიც არ ითქმის სახელი“ - საქართველოს თავისუფლებაა, „ვაჟკაცი სახელოვანი“ კი ისაა, ვინც ამ თავისუფლებას მოუპოვებს თავის ქვეყანას.

ბ) ყრმა - „ვისიც არ ითქმის სახელი“ - თავადაა სამშობლოს გამათავისუფლებელი გმირი.

მწერლის ენა და სტილი

1. ილიას ლექსში ბაზალეთის ტბის ლეგენდაა გადმოცემული.

> **ლეგენდა** - ზღაპრული ხასიათის მხატვრული გადმოცემა რომელიმე ისტორიული პირის, ადგილის ან მოვლენის შესახებ. ლეგენდები ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ტექსტში ნათლად იკვეთება ამბის ლეგენდური ხასიათი. ზმნები: „არისო“, „ჰყვავისო“ - გვიჩვენებს, რომ მწერალი სხვათა ნათქვამს, სხვის მოყოლილ ამბავს გადმოგვცემს.

- ამოიწერეთ ლექსიდან სხვა სიტყვები, რომლებიც ადასტურებს, რომ ეს ამბავი პოეტს სხვათაგან აქვს მოსმენილი.

2. მოძებნეთ ლექსის პირველ და მესამე სტროფებში ეპითეტები, დააკვირდით და ისაუბრეთ, რა დააკლდებოდა მათ გარეშე ლექსს.

შემოქმედებითი სახელოსნო

1. ლეგენდის მიხედვით, ბაზალეთის ტბის სიღრმეში სირინოზების ჯადოსნური ხმები ისმის. წარმოიდგინეთ, რას უმღერიან ეს ზღაპრული არსებები ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმას და დაწერეთ მცირე ზომის ტექსტი: **„ბაზალეთის ტბის ჯადოსნური სიმღერა“**. ტექსტში გადმოეცით სირინოზების სიმღერის შინაარსი (მაგ.: რას უამბობენ ყრმას სამშობლოზე, რა თვისებებს დაანათლავენ მას, ან რა დიადი საქმის კეთებისკენ მოუწოდებენ).

2. შეარჩიეთ მელოდია, რომელიც, თქვენი აზრით, ზღაპრული სირინოზების ჯადოსნურ გალობას ჰგავს. ახსენით თქვენი არჩევანი.

მოგზაურობა ციფრულ სამყაროში

1. მოისმინეთ „ბაზალეთის ტბის“ აუდიოჩანაწერი. დააკვირდით, რომელ სიტყვებს გამოკვეთს მსახიობი წაკითხვისას და რატომ. გამოთქვით თქვენი მოსაზრება.



2. მოიძიეთ სხვა ლეგენდები ბაზალეთის ტბის შესახებ. შეადარეთ, რით განსხვავდებიან ისინი ილიას ლექსში გადმოცემული ლეგენდისგან.

წერითი დავალება

დაწერეთ თხზულება: **„როგორი უნდა იყოს ლიდერი“**. ნაშრომში გადმოეცით, როგორ გესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა, როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს ლიდერს და რატომ.

5. აკაკი წერეთელი (1840-1915)



„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!“

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელს „საქართველოს ბულბულს“ უწოდებდნენ, რადგან მისი პოეზია საოცარი მუსიკალურობით გამოირჩევა. მწერალი ახალგაზრდობიდანვე აქტიურად ჩაება ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმეებში; ილია ჭავჭავაძესთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი გახდა და ყველა იმ საზოგადოებრივ საქმიანობაში მიიღო მონაწილეობა, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრივ თავისუფლებასა და კულტურულ აღორძინებას. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჭიათურაში მანგანუმის საბადოების კვლევის საქმეშიც.

აკაკი ისე შეიყვარა ხალხმა, რომ ქართული პოეზიის მეფედ აღიარა. იაკობ გოგებაშვილი მას „პატარა საქართველოს“ უწოდებდა. პოეტი თავისი ლექსებითა და მოთხრობებით იმედს უნერგავდა ყველას, ვისაც სამშობლოს მომავლისა სჯეროდა; შთააგონებდა ერს, რომ თავისუფლებაზე ოცნების ახდენა მხოლოდ თავდაუზოგავი შრომითა და სწავლა-განათლებით იყო შესაძლებელი.

ხატის წინ

მიყვარს, როდესაც ხატის წინ
ანთია წმინდა სანთელი
და საიდუმლო პარპალით
ბნელს ფანტავს მისი ნათელი.

მყუდროდ, უხმოდ და უძრავად
დნება, ვით მსხვერპლი დიადი,
რომ მადლით გაასპეტაკოს,
თვალუწვდომელი წყვდიადი!

მივჩერებივარ ამ დიდ ძალს
მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული;
მეცა უსიტყვოდ, უძრავად,
ცის სვეტად გაქვავებული.

რაღაც უცნაურ ერთობას
ვხედავ სანთელს და ჩემ შუა!
მხოლოდ ვგრძნობ... თვარა ვერ სწვდება
ჩემი გონება და ჭკუა.

სანთელი ჩემი ხორცია,
სიცოცხლე - მოკლე პატრუქი,
ნათელი - ჭკუა-გონება,
იმათგან გამონაშუქი.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე - მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
არ შემიძლია მეც განა?

კი... მაგრამ მნათე არსად ჩანს,
ჩემთან მომტანი ცეცხლისა,
ის მოციქული მომავლის,
მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა!



სიტყვების განმარტება

პარპალი - ალის ნელი რხევა.
გაასპეტაკოს - განწმინდოს.
წყვდიადი - სიბნელე, უკუნეთი.
თვარა - თორემ.
ცის სვეტად - აქ: ცამდე აზიდულ სვეტად.
პატრუქი - სანთლის შუაგულში მოთავსებული ძაფი, რომელსაც ცეცხლს უკიდებენ.
სახატე - ხატის დასაბრძანებელი ადგილი, სალოცავი კუთხე.
მოციქული - აქ: მაცნე, ამბის მომტანი.
მნათე - ქრისტიანული ეკლესიის მსახური, რომელსაც ევალება ზეთის კანდელების ანთება, საცეცხლურებში ნახშირის გაღვივება, ზარების რეკვა.

უპასუხეთ კითხვებს

1. ახსენით, როგორ გესმით სიტყვები „წმინდა სანთელი“. რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს პოეტი ამ შემთხვევაში?
2. რატომ უწოდებს პოეტი სანთლის დნობას „დიად მსხვერპლს“? რას ეწირება სანთელი?
3. პოეტის როგორ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს მისი „მწარ-ტკბილად“ ჩაფიქრება?
4. რასთან აიგივებს პოეტი სამშობლოს? ქვეყნიერებას? რა კავშირია მათ შორის?
5. თქვენი აზრით, რას გვეუბნება აკაკის სიტყვები იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება სამშობლოსა და ქვეყნიერების მიმართ?
6. ვის მოსვლას ელის პოეტი?
7. აქვს თუ არა პოეტს მომავლის იმედი?
8. ამ ლექსის რომელი სტრიქონებია გამოყენებული საქართველოს სახელმწიფო ჰიმნში?
9. როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა ეს სტრიქონები ქვეყნის „მთავარი“ სიმღერის, სახელმწიფო ჰიმნის, ნაწილი - რა მნიშვნელობასა თუ ემოციას მატებს ისინი ჰიმნის ტექსტს?

დააკვირდით

- სანთელი, როგორც მსხვერპლი, „უხმოდ და უძრავად“ დნება. ის არ „ყვირის“ თავის ღვაწლზე. რისი თქმა უნდა ამით პოეტს?
- მოძებნეთ სტროფი, რომელშიც პოეტი სანთელს ადარებს თავის თავს. ისაუბრეთ, მსგავსების რომელ დეტალებზე ამახვილებს ის ყურადღებას.
- როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს პოეტი სამშობლოსა და ქვეყნიერების მიმართ? რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ ამ დამოკიდებულებათა შორის?
- მერცხალი გაზაფხულისა და განახლების მომასწავებელია. თქვენი აზრით, რა დანიშნულება აქვს მის ხსენებას ლექსის ფინალში?

დისკუსია

გაეცანით შეკითხვებს და წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.

1. სანთელს აქვს ნათების უნარი, მაგრამ თავისით ვერ აინთება - საჭიროა ვიღაც, ვინც მას ცეცხლს მოუკიდებს. ადამიანებსაც აქვთ სიკეთის ქმნის, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების კეთების პოტენციალი (ძალა), მაგრამ, აკაკის თქმით, ეს საკმარისი არ არის - საჭიროა „ცეცხლის მომტანი“.

• როგორ ფიქრობთ, ვის ან რას გულისხმობს პოეტი „ცეცხლის მომტან“ მნათეზე საუბრისას?

ამისთვის წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები. შემდეგ ისაუბრეთ, თქვენი აზრით, რომელი გამოხატავს ყველაზე უკეთ აკაკის აზრს. თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

გაითვალისწინეთ: შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, შეგიძლიათ, მოიფიქროთ და წარმოადგინოთ ახალი, განსხვავებული ვარიანტიც.

მნათეში იგულისხმება:

- ✓ ლიდერი - ერის წინამძღოლი, რომელიც ხალხის ძალას სწორ მიმართულებას მისცემს;
- ✓ იდეა, რომელიც ხალხს ქვეყნის საკეთილდღეოდ მოქმედებისკენ უბიძგებს;
- ✓ განათლება, რომელიც ხალხს დაეხმარება სწორი არჩევანის გაკეთებაში.

2. ისაუბრეთ, ხომ არ გქონიათ შემთხვევა, როდესაც სხვა ადამიანი დაგეხმარათ რაიმეს კეთების უნარის ან ახალი ძალის აღმოჩენაში - გამხნევებით, მაგალითის ჩვენებითა თუ რჩევის მოცემით.

დაწერეთ, ვინ იყო ეს ადამიანი, რომელმაც თქვენ „ცეცხლი მოგიტანათ“, როგორ და რა სიტუაციაში მოხდა ეს ამბავი, რა იგრძენით ამ დროს, რა გასწავლათ ამ შემთხვევამ.

მწერლის ენა და სტილი

1. გაიხსენეთ მხატვრული ხერხი ალეგორია.

ალეგორია არის მხატვრული ხერხი, რომლის საშუალებითაც ერთი საგნის ან მოვლენის აღწერით სხვა, უფრო მნიშვნელოვანი აზრი იგულისხმება.

ალეგორიის ხერხი ფართოდ გამოიყენება იგავ-არაკებში.

2. აკაკის ლექსში ნახსენები საგნები დააკავშირეთ მათ ალეგორიულ მნიშვნელობებთან.

ტექსტში მოცემული საგანი და მისი ალეგორიული მნიშვნელობა	რა საერთო თვისება აქვთ?
1. სანთელი - ადამიანის სხეული	ა) სათაყვანებელია, წმინდაა, სულიერი საყრდენია.
2. პატრუქი - სიცოცხლე	ბ) გზას გვიჩვენებს, გვიკვალავს.
3. ნათელი - ჭკუა-გონება	გ) ილევა, დნება, ფიზიკურია.
4. ხატი - სამშობლო	დ) მალე მთავრდება, ცოტა დრო აქვს.

3. მოიფიქრეთ ალეგორია

ქვემოთ მოცემული სიტყვებიდან აირჩიეთ ნებისმიერი სამი ან ოთხი და დაწერეთ, თუ რა მნიშვნელოვანი აზრის გადმოსაცემად გამოიყენებდით მას.

წერისას იხელმძღვანელეთ ნიმუშით.

კომპასი, წყვდიადი, ცეცხლი, მერცხალი, მზე, ხიდი.

ნიმუში. კომპასი შეიძლება იყოს სინდისის ალეგორია, რომელიც ყოველთვის მართებულ გზას გვიჩვენებს.

4. მოძებნეთ ლექსში ეპითეტები. ისაუბრეთ, რა ემოციურ განწყობილებას ქმნიან ისინი, რა ნიშნით გვიხასიათებენ საგანს ან მოვლენას.



შემოქმედებითი სახელოსნო

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება ან დავალებები, შემდეგ წარადგინეთ კლასის წინაშე:

1. ლექსში გვხვდება სიტყვები, რომლებიც სინათლესთანაა დაკავშირებული. ამოიწერეთ ეს „მანათობელი“ სიტყვები და იმსჯელეთ, რა განწყობილებას ქმნის ისინი.
2. ისაუბრეთ, რომელ ფერებს გამოიყენებდით, თუკი ნახატს შექმნიდით ამ ლექსის მიხედვით, თქვენი არჩევანი ახსენით ტექსტზე დაყრდნობით. სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ ნახატის შექმნაც.
3. თქვენი საყვარელი მელოდიებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე უკეთ შეესატყვისება აკაკის ამ ლექსს, და მის ფონზე წაიკითხეთ ეს ტექსტი.
4. წარმოიდგინეთ, რას შეიძლება გრძნობდეს ან ფიქრობდეს ანთებული სანთელი და დაწერეთ **„სანთლის მონოლოგი“** - „აალაპარაკეთ“ სანთელი პირველ პირში გაპიროვნების ხერხის გამოყენებით (მაგ.: სად ანთია, მარტოა თუ არა, რისი ეშინია, რა სურს, რა უყვარს ან უხარია, რა აწუხებს და ა.შ.).



იმსჯელეთ

გაეცანით ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისს და იმსჯელეთ.

თავის ერთ-ერთ სტატიაში ვაჟა-ფშაველა წერდა, რომ სამშობლოს სამსახური, თანამემამულეებისთვის გაწეული გონივრული შრომა ყველა სხვა ქვეყნისთვისაც სასარგებლოა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ვაჟა მოიხსენიებს სხვადასხვა ეროვნების მოღვაწეებს, რომელთა შრომის შედეგებითაც მთელი მსოფლიო სარგებლობს: ამერიკელ თომას ედისონს, რომელმაც გამოიგონა ყველა ერისთვის თანაბრად გამოსადეგი ხმის ჩამწერი აპარატი; ინგლისელ უილიამ შექსპირსა და სხვა გენიალურ მწერლებს, რომელთა შემოქმედებაც ახლობელია ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანებისთვის. აი, ვაჟას სიტყვებიც:



ვაჟა-ფშაველა

„ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელი თავისი ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს ... რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა ტკბება დღესაც. ეგრეთვე ... სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელ კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად“ (ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

- თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ერთ ქვეყანაში გაკეთებული კონკრეტული საქმე - მაგ.: წიგნის დაწერა, მეცნიერული აღმოჩენა, ტექნიკური გამოგონება, სატრანსპორტო ქსელის გაყვანა - სხვა ქვეყნებისთვისაც იყოს სასარგებლო? თქვენი მოსაზრება ახსენით.
- ვაჟა-ფშაველა ასახელებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებმაც სამსახური გაუწიეს თავიანთ ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოს. კიდევ რომელი ქართველი ან უცხოელი მოღვაწეების დასახელება შეგიძლიათ ვაჟა-ფშაველას მოსაზრების გასამყარებლად? დაფიქრდით და მოიყვანეთ, სულ მცირე, ერთი დამატებითი მაგალითი.
- იზიარებთ თუ არა ვაჟას მოსაზრებას? რატომ?
- თქვენი აზრით, რა კავშირია აკაკი წერეთლის სიტყვებს: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“ - და ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისს შორის?

წერითი დავალება

დაწერეთ, როგორ გესმით აკაკის სტრიქონები: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“. ახსენით, პოეტის როგორი დამოკიდებულება იკვეთება მათში ქვეყნისა და დანარჩენი მსოფლიოს მიმართ, როგორ წარმოაჩენს აკაკი სამშობლოს ადგილს დიდ სამყაროში. გადმოეცით, იზიარებთ თუ არა მოსაზრებას, რომ შეიძლება იყო ქვეყნის პატრიოტი და, იმავდროულად, დიდი მსოფლიო ოჯახის ღირსეული წევრი. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისი.

7. ანა კალანდაძე (1924-2008)



„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა...“

ანა კალანდაძე

ანა კალანდაძეს პირველი ლექსი თერთმეტი წლისას დაუწერია. სახელიც ახალგაზრდამ გაითქვა.

ანა კალანდაძემ ქართულ პოეზიაში ახალი სამყარო შემოიტანა, რომელიც განსხვავებული იყო თავისი თემებითა და სტილით. ამ ყველაფერს კი ის ლექსიკა, ფრაზები, რიტმები, განწყობა ქმნიდა, რომლებიც მას ქართველი მკითხველის საყვარელ შემოქმედად აქცევდა, ამიტომაც უწოდეს „ქართული პოეზიის დედოფალი“. პოეტი მუხრან მაჭავარიანი ანა კალანდაძის შესახებ წერდა: „მშობლიური ენის სულზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა, რაც ყველა დროში და ყველა ქვეყანაში არის ლექსის უკვდავების საწინდარი.“

ანას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამშობლოსთვის მიძღვნილ ლექსებს, რომლებშიც პოეტის გულწრფელი სიყვარული წარმოჩნდება. ერთი ამ ლექსთაგანია „საქართველოო ლამაზო“.

საქართველოო ლამაზო

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო...
„სხვა საქართველო სად არი?“
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა - არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენი დიდება!
„სხვა საქართველო სად არი?“

მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში - ტყე დანაბინდები,
ტყეში - ქორბუდა ირმები...
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევ, მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“

ლურჯი ბალახი მხარამდი,
მწყერი გოგმანობს ბალახში...
თეთნულდზე - თოვლი მარადი,
ვენახზე - მზე და ბადახში“...
სხვა საქართველო ვინ ნახა?
„სხვა საქართველო სად არი?“

როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოაწყდება ზღვაური
მეშვიდე ცაზე ატანილს...
კლდეებში ჯიხვი დაფრთხება
გორში იტირებს ატამი,
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი,
„სხვა საქართველო სად არი?“





აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
და თუნდაც გადმოსულიყო
მტერი შმაგი და ვერანი,
მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა,
სით გაუშვებდა ლელაი?
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...

მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი,
დაბლა შრიალებს მოლისებრ
ყანაი გაუყელავი...
ფიქრს დაუღლია ონისე,
ბახტრიონს მიდის ლელაი...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“

სიტყვების განმარტება

ძეწნა - დეკორატიული ხე ტირიფისებრთა ოჯახიდან, მტირალა ტირიფი.
ნაავადარი - ნაავადმყოფარი.
სადარი - მსგავსი, შესადარებელი, „არცა რისი სადარი“ - შეუდარებელი.
დანაბინდები - სიბნელეშერეული.
ქორბუდა - დიდი, დატოტვილრქებიანი ირემი.
გოგმანობს - მოხდენილად, ლამაზად, ნარნარით დადის.
ბადახში - წითელი ფერის ძვირფასი ქვა, ლალი.
ცათანი - ციური, ცაში მყოფნი.
ზღვაური - ზღვის მხრიდან მონაბერი ძლიერი ქარი.
შმაგი - აქ: მძვინვარე, გაცოფებული.
ვერანი - აქ: ოხერი, ტიალი.
ალუდა - ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი - კაცი, რომელიც მტრის ღირსებას იცავს.
„სულიკო“ - აკაკი წერეთლის ლექსი სიყვარულის უკვდავებაზე.
„მერანი“ - ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი ადამიანის თავისუფლებაზე.
გაუყელავი - გაუკვალავი, ადამიანს რომ არ გაუვლია.
ონისე - ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერ გოჩას“ პერსონაჟი, რომელმაც სიყვარულსა და მოვალეობას შორის უნდა აირჩიოს.
ლელა - ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ პერსონაჟი, რომელიც თავს სწირავს სამშობლოს.

უპასუხეთ კითხვებს

1. ვის მიმართავს პოეტი ლექსის დასაწყისში?
2. მოძებნეთ გაპიროვნების მაგალითები და იმსჯელეთ, რა განცდა შემოაქვს თითოეულ მათგანს ლექსში?
3. როგორ შეიძლება გავიგოთ სიტყვები: „ეჭვებით ნაავადარი“? თქვენი აზრით, რა „ეჭვები“ შეიძლება ღრღნიდეს პოეტის გულს?
4. როგორ ხატავს პოეტი სამშობლოს? რომელ დეტალებს გამოკვეთს საქართველოს სიტყვიერ პეიზაჟში?
5. ბალახი, რა თქმა უნდა, მწვანეა. რატომ შემოაქვს პოეტს ბალახის მსაზღვრელად ლურჯი? რა განცდას ბადებს მკითხველში ფერის ასეთი შეცვლა?
6. პოეტი ლექსში რამდენჯერმე იმეორებს სტრიქონებს, ასევე, ლექსის დასასრულს მეორდება დასაწყისი სტროფი. თქვენი აზრით, რა დანიშნულებით იყენებს ასეთ გამეორებებს ლექსში? რატომაა ერთნაირი ლექსის დასაწყისი და დასასრული?

დისკუსია

გაეცანით შეკითხვებს და წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები.

1. ლექსში ნახსენებ ლიტერატურულ ტექსტებს ან პერსონაჟებს თქვენ რომელს დაამატებდით?
2. რა თვისებებს შემატებს ქართველის ხასიათს თქვენ მიერ დასახელებული პერსონაჟი ან ნაწარმოები? ზეპირად ჩამოაყალიბეთ და ახსენით თქვენი მოსაზრებები ტექსტებზე დაყრდნობით.

მწერლის ენა და სტილი

1. გავიხსენოთ, რა არის რითმა.

რითმა არის სალექსო სტრიქონების ბოლოს ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების კანონზომიერი გამეორება.

იმისდა მიხედვით, თუ რომელი ბგერები მეორდება სტრიქონის ბოლოს, რითმა ორი სახისაა:

1. ზუსტია რითმა, თუკი სტრიქონების ბოლოს ერთი და იგივე ბგერები მეორდება. ზუსტი რითმაა, მაგ.: ჭადარი/ნაავადარი.

2. არაზუსტია რითმა, თუკი სტრიქონების ბოლოს მსგავსი ბგერები მეორდება. არაზუსტი რითმაა, მაგ.: მხარამდი/მარადი.

რითმა ლექსის მუსიკალურობას აძლიერებს.

- მოძებნეთ ლექსში და ამოიწერეთ ორი ზუსტი და ორი არაზუსტი რითმა. ისაუბრეთ, რომელი ბგერები მეორდება მათში და როგორ აძლიერებს ეს ლექსის მუსიკალურობას.

ლიტერატურული მეგზური

დიალოგი ტექსტებს შორის

ანა კალანდაძის ლექსის „საქართველოო ლამაზო“ შთამაგონებელი გამხდარა მე-19 საუკუნის ქართველი პოეტის, გრიგოლ ორბელიანის, პოემა „სადღეგრძელოს“ ერთ-ერთი სტრიქონი - „სხვა საქართველო სად არის“. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა ლიტერატურაში, როდესაც ერთი მხატვრული ტექსტი მეორის შექმნას ბიძგს აძლევს.

ანა კალანდაძე პირდაპირ ციტატას მოიხმობს გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან, თუმცა ასევე მოიხსენიებს სხვა ქართველი მწერლების ლექსებსა და პერსონაჟებს: ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“, აკაკი წერეთლის „სულიკოს“, ვაჟა-ფშაველას პოემების

- „ბახტრიონისა“ და „ალუდა ქეთელაურის“ - პერსონაჟებს: ლელასა და ალუდას, ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის პერსონაჟს, ონისეს. ქართველ მწერალთა შემოქმედება პოეტისათვის განუყოფელი და მარად ცოცხალი ნაწილია საქართველოსი.

ამ მოვლენას ტექსტების დიალოგი შეიძლება ვუწოდოთ.

სიტყვების კიდობანი

ქართული ენის საგანძური: სიარულის აღმნიშვნელი სიტყვები

ანა კალანდაძის ლექსში ვხვდებით ასეთ ფრაზას: „მწყერი გოგმანობს ბალახში“.

სიტყვა „გოგმანის“ მნიშვნელობას სიტყვათა განმარტებაში უკვე გაეცანით - მოხდენილად, ლამაზად, ნარნარით სიარულს ნიშნავს.

სიტყვა „სიარულს“ მრავალი სინონიმი აქვს, რომლებიც სხვადასხვანაირ მოძრაობას გამოხატავენ. მიდის - ძირითადი სიტყვაა, რომელიც მთქმელის შეფასებით დამოკიდებულებას არ გვიჩვენებს, მაგრამ არსებობს ზმნები, რომლებიც სიარულს, სვლას, გადაადგილებას სულ სხვადასხვანაირ გამომსახველობას მატებენ და თითოეულს განსხვავებული ემოცია ახლავს. აი, ზოგიერთი ასეთი ზმნა:

მიეხეტება, მიღოღავს, მიყანყალებს, მიცუნცულებს, მიბაჯბაჯებს, მიფრატუნებს, მიძუნძულებს, მინავარდობს, მიიზლაზნება, მიქრის, მიბარბაცებს, მიკუნტრუშებს, მიხტის.

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში მოყვანილი ზმნები რვეულში და თითოეულს მიუწერეთ შესაბამისი განმარტება, მოიძიეთ განმარტებები ბეჭდურ ან ციფრულ ლექსიკონებში.

სავარჯიშო 2. ქვემოთ ჩამოთვლილ ცხოველებს მიუსადაგეთ სიარულის გამომხატველი შესაბამისი ზმნა და ჩაწერეთ რვეულში:

თაგვი, მელა, დათვი, კუ, მგელი, გველი, ცხენი, ირემი, კენგურუ.

შენიშვნა: შესაძლოა, ერთ ცხოველს შეუსაბამოთ ორი ან მეტი შესაფერისი ზმნა, ან პირიქით: ორ ცხოველს - ერთი და იგივე ზმნა.

სავარჯიშო 3. დაწერეთ თხრობითი ტექსტი: **„გასეირნება საყვარელ ქუჩაზე“**, რომელშიც გამოიყენებთ სიარულის აღმნიშვნელ სხვადასხვა ზმნას. წარმოაჩინეთ სიტუაცია კონკრეტული დეტალების გამოკვეთით: რომელ ქუჩაზე იმყოფებით, დღის რომელი მონაკვეთია, როგორი ამინდია, რას ხედავთ. წარმოიდგინეთ ამ ქუჩაზე მყოფი სამი-ოთხი სხვადასხვა ადამიანი (მაგ.: მოხუცი, რომელიც ხელჯოხს ეყრდნობა; სპორტსმენი, რომელიც გარბენს ასრულებს;

მოსწავლე, რომელიც ნაყინს მიირთმევს; სტუდენტი, რომელსაც ლექციაზე აგვიანდება; ტურისტი, რომელსაც მძიმე ზურგჩანთა ჰკიდია) და გადმოეცით თითოეული მათგანის მოძრაობა სიარულის აღმნიშვნელი განსხვავებული ზმნებით. გახსოვდეთ: ზმნაში უნდა ჩანდეს, რას აკეთებს ან როგორ განწყობაზეა ადამიანი.

წერისას შეგიძლიათ ისარგებლოთ ზმნების ჩამონათვალით, რომელიც ზემოთაა მოცემული.

მოგზაურობა ციფრულ სამყაროში

მოუსმინეთ ანა კალანდაძის ლექსზე „საქართველოო ლამაზო“ შექმნილ სიმღერას. ისაუბრეთ, რამდენად ზუსტად გადმოსცემს მუსიკა ლექსის განწყობილებას, თქვენი მოსაზრება ახსენით.

შემოქმედებითი დავალება

დაწერეთ თხზულება **„სიტყვით დახატული საქართველო“**. შეარჩიეთ ამ თავში შესწავლილი ორი-სამი ნაწარმოები და იმსჯელეთ, როგორ წარმოგვიჩენენ მათი ავტორები ჩვენს ქვეყანას.

ნამუშევარში:

- დაასახელეთ თქვენ მიერ შერჩეული ნაწარმოებები და ახსენით, რით არის სამშობლო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მწერლებისთვის;
- ისაუბრეთ, რაზე ამახვილებენ მწერლები ყურადღებას: მაგ.: ადამიანებზე, ბუნებაზე, კულტურაზე, პასუხისმგებლობაზე; წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე;
- გამოკვეთეთ, რა საერთო სათქმელი აქვთ მწერლებს, რა მსგავსება-განსხვავებაა მწერლების დამოკიდებულებაში სამშობლოს მიმართ;
- აღნიშნეთ, რა მხატვრული ხერხებით გადმოსცემენ მწერლები თავიანთ სათქმელს;
- აღნიშნეთ, თქვენზე რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება და რატომ;
- თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი ადგილები ნაწარმოებებიდან.

წერისას გამოკვეთეთ სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა; დაყავით ტექსტი აბზაცებად, დაიცავით მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

„ილოცეთ და იყავით!“


ილია II

თავი II
ცოდნის გზაზე



- რისთვის სწავლობს ადამიანი?
- რა დაბრკოლებები შეიძლება შეგვხვდეს ცოდნისკენ მიმავალ გზაზე და როგორ გადავლახოთ ისინი?
- რა გავლენას ახდენს ბავშვობის გაკვეთილები ჩვენს მომავალზე?

1. დავით გურამიშვილი (1705-1792)



დავით გურამიშვილი
(ავტორი: უჩა ჯაფარიძე)

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“
დავით გურამიშვილი

მე-18 საუკუნის ქართველი პოეტის, დავით გურამიშვილის, ცხოვრება მთლიანად განაპირობა იმ ეპოქამ, რომელშიც ის დაიბადა: მტერთა გაუთავებელი შემოსევები ამოსუნთქვის შესაძლებლობას არ აძლევდა ქვეყანას. „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადაო“, - ამგვარად ახასიათებს იმდროინდელ საქართველოს პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებაში გვიამბობს მშობელი ქვეყნის ტრაგიკულ ბედთან გადაჯაჭვულ პირად თავგადასავალს. ქარტეხილებით აღსავსე ცხოვრებამ შორს „გასტყორცნა“ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დავითი - თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მან რუსეთში გაატარა. სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ კი უკრაინაში დასახლდა და იქვე გარდაიცვალა.

თავისი პოეტური კრებული „დავითიანი“ გურამიშვილმა თავადვე გადაწერა და უკრაინაში მყოფ მეფე ერეკლე II-ის ვაჟს, მირიან ბატონიშვილს, გამოატანა მონატრებულ სამშობლოში. გადმოცემის მიხედვით, სამშობლოსკენ მიმავალი ქართველები მდინარე დონის გადალახვისას დიდ გასაჭირში ჩაცვივდნენ, წიგნი მდინარეში ჩაუვარდათ, მაგრამ მირიან ბატონიშვილმა და მისმა მხლებლებმა თავი არ დაზოგეს და პოეტის ძვირფასი ხელნაწერი გადაარჩინეს. დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებამ სწორედ ამ ერთადერთი ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე.



ჩანახატი პოეტის ხელნაწერიდან
(დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).

სწავლა მოსწავლეთა

1. ისმინე, სწავლის მძებნელო, მოყევ დავითის მცნებასა:
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა!
თავს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა; -
ჭირს მყოფი ლხინში შესული შვებად მიითვლი ვნებასა!

2. სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია თავისა გასაყოფელი.
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი!

3. ცოდნა თან დასდევს მცოდნესა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების;
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების!

4. ჩემის უცებით შევატყევ, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია;
ავი და კარგი, გარჩევით ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია;
მინდა და ცოდნის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია;
ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვიანი კაცი ბრიყვია!

5. ვით უსაჭურვლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს,-
ეგრეთ ჭკვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

6. ვსძებნე და ვერა ვჰპოე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა:
ბრძენსა აქვს თავის უფლება სოფელში ყოფნა ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა:
ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა!

7. ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი - თავის ხელითა,
ხუცესი - წირვით, ვაჭარი - შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა,
მოლაშქრე - სისხლის ქცევითა, მხვნელი - ოფლითა ცხელითა,
გლახა - კარისკარ თხოვნითა, - შენა გწადს აწ რომელითა?

8. ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო?
ვით რემა, ხნარცვს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო!

სიტყვების განმარტება

სწავლის მძებნელი - მოსწავლე, ცოდნის შეძენის მსურველი.
დავითის მცნებასა - დავითის შეგონებას, დარიგებას. აქ გურამიშვილი გულისხმობს თავის თავსაც და ბიბლიურ დავით წინასწარმეტყველსაც, ისრაელის მეფეს, ფსალმუნების შემთხზველს (ძვ. წ. XI-X სს.).
თუ ეძებ გემოვნებასა - თუ გინდა, რომ გემო კარგად შეიგრძნო, გემოთი ისიამოვნო.
ვნებასა - გაჭირვებას.
სიკვდიმდე - სიკვდილამდე.
რაზომსაც დაეტარების - სადაც წავა.
საუნჯე - განძი, სიმდიდრე.
ხელი არ შაეკარების - ხელუხლებელია, ხელს ვერავინ შეახებს.
უცებით - უცოდინრობით, უვიცობით.
გარჩევით - ცხადად, გარკვევით.
უსაჭურვლოდ - უიარაღოდ.
საწადი - საწადელი, სურვილი.
მისთვის ღონობდეს - ამის გამო დაღონებული, გულნატკენი დარჩეს.
მოქნებისა - მოეხვევა.
სიტყვითა დარჩების - თავს ირჩენს თავისი სიბრძნით.
შენა გწადს აწ რომელითა - შენ რომელი ხელობით გსურს ცხოვრება.
საცნობლად თავისადაო - საკუთარი თავის შესაცნობად.
სიდამ - საიდან.
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად - ვინც მიწისაგან შექმნა ჭურჭლად (დავით გურამიშვილი გულისხმობს ადამიანის შექმნის ბიბლიურ გადმოცემას - ღმერთმა ადამი მიწისაგან შექმნა და შთაბერა თავისი სული, ანუ ადამიანის სხეული იქცა ღვთაებრივი სულის ჭურჭლად).
რას უძღვნის ხელფასადაო - აქ: რას უძღვნის სამადლობელოდ დამბადებელს, უფალს.
რემა - ძველად ასე უწოდებდნენ გაუხედნავ ცხენს. თანამედროვე ქართულში რემა ნიშნავს ცხენის ჯოგს, ანუ ბევრ ცხენს ერთად.
ხნარცვს - ორმოში, თხრილში.
ულაგმო - ლაგამი - ცხენის პირში ამოსადები რკინა, აღვირის ნაწილი.
უსადაო - სადავე - ლაგმის თასმა, რომელიც მხედარს ხელში უჭირავს და მართავს ცხენს.
ულაგმო და უსადაო - აქ: ნებაზე მიშვებული, აღვირახსნილი.



უპასუხეთ კითხვებს

1. ვის მიმართავს პოეტი დარიგებით ლექსის დასაწყისში?
2. როგორ შეიძლება გავიგოთ დავითის შეგონება: „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ - ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“? რის შესახებ აფრთხილებს სწავლის მძებნელს ამ სიტყვებით პოეტი?
3. კიდევ რომელი სიტყვები ამყარებს იმ აზრს, რომ ჯერ მწარისა და შემდგომ ტკბილის ჭამაა სწორი არჩევანი?
4. როგორ გვისაბუთებს პოეტი სწავლის მნიშვნელობას მე-2 და მე-3 სტროფების მიხედვით?
5. გურამიშვილის თქმით, სწავლა „უხილავი საუნჯეა“. რით განსხვავდება ეს ჩვეულებრივი სიმდიდრისგან? მოიყვანეთ, სულ მცირე, ორი განსხვავება ტექსტზე დაყრდნობით.

6. რას ადარებს დავით გურამიშვილი უსწავლელ ადამიანს?
7. ახსენით, როგორ შეიძლება, რომ ჭკვიანი კაცი, იმავდროულად, ბრიყვი (სულელი, უმეცარი) იყოს? რას უნდა ნიშნავდეს დავით გურამიშვილის ლექსში ჭკვიანი და რას - ბრიყვი?
8. მე-5 სტროფის მიხედვით, რომელი ცხოვრებისეული შედარებებით ასაბუთებს პოეტი, რომ ცოდნა მიზნის მისაღწევად აუცილებელია?
9. ლექსის მე-8 სტროფის მიხედვით, რას შეიძლება ნიშნავდეს ლაგამი და სადავე? პოეტის თქმით, რა ელის მას, ვისაც ასეთი „აღვირი არ აქვს“?

დააკვირდით

- დავით გურამიშვილი ცხადად გვაჩვენებს, თუ რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს ადამიანის ცხოვრებაში ცოდნას, როგორი საუნჯეა ის. დააკვირდით მე-6 სტროფს და ახსენით, პოეტის თქმით, რა უპირატესობა აქვს ბრძენს, მცოდნე ადამიანს.

- დავით გურამიშვილი „უხორთუმო სპილოს“ ადარებს უსწავლელ ადამიანს. ახსენით, როგორ გესმით პოეტის მიერ მოხმობილი შედარება - რით უკავშირდება ეს სახე ადამიანს, რომელსაც აქვს ბუნებრივი ნიჭი, მაგრამ არ აქვს განათლება?

- დააკვირდით მე-8 სტროფს და ისაუბრეთ: პრაქტიკული დანიშნულების - სარჩოს შოვნის - გარდა, კიდევ რას მიიჩნევს დავით გურამიშვილი ცოდნის ღირებულებად?

- ლექსის მე-8 სტროფში ვკითხულობთ: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო“.

საკუთარი თავის შეცნობას სხვაგვარად „თვითშემეცნებას“ უწოდებენ. ეს ნიშნავს საკუთარი „მეს“ აღმოჩენას - იმის დადგენას, თუ ვინ ვართ სინამდვილეში, როგორია ჩვენი შინაგანი სამყარო.

სავარჯიშო. კონკრეტულად, რას გულისხმობს საკუთარი „მეს“ აღმოჩენა, თქვენი აზრით?

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები და დაასახელეთ, რომელია არასწორი. პასუხი დაასაბუთეთ.

ეს გულისხმობს:

ა) პირადი სურვილების, ინტერესებისა და სამომავლო მიზნების განსაზღვრას;

ბ) საკუთარი თავის სხვებისთვის უკეთ გაცნობას პოპულარობის მოსაპოვებლად;

გ) საკუთარი შესაძლებლობების, ძლიერი და სუსტი მხარეების გააზრებას;

დ) საკუთარი პიროვნული თვისებების (მაგ.: გულწრფელობის, სიმამაცის) ამოცნობას;

ე) საკუთარ ემოციებში გარკვევას (მაგ.: რა გვახარებს, რა გვასევდიანებს).

დისკუსია

მოაწყვეთ კლასში დისკუსია შემდეგ საკითხებზე:

1. თქვენი სწავლის პროცესში რა არის ამჟამად „მწარე“ - რა გესახებათ ყველაზე დიდ პრობლემად?

2. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი „ტკბილი კენწერო“ (როგორ ფიქრობთ, რას მიაღწევთ ბეჯითი შრომის შედეგად)?

3. გურამიშვილი ამბობს: „ბრძენსა აქვს თავის უფლება სოფელში ყოფნა ნებისა“.

- მწერლის აზრით, ბრძენი საკუთარი ნების პატრონია, თავის თავს თვითონ განაგებს და თავისუფალია. ნიშნავს თუ არა ეს, რომ გაუნათლებელი ადამიანი მუდამ სხვებზეა დამოკიდებული?
- შეიძლება თუ არა ადამიანი ნამდვილად თავისუფალი იყოს ცოდნის გარეშე, თუკი მას არ გააჩნია ცოდნა სხვადასხვა გზის დასანახად, გააზრებული არჩევანის გასაკეთებლად? დასასაბუთებლად დაიმოწმეთ კონკრეტული მაგალითი ლიტერატურიდან ან ცხოვრებიდან.
- როგორ ეხმარება ცოდნა ადამიანს, რომ არ იყოს სხვებზე დამოკიდებული? პასუხის დასასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი მაგალითები.

4. პოეტის აზრით, სწავლის პროცესი მწარეა, შედეგი კი - ტკბილი.

- როგორ ფიქრობთ, მისაღებია თუ არა ეს აზრი 21-ე საუკუნეში? შეიძლება თუ არა სწავლა თავიდანვე „ტკბილი“ (ადვილი და სახალისო) იყოს, თუ გარკვეული „სიმწარე“ (შრომა, გარჯა) მაინც აუცილებელია წარმატებისთვის? თქვენი მოსაზრება ახსენით.

5. ბრძენი და მხვნელი, მოლაშქრე, ვაჭარი: მე-7 სტროფში პოეტი ჩამოთვლის პროფესიებს და მათი სარჩოს (შემოსავლის) წყაროებს.

- დღეს, ტექნოლოგიების ეპოქაში, რომელი უფრო მნიშვნელოვანია: „ოსტატობა“ (პრაქტიკული უნარი) თუ „ბრძნული სიტყვა“ (თეორიული ცოდნა)? შესაძლებელია თუ არა მათი გამიჯვნა? ახსენით.

6. გურამიშვილი განათლების გარეშე დარჩენილ ახალგაზრდას ადარებს უაღვირო, უმართავ ცხენს, რომელიც ადვილად შეიძლება „ხნარცვში“ (ორმოში, უფსკრულში) გადაიჩეხოს. აქ ლაგამი და სადავე ცოდნასა და თვითდისციპლინას გულისხმობს.

- როგორ ფიქრობთ, რატომ ადარებს ავტორი უსწავლელ ადამიანს მაინცდამაინც „ულაგმო და უსადაო“ ცხენს? რა არის ის „ხნარცვი“ (ორმო), რომლისგანაც სწავლამ უნდა დაგვიცვას? მოიყვანეთ მაგალითები თანამედროვე ცხოვრებიდან.

იმსჯელეთ

1. დავით გურამიშვილის აზრით, სწავლამ ადამიანი უნდა დააფიქროს მნიშვნელოვან მარადიულ კითხვებზე: ვინ არის? საიდან მოვიდა? სად არის? საით მიდის? ავტორის აზრით, სწორედ ამ კითხვებზე პასუხის ძიებაა სწავლის მთავარი მიზანი.

- იმსჯელეთ, რატომ მიიჩნევს დავით გურამიშვილი, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ სწავლით არის შესაძლებელი და როგორ ეხმარება ადამიანს ცოდნა საკუთარი „მეს“ პოვნაში? პასუხი ახსენით.

2. გურამიშვილის თქმით, სწავლის უმნიშვნელოვანესი მიზანი საკუთარი თავის შეცნობაა. თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა, რომ ადამიანმა ერთხელ და სამუდამოდ შეიმეცნოს საკუთარი თავი, თუ ეს პროცესი მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება? მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად დაფიქრდით:

- ხართ თუ არა პიროვნულად ზუსტად ისეთივე, როგორიც იყავით პირველ კლასში? რა შეიცვალა თქვენში? მაგ.: ინტერესები, შეხედულებები.
- რა არის ამ ცვლილებების მიზეზი? მაგ.: ახალი ცოდნა, გამოცდილება, განსხვავებული გარემო.
- როგორ ფიქრობთ, იქნებით თუ არა ზუსტად ისეთივე პიროვნება, როგორიც ახლა ხართ, 5 წლის შემდეგ, მე-11 კლასში?

შემოქმედებითი სახელოსნო

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. „ჩემი უხილავი საუნჯე“ - ჩამოწერეთ ოთხი-ხუთი რამ, რაც უკვე ისწავლეთ სკოლასა თუ ცხოვრებაში და რასაც ვერავინ ვერანაირი ძალით ვერ წაგართმევთ.

2. „გურამიშვილის გაკვეთილები“ - მოიხმეთ შესაბამისი აფორიზმები (ციტატები) ლექსიდან, რათა გააბათილოთ შემდეგი დებულებები:

ა) მეგობარი გეუბნებათ: „რად გინდა ამდენი სწავლა, მაინც დაგავიწყდება, წამოდი, გავერთოთ“.

ბ) გეუბნებიან, რომ სიმდიდრე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მისი დანახვა შეიძლება, ცოდნა კი უხილავია.

3. „ჩემი ცოდნის ხე“ - გურამიშვილი წერს: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“. ყველა ხე ფესვებიდან იზრდება,

ტანს იყრის, ტოტებს შლის და კენწეროთი გვირგვინდება. ამას დიდი დრო სჭირდება. სწავლაც ასეთივე ხანგრძლივი პროცესია.

დახატეთ თქვენი პირადი „ცოდნის ხე“ და შეავსეთ ყველა ნაწილი.

ფესვები

გაიხსენეთ და დაწერეთ, საიდან მოდის თქვენი ცოდნა: რა ისწავლეთ ოჯახში, დაწყებით კლასებში (ცოდნა, ღირებულებები, ჩვევები), რა გასწავლათ პირადმა გამოცდილებამ (წარმატებამ, წარუმატებლობამ).

ხის ტანი (ზრო)

დაწერეთ, როგორი ხართ ახლა: რა პრობლემებს ხვდებით, რა გაინტერესებთ ყველაზე მეტად, რა თვისებები გეხმარებათ სწავლაში.

ტოტები და კენწერო

დაწერეთ, რას გინდათ მიაღწიოთ ხუთ წელიწადში, რომელ პროფესიას აირჩევთ; რა „ნაყოფის“ მოტანა გსურთ თქვენთვის, ოჯახისთვის, საზოგადოებისთვის.

გახსოვდეთ: თქვენი „ცოდნის ხე“ თქვენთან ერთად იზრდება.



წერითი დავალება

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

დავალება 1. დაწერეთ თხზულება თემაზე: **„სწავლა - გზა საკუთარი თავისაკენ“**, რომელშიც გააანალიზებთ დავით გურამიშვილის სიტყვებს:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:

ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“.

თხზულებაში გამოკვეთეთ სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

შესავალში:

- ახსენით, რას ნიშნავს „საცნობლად თავისადაო“ - რატომ მიიჩნევს გურამიშვილი, რომ სწავლის მთავარი მიზანი საკუთარი თავის შეცნობაა - როგორ ეხმარება ცოდნა ადამიანს საკუთარი ვინაობის გაგებაში.

ძირითად ნაწილში:

- ახსენით, როგორ გესმით საკუთარი თავის შეცნობა („სად არის“);
- ისაუბრეთ, რატომაა მნიშვნელოვანი ვიცოდეთ ჩვენი ისტორია, წინაპრები, „ფესვები“ - ის, თუ საიდან მოვდივართ, როგორ გვეხმარება ეს დღევანდელ ცხოვრებაში („სიდამ მოსულა“);
- დაფიქრდით, როგორ განსაზღვრავს განათლება თქვენს სამომავლო გზას, რა კვალის დატოვება გსურთ („წავა სადაო“).
- მსჯელობისას მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები თქვენი ცხოვრებიდან, წიგნებიდან ან ფილმებიდან (როგორ დაგეხმარათ რაიმე ახლის სწავლა თქვენ ან პერსონაჟს საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში).

დასკვნაში:

- შეაჯამეთ: რა კავშირია ცოდნასა და საკუთარი თავის შეცნობას შორის, გრძელდება თუ არა საკუთარი თავის შეცნობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და რატომ.

დავალება 2. დაწერეთ თხზულება თემაზე: **„სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“**. გამოკვეთეთ სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

შესავალში:

- სწავლისას ყველა ადამიანს განუცდია სირთულეები (მაგ.: რაღაცის ვერგაგება, ახლიდან დაწყება, ნელი პროგრესი). აირჩიეთ ერთი პრობლემა და ახსენით, რატომ გეჩვენებათ ის ყველაზე რთულად.

ძირითად ნაწილში:

- მოიყვანეთ მაგალითი ან მაგალითები პირადი გამოცდილებიდან, როდესაც რაღაცის სწავლა გაგიჭირდათ (მაგ.: რთული თემა ქართულში, უცხოურ ენაში, ილეთი სპორტში). გადმოეცით: კონკრეტულად რა გაგიძნელდათ, რამდენჯერ სცადეთ, როდის შეამჩნიეთ პროგრესი - თუნდაც მცირე.

დასკვნაში:

- გადმოეცით, რას გრძნობდით, როდესაც შედეგს მიაღწიეთ; ეთანხმებით თუ არა გურამიშვილს, რომ „სიმწარის“ გარეშე „სიტკბოს“ ვერ მოიპოვებ; რა გაიგეთ საკუთარ თავზე ამ გამოცდილებიდან.

2. ილია ჭავჭავაძე



„სწავლა-განათლება თვითონ არის სათავე სიმდიდრისა“.

ილია ჭავჭავაძე

მოემზადეთ წასაკითხად

1883 წლის 4 სექტემბერს მცხეთის სოფელ წინამძღვრიანთკარში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ეს სკოლა, ძირითადად, გლეხების შვილებისთვის იყო შექმნილი. სხვა საგნებთან ერთად, აქ ასწავლიდნენ პრაქტიკულ საქმიანობებს: მიწათმოქმედებას, მებაღეობას, მევენახეობას, მეღვინეობას, მეფუტკრეობას... სკოლის მიზანი იყო სოფლის მოსახლეობის განათლება და გლეხებისათვის სხვა ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო გამოცდილების სწავლება. ეს ხელს შეუწყობდა ტრადიციული გლეხური მეურნეობების განვითარებას, დაეხმარებოდა ქართველ გლეხებს უკეთ მუშაობაში.

წინამძღვრიანთკარის სკოლაში ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა, რაც მაშინ გამონაკლისს წარმოადგენდა - როგორც წესი, იმდროინდელ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სამეურნეო სკოლის დამაარსებელი იყო ილია წინამძღვრიშვილი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი და საზოგადო მოღვაწე.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა პირველი პროფესიული სასწავლებელი იყო საქართველოში. იგი დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სახელით.



წინამძღვრიანთკარის სკოლა
(ფოტო დაცულია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში)

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის საზეიმო გახსნაზე მიწვეულმა ილია ჭავჭავაძემ შეკრებილი ხალხის წინაშე წარმოთქვა საჯარო სიტყვა - ანუ ზეპირი ტექსტი, რომლითაც მიმართავენ ერთად თავმოყრილ ბევრ ადამიანს (გაითვალისწინეთ: „ჯარი“ ამ შემთხვევაში ნიშნავს არა სამხედრო რაზმს, არამედ ხალხის დიდ ერთობლიობას, ხოლო „სიტყვა“ - მთელ ზეპირ გამოსვლას).

ახლა კი წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძის საჯარო სიტყვა და შეეცადეთ წარმოიდგინოთ სიტუაცია, რომელშიც იგი წარმოითქვა: მე-19 საუკუნის ქართული სოფელი, ახლად გახსნილი პატარა სკოლა და იქ შეკრებილი ხალხი - სკოლის დამაარსებელი ილია წინამძღვრიშვილი, სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, ადგილობრივი გლეხები და მოწვეული საპატიო სტუმრები, რომელთა შორის იყო ილია ჭავჭავაძეც.

სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე

ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ და, ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები.

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა...

- მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? - მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით - საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ - ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლი-

ერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით - უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან...

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია...

„კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო," - თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავისთავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

ეგ თქვენ თითონაც კარგად იცით. თქვენ თითონ ყოველდღე ჰხედავთ, რომ ეგ ეგრეა. ურმის-მკეთებელი უფრო მეტადა ჰღირს, მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რათა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა...

სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავისდღეში არა: მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ შვილისშვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული...

როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო... ის კაცი ილია წინამძღვარიშვილია, ის აკვანი - აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს...

აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვანიშნებს - სად რა სიმდიდრე სძევს და რა-რიგის ხერხით, რა-რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვარიშვილს, ამ აკვნის დამდგმელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად!.. ღმერთმა შე-

გასწროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შვილს შეჰხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზე წამოყენებულმა ოჯახმა, გამოკეთებულმა მამულმა, თქვენის თვალით დაგანახოთ, რომ მართლა „ხერხი სჯობნებია ღონესა“. მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: „ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“.

თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვით: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავე, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად, გეუბნებით: „თქვენი გამარჯვებისა იყოს“!

სიტყვების განმარტება

ყური რომ მათხოვოთ - მომისმინოთ.
დაიბღერტა - დაიბერტყა.
სძევს - ძევს, დევს.
ჯაფა - შრომა, გარჯა.
ნაჯაფევი - შრომის შედეგი, ნაშრომი.
ღვთისნიერი - კეთილი, გულმოწყალე.
უფრო დიდი ბაზარი აქვს - უფრო მნიშვნელოვანია, უფრო ძვირად ფასობს.
მარგე - მარგებელი, სარგებლის მომტანი.
მოჯამაგირე - დაქირავებული მუშა.
სიცხოვლე - აქ: სინათლე.
გულმტკივნეული - გულშემატკივარი.
აკვანი - 1. ხის სარწევი საწოლი ჩვილი ბავშვისთვის; 2. გადატანითი მნიშვნელობით: ადგილი, სადაც რაიმე აღმოცენდება, განვითარდება.
ფეხზე წამოყენებულმა (ოჯახმა) - მატერიალურად, ფინანსურად გაძლიერებულმა.
სკოლის ოსტატები - აქ: სკოლის მასწავლებლები.

უპასუხეთ კითხვებს

1. რა თემას ეხება ილიას სიტყვა: რის დასაბუთება სურს მას მსმენელისთვის?
2. ავტორის აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ ბუნებრივი სიმდიდრეებით უხვად დაჯილდოებული საქართველო ღარიბი ქვეყანაა?
3. რაში ხედავს ილია სიღარიბიდან გამოსავალს?
4. რა ნიშნით ამსგავსებს ილია ცოდნასა და სანთელს ერთმანეთს? რით განსხვავდებიან ისინი?
5. ილიას სიტყვით, რა თვისება უყალიბდება ადამიანს ცოდნის შეძენით?
6. გარდა პირადი კეთილდღეობისა, კიდევ ვისთვის მოაქვს სიკეთე ცოდნას? ვის და რის სამსახურში უნდა ჩააყენოს ადამიანმა შეძენილი ცოდნა, ილიას მიხედვით?
7. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს“, - ამბობს ილია. როგორ გესმით ეს სიტყვები?
8. როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა ყოფილიყო საჭირო სკოლის გახსნაზე შეკრებილი საზოგადოებისთვის ცოდნის

მნიშვნელობაზე დასაბუთებული საუბარი?

9. რა ნაწილებისგან შედგება ილიას სიტყვა? დაასახელეთ, რომელია მიმართვა, რომელი - ძირითადი ნაწილი, რომელი - დასასრული. რა არის თითოეული მათგანის დანიშნულება?

დააკვირდით

- ილია ჭავჭავაძის საჯარო სიტყვას სხვადასხვა წრისა და მდგომარეობის ადამიანები უსმენდნენ. როგორ ფიქრობთ, ვინ იყო ილიასთვის „მთავარი“ მსმენელი, რომელსაც მწერალი ცოდნის შეძენის აუცილებლობაში არწმუნებდა? რატომ ფიქრობთ ასე? თქვენი მოსაზრება ახსენით.
- დააკვირდით მიმართვას: „ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ და ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები“. თქვენი აზრით, როგორ გვიხასიათებს იგი ილიას (მაგ.: თავმომწონეა, გულკეთილია, თავმდაბალია, მკაცრია)? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.
- დააკვირდით ილიას მიერ გამოყენებულ ფრაზებს: „თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია“, „გულში მამა-პაპათაგან ანდერძად ჩაგვრჩენია“, „ჩვენი შვილები, თქვენი შვილები“, „თქვენებურად, ჩვენებურად“, „თქვენი გამარჯვებისა იყოს!“. თქვენი აზრით, ხალხის მიმართ როგორ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ილიას ნათქვამი?
- როგორ ფიქრობთ, რა მიზნით იყენებს ილია ამ ფრაზებს?
- ილია ცოდნას ადარებს ფულს, ხმალსა და ზარბაზანს. როგორ ფიქრობთ, რატომ გამოიყენა ავტორმა მაინცდამაინც ეს სამი საგანი შესადარებლად? თქვენი აზრით, რისი სიმბოლოებია ისინი, რას გულისხმობს ამ სიტყვებში ავტორი?
- „ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია“, - ამბობს ილია. შეგვიძლია თუ არა, დღესაც გავიმეოროთ ეს სიტყვები? რატომ ფიქრობთ ასე?

სიტყვების კიდობანი

1. „ჯარი“ და „საჯარო“

ძველ ქართულში სიტყვა ჯარი" ორი მნიშვნელობით გამოიყენებოდა: სამხედრო რაზმი და ხალხი. სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს ამ სიტყვას: „ჯარი - მრავალ კაცნი, ბრბო, გუნდი, მეფის ჯარი“. „საჯარო“ კი ისაა, რაც განკუთვნილია ადამიანების დიდი ერთობლიობისთვის, ხალხისთვის. სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენება ეს სიტყვა, როდესაც ვამბობთ: „საჯარო სიტყვა“. საჯარო სიტყვად მიიჩნევა ზეპირი გამოსვლა კონფერენციაზე, პრეზენტაციაზე, საპარლამენტო სხდომაზე, წინასაარჩევნო შეხვედრაზე, სხვადასხვა სახის საზეიმო ღონისძიებაზე... სიტყვა „საჯარო“ ამ მნიშვნელობით სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება.

დაფიქრდით და ახსენით მნიშვნელობა სიტყვებისა: „საჯარო სკოლა“, „საჯარო ინფორმაცია“.

2. ორატორი

ოდესმე მოგისმენიათ ადამიანისთვის, რომელიც ისე კარგად, ისე საინტერესოდ ლაპარაკობს, რომ მთელი ყურადღება მასზე გადაგაქვთ? ასეთ ადამიანზე იტყვიან, ნამდვილი ორატორიაო.

საიდან მომდინარეობს ეს სიტყვა?

„ორატორი“ წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „orator“, რაც „მოლაპარაკეს“ ნიშნავს. ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს: 1) ადამიანს, რომელიც საჯაროდ გამოდის და სიტყვით მიმართავს ხალხს; 2) ადამიანს, რომელსაც ეხერხება საჯაროდ ლაპარაკი, აქვს ადამიანების დარწმუნების უნარი, მეტყველებს ნათლად, ლამაზად, გამართულად და შეუძლია ადამიანებზე სიტყვით ზემოქმედება. ორატორობის უნარი ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადო მოღვაწეების, ლიდერების, პოლიტიკოსების, ბიზნესმენებისა და ყველასთვის, ვინც საკუთარ იდეებს ან ცოდნას უზიარებს სხვა ადამიანებს, სურს მათი დარწმუნება, აყოლიება. ეს მართლაც ნამდვილი ხელოვნებაა.

ამ ხელოვნებას, რომელიც გვასწავლის, როგორ ვიმოქმედოთ მსმენელზე და როგორ მოვახერხოთ მისი დარწმუნება, **რიტორიკა** ეწოდება. რიტორიკის ხელოვნება ძველ საბერძნეთში ჩაისახა.

ორატორული მეტყველების ქართული შესატყვისია „მჭევრმეტყველება“ (მჭევრი - ლამაზი, მჭევრმეტყველება - ლამაზად საუბარი, მჭევრმეტყველი/ენამჭევრი - ლამაზად მოლაპარაკე). ილია ჭავჭავაძის „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „მჭევრმეტყველება“ განმარტებულია, როგორც „ენამზეობა“. დაფიქრდით და ახსენით, როგორ გესმით ეს სიტყვა.

დარწმუნების ენა

1. წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნის ზეიმზე ილია ჭავჭავაძის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა იდგა: სოფლის მცხოვრებლების ნაწილს კარგად არ ჰქონდა გააზრებული ახლად დაარსებული სამეურნეო სკოლის მნიშვნელობა. ამიტომ ილიას სურდა დაერწმუნებინა ადგილობრივი გლეხები, რომ სასწავლებელში მიღებული ცოდნა სოფლის ახალგაზრდობას ძალიან გამოადგებოდა ცხოვრებაში, რომ მიღებული განათლებით მათ შვილებს უკეთესი მომავალი ექნებოდათ, მეტად შეეწეოდნენ თავიანთ ოჯახებს.

როგორ შეიძლებოდა ამ ამოცანის გადაჭრა?

2. როგორ დავარწმუნოთ სხვები?

როგორ დავარწმუნოთ სხვა ადამიანები ჩვენი ნათქვამის სიმართლეში, როგორ მოვახდინოთ ზეგავლენა ადამიანზე - შევაცვლევინოთ ქცევა, აზრი ან გადაწყვეტილება ისე, რომ კონფლიქტი არ მოგვივიდეს მასთან? ასეთი ამოცანა ხშირად გვაქვს ხოლმე გადასაჭრელი ყოველდღიურ ცხოვრებაში. მართლაც, რა სიტყვები უნდა გამოძებნოთ იმისთვის, რომ დაარწმუნოთ მშობლები, შეგიყვანონ სახელოვნებო წრეზე, ან გაამხნევოთ მეგობარი, რომლის გუნდმაც ვერ გაიმარჯვა კალათბურთის შეჯიბრებაში?

უძველესი დროიდან მოყოლებული ცნობილია, რომ ადამიანების დარწმუნებას შევძლებთ იმ შემთხვევაში, თუკი ოსტატურად გამოვიყენებთ არგუმენტებს სამი სხვადასხვა სფეროდან. ეს სფეროებია: **ემოცია, ლოგიკა, სანდოობა.** თუკი მოსაზრებებს მათი შესაბამისი არგუმენტებით გავამყარებთ, მსმენელებს დავარწმუნებთ ჩვენს სიმართლეში.

1. სანდოობა: რატომ უნდა მოვუსმინო ამ ადამიანს?

2. ლოგიკა: რომელი მტკიცებულებები, ფაქტები ადასტურებს ამ ადამიანის მოსაზრებებს?

3. ემოცია: როგორ უკავშირდება ჩემს პირად გამოცდილებას მოსმენილი ან წაკითხული?

I. სანდოობა - სანდო არის ის არგუმენტი ან მაგალითი, რომელიც მე დამარწმუნებს სხვისი ნათქვამის სიმართლეში ან რომელიც დაარწმუნებს ჩემს მსმენელებს, ნდობას გამოიწვევს მათში. ესენია, მაგალითად: ცნობილი მწერლების, მოაზროვნეების, მეცნიერების, სპეციალისტების გამონათქვამები თუ მოსაზრებები; ანდაზები, იგავები, წმინდა წიგნები, წინაპართა ტრადიციები. ასეთი პატივსაცემი, ავტორიტეტული ადამიანების აზრებისა თუ წყაროების დამოწმებით მსმენელების ნდობას დავიმსახურებთ. ეფექტურია ასევე შესაბამისი პირადი გამოცდილების წარმოჩენაც - ეს ჩვენს მსმენელს დაარწმუნებს, რომ კარგად ვერკვევით საკითხში,


ასე რომ, ჩვენს ნათქვამში ეჭვი არ უნდა შეიტანონ (მაგ.: „მე თვითონ ექიმი ვარ და კარგად ვიცი, რომ ეს პროდუქტი საზიანოა ჯანმრთელობისთვის“).

II. ლოგიკა - ლოგიკური არგუმენტები უკავშირდება ლოგიკურ აზროვნებას. ესენია: ფაქტები, სამეცნიერო კვლევების მონაცემები, გამოკითხვების შედეგები, ლოგიკური მსჯელობით მიღებული დასკვნები.

III. ემოცია - ემოციური არგუმენტები უკავშირდება გრძნობებს, ფასეულობებს, სურვილებს. ისინი მსმენელებსა და მკითხველებში იწვევს გარკვეულ ემოციას ანდა განცდას, მაგალითად: სიხარულს, კმაყოფილებას, იმედიანობას, ბედნიერებას, სიბრაზეს, მრისხანებას, შიშს, თანაგრძნობას, სიბრალულს.

დასაბუთების, ანუ არგუმენტირების სამი სფერო - სამი საყრდენი - შეიძლება სამკუთხედის სახით გამოვსახოთ. ამ სამკუთხედს **დარწმუნების სამკუთხედი** ჰქვია. ამ სამკუთხედის თითოეულ წვეროზე გამოსახულია ერთი სფერო.

დარწმუნების სამკუთხედი



დაიმახსოვრეთ:

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რას ვამბობთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვამბობთ და ვის ვეუბნებით.

3. წინამძღვრიანთკარში სიტყვით გამოსვლისას ილია, როგორც გამოცდილი ორატორი, მსმენელების დასარწმუნებლად ოსტატურად იყენებს არგუმენტებს სხვადასხვა სფეროდან: მოჰყავს ისეთი მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან, რომლებიც ცხადი და გასაგები იქნებოდა გლეხებისთვის, იმოწმებს მათთვის ფასეულ და ავტორიტეტულ წყაროებს: ბიბლიასა და მამა-პაპათაგან დანატოვარ სიბრძნეს - ხალხურ ანდაზებს; თვალწინ უცოცხლებს ბედნიერი მომავლის სურათს.

სავარჯიშო 1. წაიკითხეთ ციტატები ილია ჭავჭავაძის საჯარო გამოსვლიდან და დაწერეთ, „დარწმუნების სამკუთხედზე“ გამოსახულ რომელ სფეროს მიეკუთვნება თითოეული მათგანი. თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

I. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის“.

ა) სანდოობა;
ბ) ლოგიკა;
გ) ემოცია.

II. „გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

ა) სანდოობა;
ბ) ლოგიკა;
გ) ემოცია.

III. „ურმის - მკეთებელი უფრო მეტადა ღირს, ...ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ეს მუშა ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რათა? იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა“.

ა) სანდოობა;
ბ) ლოგიკა;
გ) ემოცია.

IV. „ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედან, ამ სკოლიდან გამოსულ შვილს შეჰხაროდეთ“.

ა) სანდოობა;
ბ) ლოგიკა;
გ) ემოცია.

V. „თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე ღმერთმა უხვების კალთა ამ ქვეყანაში დაიბღერტაო“.

ა) სანდოობა;
ბ) ლოგიკა;
გ) ემოცია.

VI. „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა ... ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო“.

ა) სანდოობა;
ბ) ლოგიკა;
გ) ემოცია.

რიტორიკული შეკითხვა

ილია ჭავჭავაძე სიტყვის წარმოთქმისას ზოგჯერ შეკითხვებითაც მიმართავს მსმენელებს და თავადვე უპასუხებს მათ, რადგან შეკითხვის ფორმით, ფაქტობრივად, აზრს გამოთქვამს, პოზიციას გამოხატავს. ასეთ შეკითხვებს **რიტორიკული შეკითხვები** ჰქვია.

დაიმახსოვრეთ:

რიტორიკულია შეკითხვა, რომელიც არ მოითხოვს პასუხს. ავტორისთვის პასუხი თავიდანვე ნათელია, მაგრამ კითხვას მაინც სვამს. რა არის ამგვარი შეკითხვების დანიშნულება?

- მსმენელის ან მკითხველის ყურადღების დაძაბვა;
- ნათქვამის უფრო ცოცხლად, საინტერესოდ ჩამოყალიბება;
- მნიშვნელოვანი სათქმელის გამოკვეთა.

რიტორიკული შეკითხვა ერთგვარი ანკესია, რომლითაც ავტორი ჩვენს ყურადღებას „იჭერს“.

ილია ჭავჭავაძე თავის სიტყვაში ორ რიტორიკულ შეკითხვას სვამს:

1. „- მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? - მკითხავთ თქვენ“.

ილია თავადვე იგონებს კითხვას, რომელიც შეიძლება ხალხს გაუჩნდეს, თითქოს გამოიცნობს მათ გულისთქმას. ამით ილიას სურს, მსმენელები დაარწმუნოს, რომ მათი გასაჭირი კარგად ესმის. ეს კითხვა ერთგვარი „ხიდია“ პრობლემასა (სიღარიბეს) და გამოსავალს (ცოდნას) შორის.

თუ ილია პირდაპირ იტყოდა: „ჩვენ ღარიბები ვართ, რადგან ცოდნა არ გვაქვს“ - ეს მოსაწყენ ლექციასავით იქნებოდა - კითხვა ყოველთვის უფრო მეტ ემოციას იწვევს, ვიდრე უბრალო მსჯელობა. რიტორიკული შეკითხვის დასმა კი აცოცხლებს ნათქვამს და გამომსვლელი დიალოგს ამყარებს მსმენელებთან.

შეკითხვის დასმა დაგვაფიქრებს - სანამ პასუხს თავად გვეტყვის ავტორი, ჩვენს გონებაში უკვე იწყება ფიქრი გამოსავალზე.

- მოძებნეთ ილიას სიტყვაში მეორე რიტორიკული შეკითხვა და ისაუბრეთ: რა არის ამ შეკითხვის დანიშნულება? რის მოსასმენად ამზადებს ავტორი მკითხველს? თქვენი აზრით, რა ემოციას გამოიწვევდა ეს შეკითხვა მსმენელებში?

შეადარეთ

გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“. მასში ვხვდებით საერთო ადგილებს ილიას საჯარო სიტყვასთან, რაც მიგვანიშნებს, რომ ის აფასებდა და იზიარებდა დავით გურამიშვილის შეხედულებებს.

- წაიკითხეთ ციტატები ილია ჭავჭავაძის საჯარო სიტყვიდან და მოძებნეთ მსგავსი შინაარსის ფრაზები დავით გურამიშვილის ლექსში.

1. (ცოდნა) იმისთანა (სიმდიდრეა), რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ.
2. ვერცა ვინ მოჰპარავს (ცოდნას), ვერცა ვინ წინ გადუდგება.
3. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია.

შემოქმედებითი სახელოსნო

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. წერილი მეგობარს - წარმოიდგინეთ, რომ ესწრებით წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნას და ილიას სიტყვის ზეგავლენით გადაწყვიტეთ გახდეთ ამ სასწავლებლის მოსწავლე. მისწერეთ მეგობარს წერილი, რომელშიც შეატყობინებთ თქვენს გადაწყვეტილებას და აუხსნით მიზეზს. გადმოეცით, რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ილიას სიტყვაში და რატომ, რომელმა მაგალითმა დაგარწმუნათ ყველაზე მეტად იმაში, რომ აუცილებელია ცოდნის შეძენა. გამოკვეთეთ წერილის სამი ძირითადი ნაწილი (მიმართვა, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება).

2. როლური თამაში - გაეცანით როლური თამაშის სცენარებს და ურთიერთშეფასების რუბრიკას. შემდეგ შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი სცენარი, გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ სიტუაცია კლასის წინაშე. შეეცადეთ გამოიყენოთ არგუმენტები „დარწმუნების სამკუთხედის“ სამივე სფეროდან.

სიტუაცია 1. დაარწმუნეთ მასწავლებელი, რომ ნიშნის გამოსასწორებლად მოგცეთ დამატებითი დავალება.

სიტუაცია 2. დაარწმუნეთ მშობლები, გაგიშვან ღამისთევით მასწავლებლის მიერ დაგეგმილ ლაშქრობაზე, რომელიც შორ მანძილზე ეწყობა.

სიტუაცია 3. დაარწმუნეთ თანაკლასელები, რომ კინოში წასვლას სადმე ერთად გასეირნება სჯობს.

ურთიერთშეფასების რუბრიკა როლური თამაშისთვის

შეაფასეთ როლური თამაშის მონაწილეები ქვემოთ მოცემული რუბრიკის მიხედვით.

კრიტერიუმი	შეფასება (აღნიშნეთ, იყო თუ არა გამოყენებული შესაბამისი არგუმენტი)	რა იყო ყველაზე მეტად დამარწმუნებელი?
სანდოობა	დიახ ნაწილობრივ (იყო ხარვეზები) არა	
ემოცია	დიახ ნაწილობრივ (იყო ხარვეზები) არა	
ლოგიკა	დიახ ნაწილობრივ (იყო ხარვეზები) არა	

მოგზაურობა ციფრულ სამყაროში



ივანე ჯავახიშვილის საჯარო სიტყვა:

მოუსმინეთ ივანე ჯავახიშვილის, ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის, საჯარო სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა 1937 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ისაუბრეთ:

- რა არის გამომსვლელის მიზანი?
- რა ტიპის მაგალითები მოჰყავს ივანე ჯავახიშვილს თავისი მოღვაწეობის შეფასებისას - „დარწმუნების სამკუთხედის“ რომელ სფეროებს უკავშირდება ისინი?
- როგორ დაახასიათებდით გამომსვლელს (მაგ.: თავმომწონეა, მკაცრია, თავმდაბალია)? საიდან ჩანს ეს?
- იყენებს თუ არა ქართველი მეცნიერი ისეთ სიტყვებს ან ფრაზებს, რომლებსაც დღეს აქტიურად აღარ ვხმარობთ? დაასახელეთ ისინი.

3. დავით კლდიაშვილი (1862-1931)



„რასაც ვწერდი, მხოლოდ ადამიანის სიყვარული მაწერინებდა!“
დავით კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილი გამორჩეული მწერალი იყო. მისი შემოქმედება შთაგონებულია მოყვასის სიყვარულითა და თანაგრძნობით. მას, ერთი მხრივ, როგორც პროფესიონალ სამხედროს, დიდი ხნის განმავლობაში ოფიცრის მუნდირი ეცვა, მეორე მხრივ კი, დიდი მწერალი იყო, რომელიც ეროვნულსა და ზოგადსაკაცობრიო სატკივარზე წერდა. მან დაუვიწყარი პერსონაჟები შექმნა და იმერული დიალექტის გამოყენებით თავის მოთხრობებს განუმეორებელი ელფერი შესძინა.

დავით კლდიაშვილს ჰქონდა საოცარი ნიჭი, დაენახა სასაცილო იქ, სადაც სხვები მხოლოდ ტკივილს ხედავდნენ და, პირიქით, სასაცილოში სევდა და ტკივილი აღმოეჩინა. სწორედ ამიტომ მას „სევდიანი ღიმილის“ მწერალს უწოდებენ.

ჩემი ცხოვრების გზაზე
(ფრაგმენტი)

ერთ დღეს მამამ გამომიცხადა, რომ რუსეთში წასასვლელად გამოცდაზე უნდა წავყოლოდი. ყოველ წლობით მთავრობას მიჰყავდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიებიდან თავადაზნაურთა ორმოც-ორმოცი ბავშვი სამხედრო სასწავლებელში, კორპუსებში, მიჰყავდათ ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ და კიდევაც მიზანს აღწევდა, რადგან რუსეთში სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვები ივიწყებდნენ ქართულ ენას, ზნეს, ბრუნდებოდნენ ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდანფეხებამდე გარუსებული. თავადაზნაურობა დიდი ხალისით აძლევდა ბავშვებს მთავრობას, რადგან ის ზრდიდა თავის ხარჯზე და მშობლებს ათავისუფლებდა ყოველი ხარჯისაგან.

...ვატყობდით ჩვენს თავს, თუ როგორ გვავიწყდებოდა მშობლიური ენა და გვიძნელდებოდა ქართული ლაპარაკი. ამით შეწუხებულნი ამის ასაცილებლად მოვიყრიდით ხოლმე თავს ერთად და ხან ზღაპრების მოყოლით, ხან წაკითხვით ვვარჯიშობდით. მაგრამ დროს თავისი მოჰქონდა და ჩვენ უფრო და უფრო გვიძნელდებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. წლის ბოლოს თითქმის გადავეჩვიეთ ქართულ ლაპარაკს.

სამი წელიწადი ვიყავი ისე, რომ მშობლები არ მენახა. სამი წლის შემდეგ გაზაფხულზე მომივიდა ფული და ეგზამენების შემდეგ არდადეგებზე გამოვსწიე სახლისაკენ. ქართული უკვე დავიწყებული მქონდა. ორი კვირა ქუთაისში დავრჩი და რადგან დედაჩემმა რუსული არ იცოდა და მე ქართული - ამიტომ წავიყვანე თარჯიმნად ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და წავედი სოფელში დედასთან.

საღამო იყო, ჩვენ რომ მივედით, მთლად ეზო და აივანი სავსე იყო თავშეყრილი მეზობლებით. სიხარულის ტირილით შემხვდა დედა, რომელიც მეტად დაავადმყოფებულიყო ჯავრისაგან ამ სამი წლის განმავლობაში. სათითაოდ გულში მიხუტებდნენ ქალები და დედაჩემი მახსენებდა: ეს ბებია მელანაა, შენ გენაცვალე, ეს მაია, ეს ელენე, ეს მარია, ეს დაჯია. ყველა თვალცრემლიანი სიყვარულით მეხვეოდა და მეალერსებოდა. დიდი გასაჭირი ადგა საწყალ ჩემს ბიძაშვილს: მრავლად თავშეყრილი კაცები იძლეოდნენ ათას კითხვას და ყველასათვის პასუხი იყო საჭირო. ერთმა იოხუნჯა: ბავშვს დასამუნჯებლად ბარემ აქვე დავამწყვდევდი ოთახში, რაღა რუსეთში აგზავნიდით, თქვე დალოცვილებოო.

მეხუთე კლასში ვიყავი, მახსოვს, იმ დროს მასწავლებელმა, გვარად ბერენშლაბმა, მკითხა: მეინტერესება თუ არა ქართული ისტორია და შემპირდა ამის შესახებ წიგნს, რომელიც, მისი ფიქრით, მის წიგნებს შორის უნდა ჰქონებოდა. ამასთანავე, უცაბედად წავაწყდი ტოლის იმდროინდელ ენციკლოპედიურ სიტყვარში ცნობებს საქართველოს შესახებ. სიტყვარი შემდეგ ხელიდან არ გამიგდია - რაც რამ იყო საქართველოს შესახებ, ცალკე რვეულში ამოვიწერე და ამრიგად შევადგინე, ჩემთვის



მოულოდნელად, საქართველოს მოკლე ისტორია. ეს ისტორია ერთ-ორ ამხანაგს ვაჩვენე, მაგრამ ისინი მაინცდამაინც ვერ დავაინტერესე, გულგრილად შეხვდნენ, მე კი აღმეძრა სურვილი, უფრო მეტი რამ გამეგო ჩემი ქვეყნის შესახებ.

სიტყვების განმარტება

გუბერნია - რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.
კორპუსი (სამხედრო სასწავლებელი) - დახურული ტიპის სამხედრო სკოლა, სადაც ბავშვებს ოფიცრებად ზრდიდნენ.
გარუსება - სხვა ეროვნების ადამიანისთვის რუსული ენის, კულტურისა და ადათ-წესების თავს მოხვევა მშობლიურის დავიწყების ხარჯზე.
ეგზამენი - (რუს.) გამოცდა.
თარჯიმანი - პირი, რომელიც ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის (მთარგმნელი).
იოხუნჯა - იხუმრა.
მეინტერესება - (კუთხ.) მაინტერესებს.
სიტყვარი - ლექსიკონი, ენციკლოპედია.
ტოლი - ფელიქს ტოლი, მე-19 საუკუნის გერმანელი მწერალი და პედაგოგი, რომლის ენციკლოპედიური სიტყვარი ფართოდ გამოიყენებოდა რუსეთის იმპერიის სკოლებში.

უპასუხეთ კითხვებს

1. რა მიზნით მიჰყავდა მთავრობას ქართველი ბავშვები რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში? როგორ ახასიათებს რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას ამგვარი განზრახვა?
2. რატომ სთანხმდებოდნენ მშობლები შვილების შორს გაგზავნას, მიუხედავად იმისა, რომ მათი „გარუსების“ საფრთხე არსებობდა? რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?
3. რა ხერხს მიმართავდნენ ქართველი ბავშვები რუსეთში ყოფნისას, რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდათ?
4. თქვენი აზრით, რას განიცდიდნენ ისინი - რა მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვებისთვის ქართულად საუბარს?
5. რამდენი წლის შემდეგ დაბრუნდა დავითი შინ პირველად და რა მდგომარეობაში დახვდა მას დედა?
6. ვინ გაუწია დავითს „თარჯიმნობა“ სოფელში, რატომ გახდა მისი დახმარება აუცილებელი?
7. კონკრეტულად, რისი წყალობით შეძლო დავითმა „საქართველოს მოკლე ისტორიის“ შედგენა? რა როლი შეასრულა ამაში შემთხვევამ და რა - დავითის პირადმა მონდომებამ და აქტიურობამ?

დააკვირდით

- დავით კლდიაშვილი აღწერს, თუ როგორ ცდილობდნენ ბავშვები მშობლიური ენის შენარჩუნებას, მაგრამ საბოლოოდ ეს ვერ მოახერხეს. რატომ აღმოჩნდა ბავშვების მცდელობა (ზღაპრების მოყოლა) არასაკმარისი, რამ განაპირობა ენის საბოლოო დავიწყება?
- შეხვედრის სცენაში დედა-შვილი ერთმანეთთან თარჯიმნის დახმარებით ლაპარაკობს. რატომ არის თარჯიმნის დახმარება ამ შეხვედრაზე ტრაგიკული ფაქტი? თქვენი აზრით, რას გრძნობდა დედა, როცა საკუთარ შვილთან საუბარი სხვისი დახმარებით უწევდა?
- რატომ არის თარჯიმანი ამ სცენაში „კედელი“ დედასა და შვილს შორის? როგორ ცვლის თარჯიმნის საჭიროება ოჯახურ გარემოს?

ლიტერატურული მეგზური

მემუარები

დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“ ავტორის მოგონებების წიგნია. ამგვარ წიგნებს მემუარებსაც უწოდებენ (ფრანგულ ენაზე „მემუარები“ მოგონებას ნიშნავს). მემუარების ავტორი თავადვე არის მთავარი გმირი და მოგვითხრობს საკუთარ ცხოვრებაზე, თავს გადახდენილ ამბებსა და იმ ადამიანებზე, რომლებსაც ის პირადად იცნობდა.

რით განსხვავდება მემუარები გამოგონილი ამბისგან, მაგალითად, მოთხრობისგან?

დოკუმენტურობით (ობიექტურობით): მემუარებში ყველაფერი ისეა აღწერილი, როგორც ავტორს ახსოვს. აქ არაფერია გამოგონილი.

პირველ პირში თხრობით: ავტორი ყოველთვის წერს: „მე ვნახე“, „მე ვიყავი“, „მე მახსოვს“, „მე შევხვდი“.

ისტორიული „სარკის“ პრინციპით: მემუარები გვეხმარება დავინახოთ, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები წლების წინ, რა ეცვათ, რა უხაროდათ ან რა სტკიოდათ.

დავით კლდიაშვილის მემუარებში მხოლოდ ერთი ადამიანის ამბავი კი არა, მთელი ეპოქაა გაცოცხლებული. მწერლის თვალით დანახული მოვლენები გვეხმარება გავიგოთ, როგორ ცხოვრობდა და რა პრობლემების წინაშე იდგა მაშინდელი საქართველო.

- მოძებნეთ დავით კლდიაშვილის ტექსტში მაგალითები, რომლებიც ადასტურებს, რომ ეს ნაწარმოები მემუარების წიგნია.

მწერლის ენა და სტილი

დავით კლდიაშვილისეული ირონია

დავით კლდიაშვილი დიდი ოსტატია იმისა, რომ სევდიანი და მტკივნეული ამბავიც კი მსუბუქი იუმორით გიამბოთ. ამ მხატვრულ ხერხს ირონია ჰქვია.

დაიმახსოვრეთ:

ირონია არის ფარული მსუბუქი დაცინვა, როდესაც სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობის საწინააღმდეგო აზრი აქვთ. მაგალითად, როცა მწერალი რაღაც ტრაგიკულზე ისე საუბრობს, თითქოს სასაცილო იყოს. ეს მკითხველს კიდევ უფრო მეტად აგრძნობინებს ამბის სიმძიმეს.

ირონიის გამომხატველ ფრაზებს, სახის გამომეტყველებას, ქცევას „ირონიული“ ეწოდება. მაგალითად: ირონიული ნათქვამი, ირონიული ღიმილი, ირონიული ტაში.

ირონიას გამოხატავს დავითის მეზობლის სიტყვები: „ბავშვს დასამუნჯებლად ბარემ აქვე დავამწყვდევდი ოთახში“. მეზობელი მართლა „დამუნჯებას“ კი არ გულისხმობს, არამედ დასცინის იმ სახელმწიფო სისტემას, რომელიც ბავშვს მშობლიურ ენას ართმევს და მას საკუთარ სოფელში უცხოელს ამსგავსებს.

- წაიკითხეთ წინადადება და ამოიცანით, რა არის მასში ირონიული: „თავადაზნაურობა დიდი ხალისით აძლევდა ბავშვებს მთავრობას“ - რომელი მხარე იგებს და რომელი ზარალდება ამ „ხალისით“? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

შემოქმედებითი სახელოსნო

უჩვეულო თარჯიმნობა: ჩანაწერი დღიურიდან

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ დავით კლდიაშვილის ბიძაშვილი, რომელიც თარჯიმნობას უწევდა მას სოფელში.

დაწერეთ დღიურის ჩანაწერი, რომელშიც აღწერთ თქვენს განცდებს იმ საღამოს. შეეცადეთ გამოიყენოთ ემოციების გამომხატველი სიტყვები და გამოკვეთოთ დეტალები.

გადმოეცით: რას გრძნობდით, როცა ხედავდით, დედასა და შვილს ერთმანეთისა რომ არ ესმოდათ; რა იკითხებოდა დედისა და შვილის თვალებში ამ დროს; რა დააკლდა დავითს რუსეთში გატარებული წლებით და რა შეიძინა მან; რა გაკვეთილი მიიღეთ თქვენ, როგორც თვითმხილველმა.

დისკუსია

ისაუბრეთ შეკითხვებზე დაყრდნობით, თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.

- რამდენად გამართლებულია ცოდნის მიღება იმის ფასად, რომ ადამიანს საკუთარ დედასთან საუბარი გაუჭირდეს? როგორ ფიქრობთ, რა არის უფრო მნიშვნელოვანი - დიპლომი და კარიერა თუ ფესვებთან კავშირი? რატომ?

- დღეს, როდესაც მსოფლიო ერთიან ციფრულ სივრცედ გადაიქცა, ზოგიერთი მოზარდი ინგლისურ ან სხვა უცხოურ ენას (ვიდეოთამაშებისა თუ სოციალური ქსელების გავლენით) უფრო თავისუფლად ფლობს, ვიდრე მშობლიურს. თქვენი აზრით, რით ჰგავს ეს დავით კლდიაშვილის მიერ აღწერილ პრობლემას? როგორ ფიქრობთ, უქმნის თუ არა საფრთხეს ადამიანს მშობლიური ენის „მეორე რიგში“ გადაწევა მაშინაც კი, თუ ამას არავინ აიძულებს? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

წერითი დავალება

ჩემი მემუარების ერთი ფურცელი - დაწერეთ თქვენი ცხოვრების ერთი ისეთი დღის მოგონება, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანი იყო - სკოლაში პირველი მისვლა, სადმე მოგზაურობა ან სხვა. გამოიყენეთ სიტყვები: „მახსოვს“, „მაშინ ვგრძნობდი“, „ახლა რომ ვფიქრობ“. შეეცადეთ, გამოიყენოთ ირონია (მაგალითად: როგორ „გვიხაროდა“ შემაჯამებელი წერის გაკვეთილი).

4. მიხეილ ჯავახიშვილი (1880-1937)



„წიგნი საუკეთესო მეგობარია, იგი არც არასოდეს
გიღალატებს და არც არასოდეს მიგატოვებს“.
მიხეილ ჯავახიშვილი

მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. თავის ნაწარმოებებში ის დაუღალავად იცავდა ეროვნულ ინტერესებსა და ადამიანურ ღირსებას. სწორედ ეს გაბედული სიმართლე იყო იმის მიზეზი, რომ, უდიდესი აღიარების მიუხედავად, მიხეილ ჯავახიშვილი ძალადობრივი საბჭოთა რეჟიმის რეპრესიების მსხვერპლი გახდა 1937 წელს, მისი შემოქმედება კი მრავალი წლის განმავლობაში აიკრძალა. მიუხედავად ამისა, მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებებმა დროს გაუძლო - მწერალი კვლავ დაუბრუნდა მკითხველს, როგორც ქართული პროზის დიდოსტატი. მისი რომანები თუ მოთხრობები დღესაც ცოცხალი და აქტუალურია, რადგან მათში ასახულია ადამიანის მარადიული ბრძოლა თავისუფლებისა და ღირსებისთვის.



მიხეილ ჯავახიშვილმა 1924 წლის 19 იანვარს თავის ქალიშვილს, 10 წლის ქეთევანს, რვეულში ასეთი „10 მცნება“ ჩაუწერა:

1. შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთადერთი წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.
2. სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი შენი პირადი მეგობარი.
3. ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, მას ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.
4. მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.
5. მაინც მუდმივ შენი თავის იმედი იქონიე, ისე იცხოვრე, ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.
6. განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ჟინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.
7. გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა, ცუღლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაღუპავენ.
8. სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს დაუჯერე ყველაფერი, იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ჟინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები.
9. თავმოყვარეობა შეიძინე და საკუთარი თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ, არ გაამაყდე.
10. ბოლოს და ბოლოს, ყოველივეს სჯობია სამი რამ: პირველი შრომა, მეორე შრომა და მესამე შრომა.

სიტყვების განმარტება

მცნება - ზნეობრივი ხასიათის დარიგება, გადმოცემული დებულების სახით.
მარადიული - მუდმივი, დაუსრულებელი, ის, რაც დროს უძლებს.
განუყრელი - ის, ვისაც (ან რასაც) ვერ დააშორებ, ვისთანაც მუდმივი კავშირი გაქვს.
მსახური - აქ: ის, ვინც თავდადებით და უანგაროდ ემსახურება დიდ იდეას ან სამშობლოს.
მოვალე - აქ: პირი, რომელსაც აკისრია ვალდებულება ვინმეს ან რაიმეს წინაშე.
წრფელი - გულწრფელი, ალალი, წმინდა, სიყალბის გარეშე.
განაგე თავი შენი - მართე, უხელმძღვანელე, იყავი საკუთარი თავის ბატონ-პატრონი.
ჟინი - ძლიერი, ხშირად დაუფიქრებელი სურვილი; ახირება.
კერპი (კერპი გული) - აქ: ჯიუტი, შეუვალი, დაუმორჩილებელი.
ურჩი - დაუმორჩილებელი, ჯიუტი; ის, ვინც სხვის ნებას არ ჰყვება.
ცუღლუტობა - ეშმაკობა, ოინბაზობა, არაკეთილსინდისიერი ან არასერიოზული საქციელი.
სიყალბე - სიცრუე, ფარისევლობა.
ზრახვა - ფიქრი, განზრახვა, ჩანაფიქრი.
თავმოყვარეობა - საკუთარი ღირსების გრძნობა, პატივისცემა საკუთარი თავის მიმართ.

ჩვენი კრებულ ათი მცნება.

1. შენ ბატ მახარეო, ქებულო და ადიდებულო ბუნის და მისგანო შენი შენ მეც სურვიხარ.
2. შენი სამშობლო მეფის შენი ხარისხი მეფისა, ხალხ შენი ეკლესიანი შენი ხალხი მეფეშია.
3. ყვავილი, სად ქედს და მიწე ან შენი სიყვარულ ვინ, შენ შენშენ სურვიხარ შენ ხალხ მის ეფრთხილე ქედ და ქებულო ჩვენ.
4. მიყვარ ძალ წინაც ძიება ყვავილ და ისე მეფეშ ყვავილს.
5. მაინც მიყვარ ძალიან ჩვენი ავად იმედი იქნება. ის ცხენზე, ვიდაც ამ ქვეყნად ასე მეფეთ ქვეყან და ასე მეფეს.
6. ქანაქე ავად შენი და ღმერთ ქალ შენი ცოდი, ეს ის ქალ და ცუდი სიყვარულ ის.
7. ქვის მიყვარე და ქალიქე, ან შეიძლება ძალიან შინ და ჯანმრთელ ის. ნახავდა, ცოდ ვინც, ხალხ და ისიც ის ეფრთხილე ის.
8. სანამ სიყვარის ეს ის ქალიქ ხალ, ამალიან ყვავილი ღმერთ. იმა შეიძლება ძალიან სიყვარე უნდა. ეს ეს ხალ სიყვარის ქვეყან, ცოდი და ქალ ჩანაცვლ ის არ არ.
9. ავად ყვავილებ შეიძლე და შენი ავად ვინ იწინ, ამას ან ქალიქებ: ის ქალიქე.
10. ძალ და ძალ ყვავილ სიყვარე სიძულვილ იმი ის: ეს ეს შენ, ქალ- შინ, ქალ- შინ, და ქალ- იქნ შინ.

ჩემთანაც ღმერთ ის და შეიძლე.

შენი მსურველი ან

19/XII 1924.



უპასუხეთ კითხვებს

1. თქვენი აზრით, რა არის ის „ყოველივე“, რასაც სამშობლო გასცემს ჩვენთვის (მე-4 მცნება)?
2. მწერლის აზრით, რა თვისებებია დამღუპველი ადამიანისთვის (მე-7 მცნება)?
3. რატომ ურჩევს მამა შვილს, რომ „საკუთარ ჭკუას და გულის ზრახვას“ მანამ არ აჰყვეს, სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარა (მე-8 მცნება)?
4. მე-9 მცნებაში ნახსენებია „თავმოყვარეობა“ და „გაამაყება“, იგივე, ამპარტავნობა. ამპარტავნობა ნიშნავს საკუთარი თავის გადამეტებულ შეფასებას, მედიდურობას, სხვების დამცირებას საკუთარი თავის წარმოსაჩენად. თქვენი აზრით, სად გადის ზღვარი საკუთარი თავის ფასის ცოდნასა და სხვებზე მაღლა დადგომის სურვილს შორის?
5. ტექსტის დასასრულს (მე-10 მცნება) ავტორი სამჯერ იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვას - „შრომა“. იზიარებთ თუ არა მწერლის შეხედულებას, რომ შრომა „ყოველივეს სჯობია“? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე?

დააკვირდით

- ავტორი თავის დარიგებებს შემთხვევით არ უწოდებს „მცნებებს“. შეიძლება გავიხსენოთ ბიბლიური „10 მცნებაც“ - ათი უმთავრესი კანონი (წესი), რომლებიც, ბიბლიის მიხედვით, თავად ღმერთმა მისცა მოსე წინასწარმეტყველს და რომელთა დარღვევაც არ შეიძლებოდა. თქვენი აზრით, რატომ დაასათაურა მწერალმა ტექსტი ასე - რა მნიშვნელობას ანიჭებს ამით თავის დარიგებებს?
- დააკვირდით, როგორ იწყება ტექსტი. პირველსავე პუნქტებში ადამიანი გააზრებულია, როგორც ქვეყნის „განუყრელი ნაწილი“. თქვენი აზრით, რა პასუხისმგებლობას აკისრებს ეს ადამიანს?
- „ისე იცხოვრე, ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი“, - წერს მე-5 მცნებაში მიხეილ ჯავახიშვილი. თქვენი აზრით, რისკენ მოგვიწოდებს ამ სიტყვებით მწერალი?
- მწერალი მოუწოდებს შვილს, რომ მართოს თავისი „ჟინი“ და „კერპი გული“ (მე-6 მცნება). როგორ გესმით ეს სიტყვები? მაშ, რაში და როგორ შეიძლება წარმოჩნდეს ადამიანის თავისუფლება?

სიტყვების კიდობანი

მცნება თუ ცნება?

ენაში არსებობს ისეთი სიტყვები, რომლებიც ჟღერადობით, ბგერითი შედგენილობით, ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ მნიშვნელობებით სრულიად განსხვავდება. ბგერითი მსგავსების გამო ასეთი სიტყვები ზოგჯერ ერთმანეთში გვერევა და უმართებულოდ ვიყენებთ ხოლმე. ასეთი შეცდომების არიდების ერთადერთი საშუალება ამ სიტყვათა მნიშვნელობების ზუსტი ცოდნაა.

ასეთი მსგავსი სიტყვებია „მცნება“ და „ცნება“. ამ სიტყვებს მხოლოდ ერთი ასო-ბგერა განასხვავებს, მაგრამ ისინი სულ სხვადასხვა რაღაცას გამოხატავენ.

მცნება არის შეგონება, დარიგება, რომელიც გვეუბნება, როგორ უნდა მოვიქცეთ. ის წინადადებით გამოიხატება. მაგ.: „არ იპარო!“

ცნება არის ერთი სიტყვა, რომელიც მსგავსი მოვლენების, იდეებისა თუ საგნების მთავარ ნიშნებს აერთიანებს (მაგ.: ცნება „ადამიანი“, ცნება „თავისუფლება“, ცნება „სამყარო“). ასე მაგალითად, როდესაც ვამბობთ „წიგნი“, გონებაში ერთი კონკრეტული წიგნი კი არ წარმოგვიდგება, არამედ, ზოგადად, ყველა ის საგანი, რომლებსაც აქვს ყდა და ფურცლები - მათზე დატანილი ტექსტებითა თუ ნახატებით.

ამგვარი მსგავსი სიტყვების წყვილები ენაში სხვებიც გვაქვს. ასეთ სიტყვებს **პარონიმები** ეწოდება. მოდი, გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

პარონიმები	
კომპანია - ორგანიზაცია, რომელშიც მუშაობს სხვადასხვა ადამიანი (მაგ.: კომპანია „გუგლი“).	**კამპანია** - გარკვეული დროით დაგეგმილი ღონისძიებები, რომლებიც ტარდება რაიმე მიზნის მისაღწევად (მაგ.: სარეკლამო კამპანია).
ეწვია - ესტუმრა (მაგ.: „სტუმარი ეწვია“).	**ეწია** - მიაღწია, ხვდა, სურვილი შეუსრულდა (მაგ.: „კარგ ბედს ეწია“).
წილი - ნაწილი, ხვედრი (მაგ.: „მამის ქონების უდიდესი წილი უმცროს შვილს ერგო“).	**წვლილი** - დამსახურება, შენატანი (მაგ.: „მეცნიერმა ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა“).

სავარჯიშო. გადაიწერეთ წინადადებები რვეულში და გამოტოვებულ ადგილებზე ჩასვით შესაბამისი სიტყვა ფრჩხილებში მოცემული წყვილიდან:

1. დღეს ქართულის გაკვეთილზე შევისწავლეთ ახალი ... - სიუჟეტი (ცნება/მცნება).
2. ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „კეთილი ფარად უფარე შენთვის ბოროტის მდომსაო“ - არის ჩემთვის ერთ-ერთი უმთავრესი .... (ცნება/მცნება).
3. ეს სამშენებლო ... ნამდვილად ხარისხიან მასალებს იყენებს (კამპანია/კომპანია).
4. მერობის კანდიდატმა წარმატებული საარჩევნო ... ჩაატარა (კამპანია/კომპანია).
5. ჩვენი ... სამართლიანად მივიღეთ და საქმე დავასრულეთ (წვლილი/წილი).
6. სკოლის გამარჯვებაში მცირე ... ჩვენმა კლასმაც შეიტანა (წვლილი/წილი).
7. დღეს დიდი სიხარული ... თქვენი სტუმრობით (გვეწვია/გვეწია).
8. ეს რა დღე გაგვითენდა, რა ბედი ...(გვეწვია/გვეწია)!

იმსჯელეთ

- „სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია“, - წერს მიხეილ ჯავახიშვილი. ყოველთვის ნიშნავს თუ არა ეს ფიზიკურ დაპირისპირებას, თუ შეიძლება, რომ მტრობა ქვეყნისთვის საზიანო საქციელშიც გამოიხატოს? თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.
- შეადარეთ ერთმანეთს მე-7 და მე-10 მცნებები. რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის?
- რომელი მცნება მიგაჩნიათ დღეისთვის ყველაზე აქტუალურად და რატომ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

შემოქმედებითი სახელოსნო

- **„მე - 11 მცნება“** - წარმოიდგინეთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი დღეს ცოცხალია და თქვენს რვეულში კიდევ ერთი - მე-11 მცნება უნდა ჩაწეროს, რომელიც ეხება 21-ე საუკუნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან თემას ან საკითხს. თქვენი აზრით, რომელი თემა ან საკითხი იქნებოდა შერჩეული და რატომ?
- **წერილი მიხეილ ჯავახიშვილს** - წარმოიდგინეთ, რომ შეგიძლიათ წერილი მისწეროთ ავტორს. წერილში გადმოეცით, რომელი მცნების შესრულებაა ყველაზე რთული დღეს, როდესაც ტექნოლოგიები ბევრ რამეს გვიადვილებს და ხშირად მზა პასუხების მიღება გვირჩევნია დაფიქრებასა და კვლევა-ძიებას. თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიყვანეთ მაგალითები. წერისას გამოკვეთეთ წერილის სამი ნაწილი: მიმართვა, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება.

დისკუსია

**ისაუბრეთ შეკითხვებზე დაყრდნობით,
თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.**

- მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით“ (მე-7 მცნება). როგორ ფიქრობთ, შრომისა და პატიოსნების გარდა, არსებობს თუ არა სხვა წინაპირობაც გამარჯვების, წარმატების მისაღწევად (მაგ.: ნიჭი, იღბალი, საკუთარი თავის რწმენა, სხვების დახმარება, გამბედაობა, არჩეული საქმის სიყვარული, გამძლეობა). თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.
- არსებობს ასეთი გამონათქვამი: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. როგორ ფიქრობთ, თუკი ადამიანის მიზანი სხვების დახმარებაა, შეიძლება თუ არა ამ კეთილი მიზნის მისაღწევად უსამართლო საქციელი ჩაიდინოს? მოიყვანეთ მაგალითი (რეალური ცხოვრებიდან, ლიტერატურიდან ან ისტორიიდან) და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

წერითი დავალება

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. „ყველაზე მნიშვნელოვანი მცნება“ - აირჩიეთ მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთი „მცნება“, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ და დაწერეთ, რით არის ის თქვენთვის გამორჩეული.

2. „ჩემი მცნებები“ - ჩამოწერეთ 3-5 პირადი წესი („მცნება“), რომლებიც უნდა დაიცვათ ყოველდღიურ ცხოვრებაში იმისთვის, რომ ახლობლებთან - მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან - გქონდეთ სასიამოვნო, გულწრფელი, სამართლიანი და მყარი ურთიერთობა.

ეს საინტერესოა

სტუმრად ილია ჭავჭავაძესთან

ცამეტი წლის იყო მიხეილ ჯავახიშვილი, როდესაც მამამ სოფელ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიაბარა. ქართული ენა მწერალს დავიწყებული ჰქონდა, რადგან სკოლაში, სადაც მანამდე სწავლობდა, რუსულ ენაზე ასწავლიდნენ. ერთ წელიწადში მიხეილი უკვე დაეწია თავის ტოლებს ქართულში, მაგრამ რუსული აქცენტი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაძლეული.

სწავლის პერიოდში მიხეილი თავის სკოლასთან ერთად რამდენჯერმე იყო სტუმრად ილია ჭავჭავაძის დღეობაზე სოფელ საგურამოში.



ილიაობა საგურამოში. სტუმრებს შორის არიან წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის მოსწავლეები (1896 წ.).

აი, როგორ იხსენებს მიხეილ ჯავახიშვილი სკოლაში სწავლასა და ილიასთან პირველ შეხვედრას 43 წლის შემდეგ - ამ დროისათვის იგი უკვე საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული მწერალი იყო:

„14 წლის ყმაწვილმა უკვე ვიცოდი ვინაობა და რაობა იმ საუკუნის კლასიკოსებისა. ისიც ვიცოდი, რომ ყველაზე დიდ მწერლად, მოღვაწედ და ქართველთა მეურვედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა.

იმ ერთ წელიწადში ზეპირად მასწავლეს მისი რამდენიმე ლექსი და ჩვენი სკოლის გახსნის გამო მის მიერ ნათქვამი სიტყვაც, რომელიც ქართული ორატორული ოსტატობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიმაჩნია.

სკოლისთვის ტრადიციად იყო გადაქცეული, რომ სკოლის უკანასკნელი კლასების მოწაფენი ილიას დღეობას (20 ივლისს) აუცილებლივ უნდა დასწრებოდნენ. იმ დღეს დილით გალობაში ერთხელ კიდევ ვივარჯიშეთ, სუფთად ჩავიცვით და საგურამოსკენ გავწიეთ. ილია ჭავჭავაძესთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი ეხლა წინ მიდევს. სურათზე სულ 32 მოწაფე დავითვალე.

წინ ილია გამოგვეგება, გარს შემოვეხვიეთ ... ილიას გაოცებული შევცქეროდი, მეგონა, ახოვანი, ჩოხოსანი ან ქულაჯოსანი იქნებოდა, ნამდვილად კი ჩვენ წინაშე შუატანის 57 წლის კაცი იდგა - სრული, პირსავსე, ჭაღარაშერეული. ილია გვიღიმოდა, გვეალერსებოდა, ვინაობას გვეკითხებოდა, მერმე წინ გაგვიძღვა და ხალხით სავსე ეზოში შეგვიყვანა. ჩვენი გამოკითხვა დიდხანს გაგრძელდა... მასწავლებელმა მეგრელიშვილმა შემარცხვინა, ილიას ჩემი ნაკლი ჩასჩურჩულა.

- აბა, ბარათაშვილის ლექსი წამიკითხე, - მითხრა ილიამ, მეტი გზა არ იყო, წინდაწინვე გავწითლდი და დავიწყე:

მორბის არაგვი არაგვიანი,

თან მოსძახიან მთანი ტყიანი.

მახვილი ისევ ნამდვილი რუსული წესით ვიხმარე. ილიამ გაიცინა, არც სხვები ჩამორჩენილან. მე მეწყინა და მაშინვე გავჩუმდი, ილიამ თავზე ხელი გადამისვა და დამაწყნარა. ვიღაცამ უთხრა ჩემზე: ჯერ ქართული გამოთქმა არ ეხერხება, სამაგიეროდ მწერლობას ისე ბეჯითად სწავლობს და ისე სწერს თხზულებას, რომ მწერალი უნდა გამოვიდესო.

- მართლა? აბა შენ იცი, - მითხრა ილიამ, - ვინძლო, არ შეგვარცხვინო.

იმ ვიღაცას ენამ უყივლა, თორემ მაშინ მწერლობა აზრადაც არ გამივლია“.

5. გურამ დოჩანაშვილი (1939–2021)



„იქ, სადაც სიყვარული ურევია, ყოველივე ლამაზდება“.
გურამ დოჩანაშვილი

გურამ დოჩანაშვილისთვის სამყაროს მამოძრავებელი ძალა სიკეთეა, ამიტომაც ამბობს ერთ თავის ნაწარმოებში: „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“. დოჩანაშვილის პერსონაჟები ხშირად არიან „უცნაური“, „ახირებული“, მაგრამ ძალიან სათნო და კეთილშობილი ადამიანები. მისი შემოქმედების მთავარი თემა პიროვნული და ეროვნული თავისუფლებაა. მწერალს სჯეროდა, რომ მხატვრულ ლიტერატურას ადამიანის გარდაქმნა შეუძლია და ამიტომაც წერდა, რომ ყოველი კარგი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უფრო უკეთესი, ვიდრე მანამდე იყავი.

პირველი კონცერტი

დღეს საღამოთი კონცერტია. ჩემი პირველი სოლო კონცერტი.

ვღელავ. ვცდილობ, დავმშვიდდე - ხან ჟურნალებს ვათვალიერებ, ხან ეზოში მოთამაშე ბავშვებს ვუყურებ. ვერ ვწყნარდები. დავდივარ ოთახში - ერთი კუთხიდან მეორემდე. რაღაცით უნდა გავირთო თავი... რა ვქნა?

ტახტზე ვწვები და ჭერს თვალებით ვბურღავ.

დღეს, ალბათ, ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. რომ შემეშალოს?.. არა! არ შემეშლება. არ უნდა შემეშალოს, მაგრამ... რა ვქნა, როგორ დავწყნარდე?

ვდგები და დავდივარ ერთი კუთხიდან მეორემდე. რა ვქნა?.. კედელზე ჩამოკიდებულ სურათს შევაცქერდი. სურათიდან პატარა ბი-





ჭუნა მიყურებს და ეშმაკურად მიღიმის. მოკლე შარვალი ჩაუცვამს. ყელზე დიდი ბაფთა გაუკეთებია. ხელში სათვალე უჭირავს. მისი ღიმილი ჩემზეც გადმოდის და ვუღიმი. ეს ხომ მე ვარ, მე... მე მაშინ პატარა, ძალიან პატარა ბიჭი ვიყავი.

მამაჩემი სხვა ქალაქში გაგზავნეს სამუშაოდ, დედაც თან გაჰყვა. დამტოვეს ბებიასთან. ყოველი ბავშვივით თამაში, ცელქობა და განსაკუთრებული შეკითხვები მიყვარდა. ცოტათი... ცოტათი კი არა, საკმაოდ ახირებული გახლდით.

როგორ მიყვარდა ეზო!.. ბებია და სახლი მაშინ მაგონდებოდა, როცა თამაშით დაქანცულს არაქათი აღარ მქონდა. ავდიოდი კიბეზე, კარზე ბრახაბრუხს ავტეხდი და ლოყებდაწითლებული და ოფლიანი სავარძელზე მოვიკალათებდი ხოლმე.

- უუჰ, შე ყაჩაღო, - მეუბნებოდა ბებია და ტანსაცმელს მიცვლიდა, - სათვალიანი და ასეთი ცელქი!

სათვალეს მაშინვე ვიხსნიდი განაწყენებული, მაგრამ ისევ ვიკეთებდი. ბავშვობიდანვე სუსტი მხედველობა მქონდა.

ბებიას ჩემი სათვალეების გამოულეველი მარაგი ჰქონდა, რადგან თითქმის ყოველდღე ვტეხდი მათ - ხან ველოსიპედით მოვისურვებდი კიბეზე ჩასვლას, ხან ბურთი მხვდებოდა სახეში, ხან სირბილის დროს წავიქცეოდი ხოლმე.

ეზოდან ამოსული ცოტა ხანს ვისვენებდი.

- ბებო, რამე წამიკითხე, - ვეტყოდი ხოლმე შემდეგ.

ბებიაც მიკითხავდა გრიმების ზღაპრებს, მიამბობდა ამირანის ამბავს...

ერთხელ „მუმუ“ წამიკითხა.

- ბებო! - შევშფოთდი, - დაიხრჩო?

- დაიხრჩო...

- მოკვდა?

- მოკვდა...

- რატომ დაიხრჩო, ცოდვა არ არი? - შევაცქერდი ბებიას და ტირილი დავაპირე.

ტირილი ხმამაღალი მიყვარდა. ისეთ ღრიალს ამოვუშვებდი ხოლმე, რომ...

- დაიცა, დაიცა, - დაფაცურდა ბებია, - ჯერ არ დამიმთავრებია. მუმუმ იცოდა კარგი ცურვა, - განაგრძო „კითხვა“ ბებიამ, - გასცურა მდინარე, მივიდა გერასიმესთან და ახლაც იქ ცხოვრობენ კარგად და ბედნიერად... ფქვილი აქა, ქატო იქა, - დაუმატა დამაჯერებლობისათვის.

მეც დავუჯერე და ცრემლიანი თვალებით გავუღიმე.

როცა გავუღიმებდი, ბებია ყოველთვის მეფერებოდა, თმას თითებით მივარცხნიდა და გულზე მიკრავდა.

- ჩემი პატარა ბიჭი, - იტყოდა ხოლმე.

„ჩემის“ ბებია ყოველთვის აგრძელებდა და მოფერე-

ბით „ჩეემის“ ამბობდა. მე კიდევ უფრო ვპატარავდებოდი მის მკლავებში.

- ჩეემი სათვალიანი ბიჭი, - ამბობდა ბებია და თვალებში მკოცნიდა.

ჩვენს სახლში მოსულ სტუმრებს მოვალეობად მიაჩნდათ, ჩემზე რაიმე აზრი გამოეთქვათ და, რა თქმა უნდა, ყოველთვის მაქებდნენ.

ბებია ცდილობდა, არ შეემჩნია ჩემი ქება, მაგრამ ვერ ახერხებდა, იღიმებოდა.

- რამდენი წლისა ხარ, ნუგზარ? - მეკითხებოდნენ სტუმრები.

მე საჩვენებელ თითს ცერით ვიჭერდი და სტუმრებს სამ თითს ვუჩვენებდი ხოლმე.

- უჰ! უკვე დიდი ბიჭი ყოფილა, - ამბობდნენ ისინი.

მე ვიცოდი, რომ არ ვიყავი დიდი.

- ბებო! შენ ხომ დიდი ხარ?

- კი, - მოგვიანებით მპასუხობდა ბებია. სტუმრებს უხერხულად გაეღიმებოდათ და ლაპარაკს იწყებდნენ, მაგრამ მე არ ვაცლიდი.

- ბებო, მე რატომ ვარ პატარა და შენ - დიდი?

ბებია ბრაზდებოდა.

- ი-მი-ტომ! - მეუბნებოდა ნერვიულად.

მე და სტუმრები უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით. ასეთი კითხვების შემდეგ, ცხადია, ვერ შემაქებდნენ.

გამოსავალს ისევ ბებია პოულობდა.

- ნუგზარ, აბა უთხარი ბიძია გიორგის - ვინ დაწერა „თორნიკე ერისთავი“.

- აკაკი წერეთელმა, - ვპასუხობდი მე.

- უყურე შენ! - გაიკვირვებდა ბიძია გიორგი.

ბებია გაიბადრებოდა და განაგრძობდა:

- „მუმუ“?

- „მუ-მუ“ - ტურგენევმა. მუმუმ ისეთი კარგი ცურვა...

- ნუგზარ! წადი, გენაცვალე, ეზოში ითამაშე.

ეზოში ჩავრბოდი და ომობანას ვთამაშობდი. სათვალეს ვიხსნიდი და ჯიბეში ვიდებდი - რომ არ მომეხსნა, აუცილებლად „გერმანელი“ ვიქნებოდი.

გადიოდა დრო.

ჩემი წლოვანების საჩვენებლად აღარ მყოფნიდა ერთი ხელის თითები. სკოლაში შემიყვანეს.

ეზოში ცოტა ხნითღა ჩავდიოდი ხოლმე.

სკოლა კიდევ არაფერი, ბებიამ გადაწყვიტა, რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა მესწავლა.

„რომელზე?“ - ფიქრობდა.


- რომელზე? - ეკითხებოდა ნაცნობებს.

როიალისა და ვიოლინოს გაგონებაც არ სურდა - ყველა მაგაზე უკრავსო, ამბობდა, ბებიას ყოველთვის უნდოდა, რომ განსაკუთრებული ვყოფილიყავი.

ბოლოს ვიოლონჩელზე შეჩერდა.

დაიწყო ჩვენი სიარული მუსიკალურ სკოლაში! ბებია წინ მიმიძღოდა ვიოლონჩელით ხელში, მე ნოტები მიმქონდა.

როგორ ვბრაზდებოდი, ჩემს ტოლებს ეზოში ფეხბურთი უნდა ეთამაშათ, მე კი... მე უნდა დამეკრა.



გაბრაზება სწრაფად მავიწყდებოდა, ქუჩაში მრგვალ ქვას ამოვარჩევდი, ფეხს ვურტყამდი და თავს ფეხბურთელად ვთვლიდი. მივრბოდი თამაშით, ხტუნვა-ხტუნვით. ბებიას მივდევდი, ხან ვუსწრებდი ხოლმე, ხანდახან ზედმეტად გართული ბებიას ვეჯახებოდი.

- უუჰ, შე ყაჩაღო, - ამბობდა მაშინ ბებია, - სათვალიანი და ასეთი ცელქი!

სათვალის მოსახსნელად ხელი სახესთან მიმქონდა, - მაგრამ ისევ ვუშვებდი.

გზად ბებიას ნაცნობი ქალი ცხოვრობდა. დღენიადაგ ფანჯარაში იყო გადმომდგარი და ქუჩას ათვალიერებდა.

- ნუგზარი როგორა გყავს? - ეკითხებოდა ბებიას.

- ცელქობს, - პასუხობდა ბებია, - კვირაში ორ სათვალეს ამტვრევს.

გაკვეთილის შემდეგ წინ მე მოვდიოდი ისევ თამაშით, ბებია უკან მომყვებოდა ვიოლონჩელით ხელში.

ნაცნობი ქალი იდგა ისევ და ქუჩას ათვალიერებდა.

- ბებო, ეს ქალი „შპიონია?“ - ვეკითხებოდი ბებიას.

- არ არის შენი საქმე!

სახლში მისვლისას ცოტა ხნით ბებია ეზოში სათამაშოდ მიშვებდა. რას არ ვთამაშობდით - ლახტს, დამალობანას, დაჭერობანას, ომობანას, ყველაზე ხშირად კი ფეხბურთს. მე ყველაზე პატარა ვიყავი და ამიტომ მეკარედ მაყენებდნენ. თავდამსხმელად თამაში მერჩივნა, მაგრამ!.. მაინც გატაცებით ვთამაშობდი. ჩვენი ეზოს ნაკრების მეკარე ვიყავი.

- ნუგზარ, - დამიძახებდა უცებ ბებია, - ამოდი, გაკვეთილები მოამზადე.

- მოიცა რა, მოიცა რა, ბებო...

ბებია არ მიცდიდა.

- ნუგზარ! ამოდი.

ზანტად ავდიოდი სახლში.

მეცადინეობის შემდეგ ეზოში სტვენით ჩავრბოდი და დამალობანას ვთამაშობდი.

კარგ ადგილს ვიპოვიდი, დავიმალებოდი და ამ დროს...

- ნუგზარ, - დამიძახებდა ბებია, - ამოდი, გენაცვალე, და დაუკარი.

„დაუკარის“ ბებია ხაზგასმით ამბობდა.

მე არ ვპასუხობდი. ბებია, როგორც ყოველთვის, არ მიცდიდა.

- ნუგზარ! ახლავე ამოდი!

ოხვრით ავდიოდი კიბეზე. ბებია ვიოლონჩელით მეგებებოდა.

- დაუკარი...

იმ წუთში, ალბათ, ძალიან შეწუხებული და დაღვრემილი გამომეტყველება მქონდა.

- დაუკარი, ჩეემო კარგო ბიჭო...

ბებია მაგიდასთან სკამს მიდგამდა და სურაზე ნოტებს მიაყუდებდა.

მე ყოველი შემთხვევისათვის უარის თქმას დავაპირებდი, მაგრამ...

- ნუგზარ! ჩქარა! დაჯექი და დაუკარი.

რაღა გზა მქონდა. ვჯდებოდი და ვუკრავდი.

ვიოლონჩელი კაცი იყო ჩემთვის, ბოროტი კაცი. ეს კაცი მუხლებშუა უნდა დამეყენებინა, მისი თავი მარცხენა მხარზე უნდა მიმესვენებინა, მარცხენა ხელის თითები ყელზე უნდა შემომეჭდო მისთვის, ხოლო მარჯვენათი უნდა ამემღერებინა.

ვიოლონჩელს მაშინ ბოხი, ჩახრინწული ხმა ჰქონდა და მთვრალი კაცივით უსმენოდ მღეროდა.

ბებია გვერდით მეჯდა და მიყურებდა, რომ მარჯვენა ხელის მოძრაობა არ შემეჩერებინა.

სიტყვების განმარტება

სოლო კონცერტი - კონცერტი, სადაც მხოლოდ ერთი შემსრულებელი (ამ შემთხვევაში, ნუგზარი) უკრავს მთავარ პარტიას.
ახირებული - ჯიუტი, უცნაური ხასიათის მქონე, თავისნათქვამა.
არაქათი - ძალა, ღონე (ჩვეულებრივ, ითქმის დაღლილობისას: „არაქათი აღარ მქონდა“).
მოვიკალათებდი - მოხერხებულად, რბილად და მყუდროდ დავჯდებოდი.
გამოულეველი მარაგი - ისეთი რაოდენობა, რომელიც არასდროს თავდება.
გრიმების ზღაპრები - ცნობილი გერმანელი მეზღაპრეები, ძმები, იაკობ და ვილჰელმ გრიმები.
ამირანის ამბავი - ქართული ხალხური თქმულება ამირანზე.
მუმუ - ივანე ტურგენევის მოთხრობა „მუმუს“ პერსონაჟი.
დაფაცურდა - აფუსფუსდა, სწრაფად დაიწყო რაღაცის კეთება (ჩვეულებრივ, ნერვიულობისას).
ფქვილი აქა, ქატო იქა - ქართული ხალხური ზღაპრის ტრადიციული დაბოლოება.
გაიბადრებოდა - სახე გაუბრწყინდებოდა, ძალიან გაუხარდებოდა.
დღენიადაგ - სულ, მუდამ, ყოველთვის, დაუღალავად.
შპიონი - (ბარბარიზმი) ჯაშუში; ადამიანი, რომელიც სხვებს უთვალთვალებს საიდუმლო ინფორმაციის მოპოვების მიზნით.
სურა - ვიწროყელიანი ჭურჭელი.

უპასუხეთ კითხვებს

1. რით იწყება მოთხრობა და რა იწვევს პერსონაჟის მღელვარებას?
2. როგორია სურათზე გამოსახული ბავშვის გარეგნობა?
3. როგორ გესმით სიტყვები: „ჭერს თვალებით ვბურღავ“?
4. დაახასიათეთ პატარა ნუგზარი. თქვენი აზრით, რატომ იყო ის „ახირებული“ ბავშვი?
5. რატომ გადაწყვიტა ბებიამ, რომ ნუგზარს ვიოლონჩელზე დაკვრა შეესწავლა?
6. რატომ აღიქვამდა ნუგზარი ვიოლონჩელს, როგორც „ბოროტ კაცს“? თქვენი აზრით, რატომ ჰქონდა ინსტრუმენტს „ბოხი და ჩახრინწული ხმა“?
7. როგორი იყო ბებიასა და შვილიშვილის ურთიერთობა? მოიყვანეთ ორი-სამი მაგალითი ტექსტიდან.
8. ვინ ჰყვება ამბავს, რომელ პირშია თხრობა? რას მატებს ეს არჩევანი თხრობას?
9. თქვენი აზრით, როგორ გაგრძელდება ამბავი - რამდენად და როგორ შეძლებს ნუგზარი ვიოლონჩელთან „დამეგობრებას“? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

დააკვირდით

- ბებია ატყუებს პატარა ნუგზარს - ცვლის მოთხრობა „მუმუს“ დასასრულს და ეუბნება, რომ ძაღლი გადარჩა. თქვენი აზრით, რატომ მოიქცა ბებია ასე? შეიძლება თუ არა მის სიცრუეს „კეთილი ტყუილი“ ვუწოდოთ? თქვენი მოსაზრება ახსენით.
- „ჩემი კარგი ბიჭი“ - ასე მიმართავს ბებია ნუგზარს მოფერებით. ხმამაღლა წარმოთქვით ეს სიტყვები. თქვენი აზრით, ბებიას როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს გრძლად წარმოთქმული ორი ხმოვანი - „ჩემი“?
- ბებია ნუგზარს, ფაქტობრივად, აიძულებს სწავლას - ნუგზარს თამაში უნდა, ბებია კი სამეცადინოდ ეძახის. როგორ ფიქრობთ, მიაღწევდა თუ არა ნუგზარი წარმატებას, ბებიას რომ არ დაეძალებინა დაკვრა?

იმსჯელეთ

1. ნუგზარი თავად ჰყვება ამბავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი. იმსჯელეთ, რას მატებს ეს ნაწარმოებს. ამისთვის ჩაატარეთ პატარა ექსპერიმენტი:
   - დააკვირდით მოთხრობის დასაწყისს, სადაც ნუგზარის მღელვარებაა აღწერილი. შემდეგ გადმოწერეთ ეს მონაკვეთი მესამე პირში - წარმოიდგინეთ, რომ ამბავს გარეშე მაყურებელი ჰყვება. გამოიყენეთ ფორმები: „ნუგზარი ღელავდა“, „ის ფიქრობდა“.

- შეადარეთ თქვენი ვარიანტი მოთხრობის ტექსტს: რა შეიცვალა მესამე პირში გადმოცემისას? დაიკარგა თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი, განცდა თუ ემოცია? რომელია უფრო უშუალო - რომელში იკვეთება უფრო დამაჯერებლად, რა ხდება პერსონაჟის გულში? პასუხი დაასაბუთეთ.

2. დაფიქრდით და იმსჯელეთ: არის თუ არა ისეთი რამ, რის კეთებას ან სწავლას მშობლები გთხოვენ, თქვენ კი გიჭირთ. იქნებით თუ არა მომავალში ამისთვის მადლობელი? თქვენი პასუხი ახსენით.

3. „სათვალიანი და ასეთი ცელქი?!“ - ხშირად უკვირს ბებიას. თქვენი აზრით, რა „უხილავ კავშირს“ ხედავს ბებია სათვალესა და ხასიათს შორის - რატომ ჰგონია მას, რომ სათვალე და სიცელქე ერთმანეთს არ შეესაბამება?

როდესაც ადამიანს ვაფასებთ მხოლოდ ერთი ნიშნით - მაგალითად, სათვალით, ჩაცმულობით ან ვარცხნილობით - ჩვენ ვქმნით იარლიყს (წინასწარ შემუშავებულ აზრს). თქვენი აზრით, რატომ შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი ჩვენი მოლოდინი, როდესაც ადამიანზე დასკვნას მხოლოდ ერთი დეტალით ვაკეთებთ?

დაფიქრდით და იმსჯელეთ: ყოველდღიურ ცხოვრებაში გავრცელებული კიდევ რა იარლიყების დასახელება შეგიძლიათ და რატომაა მცდარი ასეთი შეფასება.

* * *

რა ნელა გადიოდა დრო!

ჩემზე მეტად მეზობლები იტანჯებოდნენ.

- ვეღარ გაათავა? - კითხულობდა ერთი.

- არ იქნა ჩემი მოსვენება, - ამბობდა სამსახურიდან დაბრუნებული ბუღალტერი.

ჩემი ბოროტი კაცი არავის ერიდებოდა და ჩახრინწული ხმით სიმღერას განაგრძობდა.

- ვა! ვეღარ გადახერხა? - ამბობდა მანამდე მოწყენილი მეწაღე სეროჟა და თავისი ხუმრობით კმაყოფილი კარგ ხასიათზე დგებოდა.

დაკვრის შემდეგ ისევ ეზოში ჩავრბოდი სტვენით.

- ნუგზარ, - მითხრა ერთხელ ბებიამ, - მე ცოტა ავად ვარ. წახვალ მარტო?

- როგორ ვერ წავალ, - გავიკვირვე.

- ვიოლონჩელი ფრთხილად ატარე. სადმე არ დაამტვრიო. აბა, შენ იცი, ჩემი ჭკვიანი ბიჭი.

კიბეზე მართლაც ფრთხილად ჩამოვიტანე ვიოლონჩელი.

ეზოში ფეხბურთის თამაშს აპირებდნენ ბიჭები.

- თამაში გინდა? - მკითხა ეზოს გუნდის კაპიტანმა.

- კი...

- დადექი გოლში...

ჩემი კაცი მიწაზე დავაწვინე და დავდექი. ერთი ძნელი ბურთიც ავიღე და ნამდვილ მეკარედ წარმოვიდგინე თავი. „აი, ნამდვილ კარში რომ ვიდგე, რა იქნებოდა, - გავიფიქრე, - ძელებიან კარში“. უცებ ისეთი გადაწყვეტილება მივიღე, რომ ყველას გაუხარდა. ერთი ძელის მაგიერ ხემი ჩავარჭე მიწაში, ხოლო მეორის ნაცვლად ვიოლონჩელი. ასეთ კარში მდგარი დამინახა ბებიამ... ერთი კვირის მანძილზე უმეკარეოდ იყო ჩვენი ეზოს ნაკრები...

გადიოდა დრო.

ჩვენ ისევ ერთად დავდიოდით მუსიკაზე.

- ნუგზარი როგორ არის? - ეკითხებოდა ფანჯარაზე გადმომდგარი ქალი ბებიას.

- ცოტათი დაჭკვიანდა, ერთი კვირაა, სათვალე არ გაუტეხია, - ამაყად პასუხობდა ბებია.

ბებიასთვის ის დღე დღესასწაული იყო, როდესაც მე კონცერტზე ვუკრავდი.

- ბებო, რომ შემეშალოს, რა მეშველება? - ვეკითხებოდი შიშით ბებიას.

- არ შეგეშლება, - მაიმედებდა ბებია და მეფერებოდა, - არ შეგეშლება, ჩემი ჭკვიანი ბიჭი. როდის იქნება, სოლო კონცერტი რომ გექნება?

დრო არავის და არაფერს უყურებდა. მიდიოდა თავისთვის.

მე უკვე მეჩოთირებოდა მოკლე შარვლის ჩაცმა.

ვიოლონჩელი ისევ კაცი იყო ჩემთვის, ბოროტი კაცი, ოღონდ ისეთი ჩახრინწული ხმა აღარ ჰქონდა.

ერთხელ ბებია ავად გახდა. დიდხანს იწვა.

ფრთხილად დამქონდა ვიოლონჩელი.

- თამაში გინდა? - მეკითხებოდნენ ბიჭები.

- არა...

მე ღრმად განვიცდიდი ბებიას ავადმყოფობას.

- ბებო, რამე ხომ არ გინდა? - ვკითხე ერთხელ.

- ის დაუკარი.

- რა?

- მე რომ მიყვარს.

ბებიას სენ-სანსის „მომაკვდავი გედი“ უყვარდა.

ვიოლონჩელი მუხლებშუა დავიყენე, თავი მხარზე მივადებინე, კისერზე თითები შემოვაჭდე და დავუკარი.

არასოდეს დამიკრავს ისე კარგად...

- ჩემი ჭკვიანი ბიჭი. მოდი, მოგეფერო, - მითხრა ბებიამ და ცრემლები მოიწმინდა.

ისე მომეფერა, როგორც ყოველთვის მეფერებოდა, - თითებით დამივარცხნა თმა, გულში ჩამიკრა, თვალებში მაკოცა.

კარი გაიღო და ჩვენი მეზობელი ბუღალტერი შემოვიდა.

- კიდევ დაუკარი რა, ნუგზარ, - მითხრა მან, - მუსიკა ისე მასვენებს...

მე, რა თქმა უნდა, კიდევ დავუკარი.

იმ დღის შემდეგ შევიყვარე ვიოლონჩელი... ის ისევ კაცი იყო ჩემთვის, ოღონდ ისეთი, რასაც მოსთხოვ, რომ აგისრულებს. მინდოდა და, ბედნიერებაზე, სიხარულზე ავამღერებდი, მომინდებოდა და სევდიან ჰანგებს გადმოვაღვრევინებდი.

აღარ მჭირდებოდა დაძალება. აღარც მეზობლებს ვაწუხებდი. პირიქით.

- დამწვრისა დაუკარი რა... - მთხოვდა ხოლმე მეწაღე სეროჟა.

ბებია ამაყობდა ჩემით. ხანდახან დაფიქრდებოდა და იტყოდა:

„ჩეემი ბიჭი, როდის გექნება ნეტავ სოლო კონცერტი?“

დრო გადიოდა - ხან მდორე მდინარესავით მიიზლაზნებოდა, ხან მთის ნაკადივით მიისწრაფოდა. დრო შეუმჩნევლად მაშინ გადიოდა, როდესაც ვუკრავდი. აღარ ვიყავი პატარა ბიჭი - ბებია მხრებამდე ძლივს მწვდებოდა. კონსერვატორიის სტუდენტი გავხდი.

ბებია ერთხელ საწოლზე ჩამომიჯდა და მომეფერა. მივარცხნიდა თმას და მიყურებდა თვალებში. რაღაცის კითხვას აპირებდა.

- ჩეემი დიდი ბიჭი, - გაუბედავად მომმართა, - არავინ გიყვარს?

კინაღამ გავწითლდი.

- არა, ბებო, რა დროს ჩემი...

- რატომ რა დროს... შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ.

იმ წუთს პირველად ვიგრძენი, რომ აღარ ვიყავი ბავშვი.

- ნუგზარ, ვინმე რომ გეყოლება... ხომ გამაცნობ?

- კი, ბებო...

ბებია დაფიქრდა.

- სოლო კონცერტი რომ გექნება, მაშინ გამაცანი, კარგი?

- კარგი, ბებო...

რამდენი ვიფიქრე იმ ღამეს!

მართლაც, აღარ ვიყავი ბავშვი. ვგრძნობდი, რომ აღარ შემეფერებოდა ცელქობა, ვეღარ ჩავიცვამდი მოკლე შარვალს, სათვალესაც აღარ გავტეხდი.

მე მხოლოდ მაშინ ვიყავი ბავშვი, როცა ბებია მეფერებოდა. მე ისე ხშირად მენატრებოდა მისი ალერსი...

- ბებო, - ვეუბნებოდი, - ჩემო ბებო, მომეფერე, რა!

ბებიაც მეფერებოდა, მეალერსებოდა და მეუბნებოდა:

- ხომ გამაცნობ იმას... შენს სოლო კონცერტზე?

მე ტახტზე ვწევარ და ჭერს ვუყურებ.

დღეს საღამოს კონცერტია. ჩემი პირველი სოლო კონცერტი.

ვღელავ. ჩამქრალ პაპიროსს ვუკიდებ. ბოლი ბოლქვებად მიიწევს ზევით. მერე იშლება და იფანტება.

რომ შემეშალოს?!

დღეს, ალბათ, ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. ვიცი, მეზობლები გვირგვინს მიმზადებენ ჩუმად. ბევრი ხალხი იქნება. ისიც იქნება...

„იმას ხომ გამაცნობ?“ - მახსენდება ბებიას თხოვნა.

ის კი იქნება იქ, მაგრამ...

ცრემლი ნაოჭში ყოვნდება, მერე ჩარბის ქვევით, ტუჩის კუთხესთან, მერე ნიკაპთან ჩერდება და მკერდზე მეცემა.



მეორე წვეთი პირველის ნაკვალევზე უფრო სწრაფად მიგორავს და ისიც მკერდზე მეცემა.

ბებო, ჩემო ბებო, როგორ გინდოდა ჩემი სოლო კონცერტის მოსმენა!

თვალებს ვიმშრალებ. საოცრად აწყნარებს ადამიანს თურმე ტირილი...

დღეს საღამოს ჩემს კეთილ, მგრძნობიარე კაცს მუხლებშუა დავიყენებ, თავს მხარზე მივადებინებ, მარცხენა ხელის თითებს კისერზე შემოვაჭდობ და ავამღერებ. ავამღერებ სუფთა, ხავერდოვანი ხმით.

ოთახში დავდივარ ერთი კუთხიდან მეორემდე.

შემეშლება?

არა, არ შემეშლება!

ბებო, შენს ხსოვნას მიუძღვნის ჩემი სათნო კაცი თავის სევდიან სიმღერას.

სიტყვების განმარტება

ხემი - სპეციალური ჯოხი, რომელსაც უსვამენ სიმებიან საკრავს (ვიოლინოს, ვიოლონჩელს) ხმის გამოსაცემად.
მეჩოთირებოდა - მეუხერხულებოდა, მერიდებოდა.
სენ-სანსი - ჩარლზ-კამილ სენ-სანსი, ფრანგი კომპოზიტორი, დირიჟორი.
მდორე - ნელი, მშვიდი (მდინარის დინება).
მიიზლაზნებოდა - ძალიან ნელა, ზანტად მიდიოდა.

უპასუხეთ კითხვებს

1. რა გარდატეხა მოხდა ნუგზარის ცხოვრებაში, რამაც მას საკრავი შეაყვარა?
2. როგორი იყო მეზობლების დამოკიდებულება ნუგზარის დაკვრის მიმართ - როდის შეიცვალა მათი გაღიზიანება ნუგზარის აღიარებით? რაში გამოიხატებოდა მეზობლების აღიარება?
3. თქვენი აზრით, რატომ უნდოდა ბებიას, რომ ნუგზარის რჩეული - „ის“ - შვილიშვილის სოლო კონცერტზე გაეცნო?
4. როგორ ემზადებიან მეზობლები ნუგზარის სოლო კონცერტისთვის? დაიმოწმეთ ტექსტიდან შესაბამისი ადგილი.
5. თქვენი აზრით, რისი მიმანიშნებელია ნუგზარის ცრემლები - უიმედობის, შიშის თუ დაძაბულობისგან გათავისუფლების? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.
6. ვის უძღვნის მუსიკოსი თავის პირველ სოლო კონცერტს და რატომ ამბობს „ჩემი სათნო კაცი“ ნაცვლად იმისა, რომ თქვას „ჩემი ვიოლონჩელი“?
7. როგორ ფიქრობთ, წარმატებით ჩაივლის თუ არა ნუგზარის კონცერტი?

რატომ ფიქრობთ ასე? პასუხის გასაცემად მოძებნეთ შესაბამისი ადგილი ტექსტიდან.

8. რა სირთულეები ჰქონდა ნუგზარს ცოდნის შეძენის გზაზე? როგორ გადალახა ისინი?
9. თქვენი აზრით, შეძლებდა თუ არა ნუგზარი წარმატების მიღწევას მხარდაჭერის გარეშე? ვინ იყვნენ მისი მხარდამჭერები?



დააკვირდით

- მოთხრობაში საკრავი - ვიოლონჩელი - ცოცხალ არსებასავითაა აღწერილი. თავიდან ასეა დახასიათებული: „ბოროტი კაცი“, „ჩახრინწული ხმა“, „მთვრალი კაცივით უსმენოდ მღეროდა“. ბოლოს კი ასე: „კეთილი, მგრძნობიარე კაცი“, „სუფთა, ხავერდოვანი ხმა“. იმსჯელეთ, რა შეიცვალა - თავად საკრავი თუ ნუგზარის დამოკიდებულება მის მიმართ? როგორ უკავშირდება ეს ცვლილება „ცოდნის გზას“?
- ნუგზარი იხსენებს, რომ აღარ ტეხდა სათვალეებს და ეუხერხულებოდა მოკლე შარვლის ჩაცმა. ბავშვში მომხდარ რა ცვლილებაზე მიგვითითებს ეს?
- მოთხრობის ბოლოს ნუგზარი ამბობს, რომ საკრავი მას ყველაფერს უსრულებს, რასაც სთხოვს. გახადა თუ არა მიღებულმა ცოდნამ ის უფრო თავისუფალი და ძლიერი - როგორ ვლინდება ნუგზარის შინაგანი თავისუფლება? მოიყვანეთ შესაბამისი ადგილი ტექსტიდან.
- გაიხსენეთ, როგორ იწყება მოთხრობა: „რომ შემეშალოს?.. არა! არ შემეშლება. არ უნდა შემეშალოს, მაგრამ... რა ვქნა, როგორ დავწყნარდე?“, დასასრულს კი ვკითხულობთ: „შემეშლება? არა, არ შემეშლება!“. რა ეხმარება ნუგზარს იმაში, რომ ირწმუნოს საკუთარი თავისა?
- მოთხრობის უდიდესი ნაწილი ნუგზარის ბავშვობის მოგონებებს ეთმობა. ამისდა მიუხედავად, ნაწარმოებს „პირველი კონცერტი“ ჰქვია - მოვლენა, რომელიც ზრდასრული მუსიკოსის ცხოვრებაში უნდა მოხდეს. თქვენი აზრით, რატომ შეარჩია მწერალმა ეს სათაური?

დისკუსია

ისაუბრეთ შეკითხვებზე დაყრდნობით, თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.

- შეცდომის დაშვების შიში მხოლოდ დამაბრკოლებელია, თუ შეიძლება სასარგებლოც იყოს? როგორ ფიქრობთ, სად გადის ზღვარი „სასარგებლო“ მღელვარებასა და დამაბრკოლებელ შიშს შორის?
- ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას: „ნამდვილ ცოდნას მხოლოდ მაშინ შეიძენ, როცა სირთულეებს გადალახავ, უშრომლად ვერაფერს მიაღწევ“.

ნათქვამის დასასაბუთებლად არგუმენტები და მაგალითები მოიყვანეთ როგორც მოცემული მოთხრობიდან, ასევე სხვა ნაწარმოებებიდან, ისტორიიდან, ფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან.

შეადარეთ

- მოთხრობაში ბებიას საყვარელი ნაწარმოებია სენ-სანსის „მომაკვდავი გედი“ (ციკლიდან „ცხოველთა კარნავალი“). მოუსმინეთ ამ ნაწარმოებს და ისაუბრეთ, როგორ ეხმიანება მუსიკის ხასიათი (სევდა, სინაზე, დიდებულება) მოთხრობის ამ ეპიზოდს?
- გურამიშვილის თქმით, სწავლა მწარეა, მისი ბოლო კი - ტკბილი („სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“). როგორ ეხმიანება გურამიშვილის ეს ცნობილი აზრი ნუგზარის თავგადასავალს? რა იყო ნუგზარისთვის „მწარე ძირი“ და რა აღმოჩნდა „ტკბილი ნაყოფი“?
- გაიხსენეთ დავით გურამიშვილის სიტყვები ბრძენის შესახებ: „...ბრძენსა აქვს თავის უფლება სოფელში ყოფნა ნებისა; ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა...“
  შეადარეთ ეს სტრიქონები დოჩანაშვილის მოთხრობის დასასრულს და იმსჯელეთ, როგორ აღწევენ თავისუფლებას გურამიშვილის ბრძენი და ნუგზარი, რა არის მათი თავისუფლების საფუძველი?
- გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც“. ისაუბრეთ, როგორ ასახავს ილიას სიტყვები ნუგზარისა და მისი მეზობლების ურთიერთობას, რა გავლენას ახდენს ნუგზარის „სანთელი“ (მისი ოსტატობა) მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე.
- გაიხსენეთ მიხეილ ჯავახიშვილის მე-7 და მე-8 მცნებები. ისაუბრეთ, როგორ ვლინდება „პირველ კონცერტში“ პასუხისმგებლობა, შრომა, უფროსების რჩევების გათვალისწინება და რა შედეგს აღწევს ამით ნუგზარი.

თხრობის ორი გზა

1. ამბის მოსათხრობად სხვადასხვანაირი გზა არსებობს. ყველაზე გავრცელებული და ტრადიციული გზაა ამბის გადმოცემა **დროითი**, ანუ **ქრონოლოგიური** თანმიმდევრობის დაცვით. ამ შემთხვევაში ამბის თხრობა იწყება საწყისი მოვლენით, რომელიც პირველად მოხდა. მას აგრძელებს მოვლენა, რომელიც დროში მომდევნოა და ასე გრძელდება დასასრულამდე, რომელშიც გადმოცემულია ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა.

დროითი თანამიმდევრობის დაცვით გადმოცემული ამბავი „ჯაჭვურ“ პრინციპს ეყრდნობა. ამ „ჯაჭვის“ პირველი რგოლი საწყისი მოვლენაა, მომდევნო რგოლები - შემდგომ მომხდარი მოვლენები, ხოლო უკანასკნელი რგოლი - სულ ბოლოს მომხდარი მოვლენა.


„ჯაჭვური“ პრინციპის სქემა:



- გაიხსენეთ მოთხრობა ან ზღაპარი, რომელიც დროითი თანამიმდევრობის დაცვითაა გადმოცემული. დაასახელეთ, რომელია საწყისი მოვლენა, რომელი მოვლენები აგრძელებს მას, რომელია ბოლო მოვლენა.

2. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში ამბავი სხვაგვარადაა გადმოცემული. ნაწარმოები სამ ნაწილად იყოფა. ის იწყება და მთავრდება ახლანდელ დროში მიმდინარე მოვლენით - ნუგზარის მღელვარებით სოლო კონცერტის მოლოდინში (I და III ნაწილები). ამ ნაწილებს შორისაა მოქცეული ნუგზარის მოგონებები წარსულიდან (II ნაწილი). ამგვარ თხრობას ჩარჩო-თხრობას უწოდებენ, რადგან პირველი და ბოლო ნაწილები ჩარჩოსავით კრავს, შემოაჩარჩოებს ძირითად ნაწილს.

ჩარჩო-თხრობის სქემა:



- ქვემოთ დასახელებულია ცალკეული ადგილები გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან. წაიკითხეთ და დაწერეთ, ჩარჩო-თხრობის რომელ ნაწილს მიეკუთვნება თითოეული მათგანი, თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

1) ნუგზარის გადაწყვეტილება, რომ კონცერტი ბებიას ხსოვნას მიუძღვნას;
2) ბებიას „კეთილი“ ტყუილი;
3) საუბარი სტუმრებთან;
4) ბავშვობის ფოტოსურათზე დაკვირვება;
5) ფეხბურთის თამაში ეზოში;
6) მოგონებებით გამოწვეული ცრემლები;
7) მეზობლების უკმაყოფილება.

- წარმოიდგინეთ, რომ მოთხრობაში გადმოცემული ამბავი დროითი თანამიმდევრობის დაცვით უნდა გადმოსცეთ. რომელი იქნებოდა საწყისი მოვლენა, რომელი - ბოლო?

- დაფიქრდით და ისაუბრეთ: თქვენი აზრით, რა შთაბეჭდილებას ახდენს ამბის ასე აგება მკითხველზე? რისთვის გამოიყენა ავტორმა თხრობის ეს გზა?

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები და ამოიცანით, რომელია არასწორი. პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

ა) პერსონაჟის ცვლილების ცხადად საჩვენებლად - ეს გვეხმარება გავიგოთ, როგორ იქცა პატარა ბიჭი დიდ მუსიკოსად, რომ აწმყოს საფუძველი წარსულშია;

ბ) მთავარი სათქმელის უკეთ გამოსაკვეთად - სხვადასხვა ეპიზოდი (მაგ.: თამაში, მეცადინეობა) ერთიანდება

მთავარი თემის გარშემო;

გ) არამთავარის უგულებელსაყოფად - ბავშვობის ამბები ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარია ზრდასრული პერსონაჟის წარმატებული კარიერის ჩვენება;

დ) ინტერესის გასაძლიერებლად - იწყება ყველაზე დაძაბული მომენტით, მკითხველს აინტერესებს, რატომ ღელავს ასე პერსონაჟი.



წერითი დავალება

ჩემი ბავშვობის ნივთი

ნუგზარისთვის ბავშვობასთანაა დაკავშირებული ორი საგანი: სათვალე და მოკლე შარვალი. დაფიქრდით, რომელი საგანი მიგაჩნიათ თქვენი ბავშვობის ყველაზე კარგ გამოხატულებად - მაგ.: გაცვეთილი ბურთი, პატარა ველოსიპედი, ბავშვობისდროინდელი ფოტო, რომელიმე სათამაშო ან სხვა ნივთი. გადმოეცით, სად ნახეთ ეს ნივთი, როგორ გამოიყურება იგი, ბავშვობის რომელ ტკბილ მოგონებას გახსენებთ, რატომ ინახავთ - რა ემოციებს იწვევს ეს ნივთი თქვენში.

შეეცადეთ გამოიყენოთ ჩარჩო-თხრობის ხერხი: აწმყო - წარსული - აწმყო.

შეგიძლიათ გამოიყენოთ ფრაზები: „დღეს შემთხვევით წავაწყდი...“, „ამ ნივთს რომ ვუყურებ, მახსენდება...“, „ახლა, როდესაც ამ საგანს ვინახავ...“.



მწერლის ენა და სტილი

1. მოთხრობაში ხშირად ვხვდებით დიალოგებს - მწერალი იყენებს დიალოგებს, რათა პერსონაჟთა ხასიათები ცოცხლად წარმოაჩინოს.

მაგალითად, ეს დიალოგი გამოხატავს ბებიას სითბოსა და ნუგზარის ბავშვურ გულუბრყვილობას:

„- ბებო! შენ ხომ დიდი ხარ?

- კი, - მოგვიანებით მპასუხობდა ბებია. სტუმრებს უხერხულად გაეღიმებოდათ და ლაპარაკს იწყებდნენ, მაგრამ მე არ ვაცლიდი.
- ბებო, მე რატომ ვარ პატარა და შენ - დიდი? - ბებია ბრაზდებოდა.
- ი-მი-ტომ! - მეუბნებოდა ნერვიულად“.

- მოძებნეთ სხვა დიალოგები და იმსჯელეთ, რის წარმოსაჩენად გამოიყენა მწერალმა.

2. მწერლის თხრობა დინამიკურია - მოქმედებები სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს. მაგალითად: „ვდგები და დავდივარ... კედელზე ჩამოკიდებულ სურათს შევაცქერდი... ვუღიმი. ეს ხომ მე ვარ“.

- მოიყვანეთ მოთხრობიდან დინამიკური თხრობის სხვა მაგალითი.

შემოქმედებითი სახელოსნო

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. მეზობლების დიალოგი

მოთხრობიდან ვიგებთ, რომ მეზობლებიც ემზადებიან ნუგზარის სოლო კონცერტისთვის - გვირგვინს ამზადებენ მისთვის.

წარმოიდგინეთ თქვენი თავი მწერლის ადგილზე და მოიფიქრეთ, რა დიალოგი შეიძლებოდა ჰქონოდათ მეზობლებს სოლო კონცერტის დღეს. შეარჩიეთ ორი პერსონაჟი ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან და დაწერეთ მათი დიალოგი, რომელშიც ნახსენები იქნება კონკრეტული ამბავი ნუგზარის ბავშვობიდან (მაგ.: სათვალეების დამტვრევა, ფეხბურთის თამაში, ვიოლონჩელზე დაკვრის პირველი ნაბიჯები, ბებიას მზრუნველობა).

პერსონაჟები: ფეხბურთის გუნდის კაპიტანი; მეწაღე სეროჟა; ბუღალტერი; ბებიას ნაცნობი ქალი, რომელიც ფანჯრიდან იყურებოდა.

წერისას დაიცავით დიალოგის მართლწერის წესები: პერსონაჟის ნათქვამის წინ დაწერეთ ტირე; ყოველი ახალი ნათქვამი დაიწყეთ ახალი სტრიქონიდან; თუკი პერსონაჟის ნათქვამს მოსდევს ავტორის სიტყვები, მათ შორის დაწერეთ ტირე.

2. ინტერვიუ მუსიკოსთან

წარმოიდგინეთ, რომ ჟურნალისტი ხართ და ექსკლუზიურ ინტერვიუს ართმევთ ნუგზარს - მას მერე, რაც კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. დაწერეთ ოთხი-ხუთი კითხვა ნუგზარის მიმართ და სავარაუდო პასუხები. კითხვები დაუკავშირეთ ნუგზარის აწმყოს (მაგ.: ფიქრები და ემოციები წარმატების შემდეგ), წარსულს (პირველი ნაბიჯები მუსიკაში), მიღებულ გამოცდილებასა და მომავალს (რჩევები დამწყები მუსიკოსებისთვის, ნუგზარის სამომავლო გეგმები).

წერისას გამოკვეთეთ ინტერვიუს შემადგენელი ნაწილები: 1) შესავალი (ინფორმაცია კონცერტზე, ნუგზარზე); 2) დიალოგი ნუგზართან (კითხვა-პასუხი); 3) დასკვნა (მაგ.: თქვენი შთაბეჭდილება, დამშვიდობება ნუგზართან). ინტერვიუს შეურჩიეთ ისეთი სათაური, რომელიც მკითხველის ყურადღებას მიიზიდავს.

წერითი დავალება

დაწერეთ თხზულება სათაურით **„გზა პირველი კონცერტისკენ“**, რომელშიც გააანალიზებთ: როგორ შეიცვალა ნუგზარის დამოკიდებულება ვიოლონჩელის მიმართ - „ბოროტი კაციდან“ „სათნო კაცამდე“; ვინ იყვნენ მისი მხარდამჭერები და როგორ გამოიხატა მათი მხარდაჭერა; რა წვლილი აქვს ბებიას ნუგზარის მუსიკოსად ჩამოყალიბებაში.

შემოქმედებითი დავალება

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

დავალება 1. საჯარო სიტყვა

წარმოიდგინეთ, რომ თქვენს სკოლაში ტარდება „ღია კარის დღე“ სკოლის მომავალი მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის. თქვენ გთხოვეს სიტყვით გამოსვლა სტუმრების წინაშე სკოლის მოსწავლეთა სახელით. მოამზადეთ 5-6-წუთიანი საჯარო სიტყვა, რომლითაც დაარწმუნებთ მსმენელებს, რომ თქვენი სკოლა საუკეთესოდ შეუწყობს ხელს ბავშვების განვითარებას. ისაუბრეთ, ასევე, იმ სირთულეებზეც, რომელთა გადალახვაც მოგიხდათ თქვენს სასკოლო ცხოვრებაში. მოჰყევით, როგორ დაგეხმარათ ამაში სკოლა: მასწავლებელი, დირექცია, მოსწავლეები.

გაითვალისწინეთ: მსმენელების წინაშე წარდგომამდე გაიარეთ რეპეტიცია სარკის წინ. ეს დაგეხმარებათ დაინახოთ, რამდენად ბუნებრივია თქვენი გამომეტყველება და ჟესტები.

სიტყვის წარმოთქმისას:

- ისაუბრეთ, რით არის თქვენი სკოლა სხვებისგან გამორჩეული - მაგ.: მოსწავლეთა დაინტერესების, გაკვეთილების ჩატარების, მოსწავლეთა შეფასების, მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთობის, ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით;

- გამოკვეთეთ, რა ფასეულობებს, ცოდნასა და უნარებს გადასცემს თქვენი სკოლა მოსწავლეებს, რითია ისინი მნიშვნელოვანი 21-ე საუკუნეში;

- გამოიყენეთ შესაბამისი ციტატა ან ციტატები ნასწავლი ტექსტებიდან;

- გამოიყენეთ არგუმენტები დარწმუნების სამკუთხედის, სულ მცირე, ორი სფეროდან;

- გამოკვეთეთ სამი ნაწილი: მიმართვა, ძირითადი ნაწილი, დასასრული;

- აუდიტორიისა და მიზნის გათვალისწინებით, შეარჩიეთ შესაბამისი სიტყვები, მიმართვის ფორმები;

- დაიცავით დროის ლიმიტი, იმეტყველეთ სათანადო ტემპით, გამართულად და გასაგებად, შეინარჩუნეთ მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან.

დავალება 2. ჯგუფური პრეზენტაცია „ცოდნის გაკვეთილები“.

დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ 7-10-წუთიანი პრეზენტაცია: „ცოდნის გაკვეთილები“ (ამ თავში ნასწავლი ნაწარმოებების საფუძველზე). პრეზენტაცია მოამზადეთ ციფრულ ფორმატში, წარადგინეთ კლასში და უპასუხეთ შეკითხვებს.

პრეზენტაციაში:

- წარმოაჩინეთ, რა არის ამ თავში შესწავლილი ნაწარმოებების ავტორთა მთავარი სათქმელი;

- იმსჯელეთ, როგორი დამოკიდებულება იკვეთება სწავლის მიმართ სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ამ თხზულებებში - რა არის საერთო (მუდმივი) და რა - განსხვავებული (ცვალებადი);

- გადმოეცით, რამდენად მნიშვნელოვანი და აქტუალურია ეს დამოკიდებულებები 21-ე საუკუნეში, რითია ისინი ღირებული დღევანდელი მოსწავლეებისთვის;

- გამოიყენეთ შესაბამისი ვიზუალური მასალა (მაგ.: ფოტოები, ნახატები, სქემები), შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ მუსიკა სათანადო განწყობის შესაქმნელად - მუსიკალური ფონის სახით.

გადასადგმელი ნაბიჯები

პრეზენტაციის მომზადებისას:

✓ დაიყავით ჯგუფებად (თითოეულში 4-5 მოსწავლე);

✓ წინასწარ გაინაწილეთ ჯგუფში სამუშაო, მაგ.: ზოგიერთი წევრი იმუშავებს მასალების მოძიება-შერჩევაზე, ზოგი - ვიზუალურ მხარეზე, ზოგი - მუსიკალურ გაფორმებაზე, ზოგი - ტექნიკურ მხარეზე;

✓ ნამუშევრის წარსადგენად შეარჩიეთ 2-3 პრეზენტატორი.

პრეზენტაციის წარდგენისას:

✓ პრეზენტატორებმა წარადგინეთ ჯგუფური ნამუშევარი - თითოეულმა ერთი რომელიმე ნაწილი - და უპასუხეთ შინაარსობრივ შეკითხვებს;

✓ ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა უპასუხეთ შეკითხვებს თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, მაგ.: ვიზუალურ მხარესთან, ტექნიკურ მხარესა თუ მუსიკალურ გაფორმებასთან დაკავშირებით;

✓ შეაჯამეთ სამუშაო პროცესი: ვინ რაზე იმუშავეთ, როგორ იმუშავეთ, რა დასკვნები გამოიტანეთ.


თავი III
ადამიანის არჩევანი

- რა არჩევანის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი?
- რა თვისებებია საჭირო, რომ ადამიანი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებისას სიკეთის მხარეს დადგეს?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს ერთი ადამიანის არჩევანმა მეორის ცხოვრებაზე?

1. სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725)




„ბევრ კარგ მარგალიტს იპოვის იგავთა გამომძებნელი“.
სულხან-საბა ორბელიანი

სულხან-საბა ორბელიანი რომ დაიბადა, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი ხანა იდგა: XVII საუკუნეში ირანისა და ოსმალეთის ბატონობა სულს უხუთავდა ჩვენს ქვეყანას. ერის პოლიტიკური ცხოვრებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის შუაგულში მწერლის ოჯახიც იდგა. სულხანი სამეფო კარზე ტრიალებდა და აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმეებში.

სულხან-საბას სასულიერო მოღვაწეობა იზიდავდა და ამიტომ ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის მონასტერში. მიუხედავად ამისა, მას საერო ასპარეზი არ მიუტოვებია, რადგან ასე სჭირდებოდა ქვეყანას. მეფე ვახტანგ მეექვსემ სწორედ მას დააკისრა ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, როგორიც იყო ელჩობა სპარსეთში, იტალიასა და საფრანგეთში. ისტორიული წყაროები, ასევე თვით სულხან-საბას მონათხრობი მოწმობენ, როგორ მოუხიბლავს მას საფრანგეთის მეფე და რომის პაპი თავისი ღირსეული ქცევითა თუ სიტყვა-პასუხით. მასზე ამბობდნენ: „მთელ საქართველოს მამად მიაჩნიაო“.

მძიმე ბედის მქონე მწერლის ცხოვრების დასასრულიც ტრაგიკული აღმოჩნდა: სამშობლოდან შორს, მოსკოვში, გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა. სულხან-საბა ორბელიანის სიცოცხლე მის შემოქმედებაში გრძელდება - ქართველთათვის მუდამ ძვირფას წიგნებად დარჩება მისი „სიბრძნე სიცრუისა“, „ლექსიკონი ქართული“ თუ „მოგზაურობა ევროპაში“.



იხვი და მყვარი

ერთ მთაში ერთი მომცრო, წვიმის მდგარი გუბე დარჩომილიყო. მივიდა ერთი იხვი, ჩაჯდა და იყოფებოდა.

ერთი მყვარი დაეძმობილა იხვსა და ერთად იყვნენ და, რაც გაეწყობოდა, შეექცეოდიან. რა მზე გაცხარდა და ზაფხულმა სიცხე მოუმატა, წყალმა კლება შექმნა.

იხვმა უთხრა მყვარს: მოდი, ადგილი ვიცვალოთო!

მყვარმა უთხრა: შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ, მე სამკვიდროს ვერ დავუტევებო!

იხვი გაფრინდა, სადაც დიდი წყალი იყო, იქ მივიდა. მყვარმა სამკვიდრო არ გაუშვა.

ცოტას ხანს უკან იხვმა თქვა: წავალ, ჩემს ძმობილს ვნახავ, რასა იქმსო?

მოვიდა, ნახა, გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო. უთხრა: ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო.

სიტყვების განმარტება

დარჩომილიყო - დარჩენილიყო.
მომცრო - მცირე, პატარა.
მყვარი - დიდი ბაყაყი.
რაც გაეწყობოდა - რასაც იშოვიდნენ.
შეექცეოდიან - აქ: იკვებებოდნენ.
სამკვიდრო - მემკვიდრეობით მიღებული საცხოვრებელი ადგილი (მამული).
ვერ დავუტევებო - ვერ დავტოვებო.
არ გაუშვა - აქ: არ დატოვა.
გამხმარიყო - აქ: დამშრალიყო.

უპასუხეთ კითხვებს

1. როგორ ცხოვრობდნენ იხვი და მყვარი გუბეში?
2. რატომ იკლო წყალმა და რა საფრთხე შეექმნათ ამით მეგობრებს?
3. რა განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღეს იხვმა და მყვარმა?
4. რატომ არ გაჰყვა მყვარი იხვს?
5. რატომ გაფრინდა იხვი სხვაგან?
6. მყვარის რა თვისება იკვეთება სიტყვებში: „შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ“?
7. როგორ ახასიათებს იხვს თავისი ქმედებები?
8. როგორ ახასიათებს თითოეულ მეგობარს მათი არჩევანი?
9. თქვენ რომლის არჩევანი მიგაჩნიათ მართებულად? რატომ?

ლიტერატურული მეგზური

გაიხსენეთ, რა არის იგავ-არაკი.

იგავ-არაკი არის მოკლე ამბავი-დარიგება, რომელშიც ადამიანთა ხასიათები და ადამიანური ნაკლოვანებებია ნაჩვენები.

იგავ-არაკებისთვის დამახასიათებელია **ალეგორიის** ხერხის გამოყენება. მათში ადამიანები ხშირად არიან წარმოდგენილი ცხოველების, ფრინველებისა თუ მცენარეების სახით, რომლებსაც ადამიანური თვისებები აქვთ, მოქმედებენ და მეტყველებენ. ამ ხერხით მწერალი პირდაპირ არ გვეუბნება თავის სათქმელს და მას შენიღბულად, სხვა ამბით გადმოგვცემს.

იგავ-არაკს აქვს დასკვნა, რომელსაც **შეგონება, „მორალი“** ჰქვია. ესაა მოკლე დარიგება, რომელიც რაღაცას გვასწავლის, ცხოვრებისეულ გაკვეთილს გვაძლევს. შეგონება შეიძლება ცალკე იყოს მოცემული და მოსდევდეს იგავ-არაკის ტექსტს ან ტექსტის შიგნითვე იკითხებოდეს.

სულხან საბა იგავ-არაკს „სიტყვით საჩვენებელ მაგალითს“ უწოდებდა.

- მოძებნეთ იგავში შეგონება და გადაიკითხეთ იგი. რომელი პერსონაჟის პირით არის ის გადმოცემული?

დააკვირდით

- მწერალი ასე აღწერს გუბეს: „მომცრო“, „წვიმის მდგარი“. თქვენი აზრით, რაზე მიგვანიშნებს ეს სიტყვები მყვარის არჩევანთან დაკავშირებით?
- გაიხსენეთ, რას ნიშნავს „სამკვიდრო“ და ისაუბრეთ:
  - ✓ რამდენად მართებულია ამ სიტყვის გამოყენება წვიმისგან დარჩენილი პატარა გუბის აღსანიშნავად;
  - ✓ რას გვეუბნება ამ სიტყვის გამოყენება მყვარზე - როგორია მისი თვალსაწიერი, რამდენად სწორად აფასებს ის რეალობას;
  - ✓ რამდენად განაპირობებს მყვარის მცდარი წარმოდგენა მის უმოქმედობასა და ტრაგიკულ აღსასრულს.

  თქვენი მოსაზრებები ახსენით.
- „მე სამკვიდროს ვერ დავუტევებო!“ - ამბობს მყვარი. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს არგუმენტი? რას ნიშნავს და რას ემყარება მყვარის ერთგულება, თქვენი აზრით?
- იგავის დასასრული ტრაგიკულია: უკან დაბრუნებულმა იხვმა ნახა, რომ „გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო“. თქვენი აზრით, რისი თქმა უნდა მწერალს ამ დასასრულით მყვარის არჩევანის შესახებ, როგორ აფასებს მყვარის საქციელს?

დისკუსია

გაეცანით შეკითხვებს და წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები შესაბამისი დასაბუთებით.

- თქვენი აზრით, როგორ ადამიანს განასახიერებს პერსონაჟი იხვი?

  პასუხის გასაცემად წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ვარიანტები და დაასახელეთ, რომელია არასწორი. პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

  პერსონაჟი იხვი განასახიერებს ადამიანს, რომელიც:

  ა) გონიერია - სწორად აფასებს რეალობას, არ ეშინია სიახლეებისა და ცვლილებებისა;

  ბ) ეგოისტია - ზრუნავს მხოლოდ საკუთარ თავზე, არ ადარდებს მეგობრის ბედი;

  გ) შორსმჭვრეტელია - აქვს ფართო თვალსაწიერი, არ არის მიჯაჭვული ვიწრო, ჩაკეტილ გარემოზე;

  დ) თავისუფალია - გამბედავია, მოქმედებს აქტიურად, თავად ეძებს და პოულობს გამოსავალს.
- თქვენი აზრით, როგორ ადამიანს განასახიერებს მყვარი, რა მახასიათებლები განასხვავებს მას იხვისგან?
- დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ცხრილს და პირველ სვეტში მოცემულ თითოეულ საგანს, ქმედებასა თუ მოვლენას მეორე სვეტიდან შეურჩიეთ შესაბამისი ალეგორიული მნიშვნელობა. შესაბამისობები ჩაიწერეთ რვეულში ნიმუშის მსგავსად.

ნიმუში. 1. მზე - ბ. რეალობა, რომელიც ანადგურებს მცდარ წარმოდგენას.

საგანი, მოვლენა, ქმედება	ალეგორიული მნიშვნელობა
1. მზე	ა) ნაცნობი კომფორტული გარემო
2. წყლის დაკლება გუბეში	ბ) რეალობა, რომელიც ანადგურებს მცდარ წარმოდგენას
3. წვიმის გუბე	გ) თავისუფლება, აქტიური და გონივრული ქმედება
4. იხვის „ხეტიალი”	დ) ახალი გარემო, ახალი ცხოვრებისეული ეტაპი
5. „დიდი წყალი“	ე) კრიზისული სიტუაცია

შემოქმედებითი სახელოსნო

წარმოიდგინეთ, რომ ხართ იგავის პერსონაჟი იხვი. დაწერეთ 2-3 არგუმენტი, რომლებითაც შეეცდებით დაარწმუნოთ მყვარი, დატოვოს გუბე და გადაინაცვლოს „დიდ წყალზე“.

იმსჯელეთ

1. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“. ლექსის ერთ სტროფში ვკითხულობთ: „ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა ნებისა“. ეს ნიშნავს, რომ ბრძენი (მცოდნე ადამიანი) შინაგანად თავისუფალია, დამოუკიდებელია და თავად წყვეტს, როგორ იცხოვროს.

დაუკავშირეთ ეს სიტყვები იგავის პერსონაჟ იხვს და იმსჯელეთ: შეიძლება თუ არა იხვი მივიჩნიოთ ბრძენის (გონიერი ადამიანის) განსახიერებად, რომელიც არ არის გარემოებებზე მიჯაჭვული, მოქმედებს თავისუფლად, აქვს მრავალმხრივი შესაძლებლობები და გონივრულად იყენებს მათ გამოსავლის ძიებისას. თქვენი აზრით, ადამიანის რომელი თვისება ანდა მახასიათებელი უნდა მივიჩნიოთ „ფრთების“ ანალოგიად, რომელიც მას დამოუკიდებლობას მიანიჭებს?

2. იმსჯელეთ, რამდენად მართებულია შემდეგი მოსაზრება: „მყვარის უარი გუბის დატოვებაზე არის არა „სამკვიდროს“ ერთგულება, არამედ გაუაზრებელი სიჯიუტე, რომელიც დამღუპველია“. გაითვალისწინეთ, რომ გუბე დროებითია და არ არის „სამკვიდრო“, ანუ მუდმივი საცხოვრებელი. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

2. სულხან-საბა ორბელიანი

უგუნური მცურავი

მცურავი ერთი მიჰქონდა წყალსა. თქვა:
- ღმერთო, მიშველეო!
მეორე ამხანაგმა უთხრა:
- ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქნებიო.

სიტყვების განმარტება

უგუნური - უჭკუო, სულელი, მოუსაზრებელი.
წყალს მოჰქონდა - მდინარის დინებას მიჰყავდა, იხრჩობოდა.



უპასუხეთ კითხვებს

1. რატომ უწოდებს ავტორი მცურავს „უგუნურს“? განა ვინმესთვის დახმარების თხოვნა უგუნურებაა?
2. თქვენი აზრით, რას ელოდა მცურავი, როდესაც შველას ითხოვდა, თავად კი არაფერს აკეთებდა?
3. როგორ გესმით ამხანაგის რჩევა: „ხელი გაიქნიე“?
4. თქვენი აზრით, რა არის ამ იგავ-არაკის მთავარი სათქმელი (მორალი)?
5. მწერლის თქმით, მცურავი „უგუნურია“. იზიარებთ თუ არა მის შეფასებას? რატომ?



დააკვირდით

- იგავში ორი ტიპის ადამიანური ხასიათია ნაჩვენები: ერთი, რომელიც მხოლოდ სხვისი დახმარების იმედზეა, და მეორე, რომელიც გამოსავალს აქტიურობაში ხედავს. თქვენი აზრით, რატომ მიიჩნევს მეგობარი, რომ „ხელის გაქნევა“ (მოქმედება) გადარჩენის აუცილებელი პირობაა?
- ავტორი პერსონაჟს „მცურავს“ უწოდებს, რაც შეიძლება მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ მან ცურვა იცის. რა შეცვალა კრიტიკულმა ვითარებამ?
- „ნაშველები იქნები“, - ასე ეუბნება მეგობარი მდინარის მიერ წაღებულ კაცს. იგი არ ჰპირდება, რომ თავად გადაარჩენს. როგორ ფიქრობთ, რატომ არ უწვდის მეგობარი ხელს მცურავს? რატომ მოუწოდებს მას, რომ თვითონვე გადაირჩინოს თავი, გაცუროს ნაპირისკენ?

შემოქმედებითი სახელოსნო

1. წარმოიდგინეთ, რომ წერთ იგავის გაგრძელებას. თქვენი აზრით, დაუჯერებდა თუ არა მცურავი მეგობრის რჩევას, როგორ დასრულდებოდა ეს ამბავი? თქვენი პასუხი ახსენით.

2. „გააცოცხლეთ“ იგავ-არაკი დღევანდელ რეალობაში ისე, რომ დედააზრი არ შეცვალოთ: ფანტაზიის გამოყენებით შექმენით წარმოსახვითი პერსონაჟი, რომელსაც უგუნური მცურავის მსგავსი შეცდომა მოსდის - სასწაულს ან სხვის დახმარებას ელოდება მაშინ, როცა წარმატების მისაღწევად აქტიურობა და შრომაა საჭირო. აღწერეთ სიტუაცია, რომელშიც თქვენი გმირი იმყოფება (მაგალითად, გამოცდის, კონცერტის, შემაჯამებელი წერის, სპორტული შეჯიბრების წინ) და მისი უმოქმედობა. მოიფიქრეთ, ვინ იქნება გონიერი მრჩეველი (მაგ.: მეგობარი, მშობელი, მასწავლებელი, მწვრთნელი), რას დაარიგებს იგი თქვენს გმირს, რით დასრულდება ამბავი. წერისას გამოკვეთეთ ამბის სამი ნაწილი: დასაწყისი, ძირითადი ნაწილი, დასასრული.

3. როლური თამაში: გაინაწილეთ როლები, ერთი მოსწავლე სასოწარკვეთილი „მცურავი“ იყოს, რომელიც მხოლოდ დახმარებას ითხოვს, მეორე კი - გონიერი მეგობარი.

„მცურავმა“ უნდა ახსნას, რატომ ელოდება ღმერთისგან დახმარებას და არ იყენებს თავის შესაძლებლობას, ხოლო ამხანაგმა - რატომ არის მოქმედება აუცილებელი.

დისკუსია

მოაწყვეთ კლასში დისკუსია თემაზე: „პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე თუ გარემოებათა იმედი?“

ისაუბრეთ შეკითხვებზე დაყრდნობით და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

- არის თუ არა „მცურავის“ საქციელი სიზარმაცის გამოვლინება?
- რა არის უგუნურება - დახმარების თხოვნა თუ საკუთარი შესაძლებლობების გამოუყენებლობა?
- სად გადის ზღვარი გონივრულ იმედსა და ფუჭ მოლოდინს შორის?
- რამდენად შესაძლებელია გადარჩეს, წარმატებას მიაღწიოს მან, ვინც თავად არ ცდილობს გამოსავლის პოვნას და სხვების დახმარების იმედზეა?

შეადარეთ

გაიხსენეთ იგავ-არაკი „იხვი და მყვარი“. იმსჯელეთ, რა მსგავსებაა მყვარსა და უგუნურ მცურავს შორის: როგორია მათი არჩევანი, რაში ხედავენ ისინი გამოსავალს საფრთხის დროს, როგორ იქცევიან, რისი იმედი აქვთ, იყენებენ თუ არა თავიანთ შესაძლებლობებს.

წერითი დავალება

დაწერეთ თხზულება **„წარმატების მთავარი გასაღები“**, რომელშიც იმსჯელებთ, რას ნიშნავს წარმატება თქვენთვის და რა არის საჭირო მის მისაღწევად. თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი მაგალითები სულხან-საბას იგავებიდან, სხვა თქვენთვის ცნობილი ნაწარმოებებიდან. შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები რეალური ცხოვრებიდანაც.

წერისას გამოკვეთეთ სამი ნაწილი - შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

3. სულხან-საბა ორბელიანი

მეფე და მხატვარი

მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალის თვალითა. ჰყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა:

- მინდა მსგავსი ჩემი სახე დამიხატო!

თქვა გულსა შინა მხატვარმან: აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო, თუ ბრმა დავხატო, მომკლავს, ვით მკადრეო, და თუცა ორთვალი, მომკლავს: ოდეს არს მსგავსი ჩემიო?

მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა და მორჩა მხატვარი იგი.



სიტყვების განმარტება

ლავდიკია - ისტორიული გეოგრაფიული ადგილი (თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე).
ხელოვანი - დახელოვნებული, თავისი საქმის ოსტატი, ნიჭიერი შემოქმედი.
სახე - აქ: პორტრეტი, გამოსახულება.
ვით მკადრე - როგორ გამიბედე, როგორ მაკადრე. აქ: როგორ გაბედე ჩემი ნაკლის ჩვენება.
ოდეს არს - როდის არის. აქ: მე არ მგავსო.
მოიპოვა ესე ღონე - გამოსავალი იპოვა, მოიფიქრა ხერხი, საშუალება.
მორჩა - გადარჩა, დააღწია თავი (სიკვდილს).

უპასუხეთ კითხვებს

1. რატომ ეძებდა მეფე მხატვრის დასჯის მიზეზს? როგორ მეტყველებს ეს მის ხასიათზე?
2. რა რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა მხატვარი ?
3. როგორ გადაირჩინა თავი მხატვარმა? მხატვრის რა თვისებაზე მეტყველებს მის მიერ მოძებნილი გამოსავალი?
4. რას გვასწავლის ეს იგავ-არაკი?

დააკვირდით

- „თქვა გულსა შინა მხატვარმან,“ - წერს სულხან-საბა. ეს პერსონაჟის ხმამაღალი ნათქვამია თუ ფიქრი?
- მეფეს მხატვარი მაინც არ მოსწონს, მაგრამ „ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა“. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ შეძლო მეფემ მისი დასჯა?

მწერლის ენა და სტილი

სულხან-საბა ორბელიანის ენა გამოირჩევა აზრის მოკლედ და ზუსტად გადმოცემით. მოკლე, მარტივი წინადადებები, რომლებსაც სულხან-საბასთან ვხვდებით, დამახასიათებელია იგავ-არაკებისთვის. ასეთ სტილს „ლაკონიური“ ეწოდება.

რას ნიშნავს ეს სიტყვა?

დაიმახსოვრეთ:

ლაკონიური სტილი გულისხმობს სათქმელის სხარტად, მოკლედ და, ამასთანავე, მკაფიოდ გადმოცემას. ლაკონია ძველი საბერძნეთის ისტორიული მხარეა (შემდგომში ქალაქი-სახელმწიფო სპარტა). მისი მცხოვრებლები გამოირჩეოდნენ აზრის მოკლედ და ზუსტად გამოხატვის უნარით.

ცნობილია, რომ, როდესაც სპარსეთის მეფე ქსერქსე I-მა (ძვ. წ.-აღ. V ს.) სპარტელებს მოსთხოვა, დამორჩილებოდნენ სპარსელებს და დაეყარათ იარაღი, სპარტის მეფე ლეონიდასმა ორი სიტყვით უპასუხა ქსერქსეს: „მოდი და წაიღე“.

სულხან-საბა ორბელიანი არ იყენებს ზედმეტ სიტყვებს და გვაწვდის მხოლოდ არსებით ინფორმაციას პერსონაჟების შესახებ, რათა მკითხველმა ყურადღება მთავარი სათქმელისკენ მიმართოს. ამისთვის სულხან-საბა სხვადასხვა მხატვრულ ხერხს იყენებს:

1. შინაგანი მონოლოგი: ფრაზა - „თქვა გულსა შინა მხატვარმან“- პერსონაჟის ფიქრებია, მისი შინაგანი მეტყველებაა. ავტორი გადმოგვცემს არა მხოლოდ იმას, თუ რას აკეთებს გმირი, არამედ იმასაც, თუ რას ფიქრობს ის.

- თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტა მწერალმა, რომ ეჩვენებინა არა მარტო პერსონაჟის სიტყვები და ქმედებები, არამედ ფიქრებიც?

2. რიტორიკული შეკითხვები: მხატვრის ფიქრებში ჩნდება კითხვები: „ვით მკადრეო?“ და „ოდეს არს მსგავსი ჩემიო?“. აქ პასუხი აშკარაა - ნებისმიერ შემთხვევაში მას სიკვდილი ელის, რაც ძაბავს სიუჟეტს.

- თქვენი აზრით, რისთვის იყენებს მწერალი შეკითხვებს - მხატვრის განცდების წარმოსაჩენად თუ იმის ხაზგასასმელად, რომ ხატვა რთული საქმეა? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

3. სიტყვათა ეკონომია: დააკვირდით, როგორ სწრაფად ვითარდება მოქმედება. პრობლემის დასმიდან გამოსავლის პოვნამდე სულ ორიოდე წინადადებაა. მწერალი პირდაპირ შედეგზე გადადის: „მოიპოვა ესე ღონე... და მიართვა მეფესა“.

- თქვენი აზრით, რატომ ამახვილებს მწერალი ყურადღებას არა მხატვრის ოსტატობაზე (ხატვის პროცესზე), არამედ მის მოხერხებულობაზე („მოიგონა ესე ღონე“)? როგორ ეხმარება ეს მკითხველს მთავარი სათქმელის გააზრებაში? პასუხი ახსენით.
- თქვენი აზრით, როგორ შეიცვლებოდა თხრობის ტემპი, მწერალს რომ დაწვრილებით აღეწერა ხატვის პროცესი?

შემოქმედებითი სახელოსნო

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. წარმოიდგინეთ, რომ იგავის პერსონაჟი მხატვარი ხართ. დაწერეთ „შინაგანი მონოლოგი“: რამდენიმე წინადადებით გადმო-

ეცით, კიდევ რა ფიქრები შეიძლება გაგჩენოდათ იმ დროს, როცა მეფემ თავისი პორტრეტის დახატვა გიბრძანათ.

2. შექმენით სიუჟეტური ნახატი იგავის ბოლო ეპიზოდისთვის, როდესაც მხატვარი მეფეს თავის ნამუშევარს მიართმევს. ამისათვის:

- ✓ შექმენით ნახატის ჩარჩო (კადრი); გამოსახეთ გარემო (სასახლის დარბაზი), მოქმედება; დაამატეთ საჭირო დეტალები;
- ✓ მეფისა და მხატვრის გარდა, გამოსახეთ სხვა პერსონაჟებიც (მაგ.: მეფის მრჩეველი, მსახური, მცველი);
- ✓ გამოიყენეთ დიალოგისა და ფიქრების „ბუშტები“, რომლებშიც ჩაწერთ, რას ამბობს, ფიქრობს თუ განიცდის პერსონაჟი. შეეცადეთ დაიცვათ სულხან-საბას სტილი - გამოიყენეთ ლაკონიური (მოკლე) და ზუსტი ფრაზები;
- ✓ გამოიყენეთ სხვადასხვა ფორმის „ბუშტი“: მაგალითად, შეარჩიეთ ოვალური „ბუშტი“ პირდაპირი ნათქვამისთვის (რას ამბობენ პერსონაჟები ხმამაღლა), ღრუბლისებური - მათი ფიქრებისა თუ ფარული ემოციებისთვის;
- ✓ სურვილის შემთხვევაში ნახატს შეიძლება შეურჩიოთ შესაფერისი მელოდიაც ეპიზოდის განწყობის გადმოსაცემად.

იმსჯელეთ

- იმსჯელეთ, მხატვრის საქციელი თვალთმაქცობა იყო თუ გონივრული თავდაცვა? როგორ გავარჩიოთ ტყუილი და შემოქმედებითი გადაწყვეტილება? რა ახასიათებს ერთს და რა - მეორეს? თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.
- იმსჯელეთ, რა პიროვნული თვისებები სჭირდება თანამედროვე ადამიანს, რომ კრიტიკულ სიტუაციაში თავი გადაირჩინოს? რა მსგავსება-განსხვავებაა ძველი დროისა და თანამედროვე ეპოქის სირთულეებს შორის?

წერითი დავალება

დაწერეთ თხზულება: **„მხატვრის რთული არჩევანი“**. თხზულებაში გადმოეცით:

- რა არჩევანის წინაშე იდგა მხატვარი;
- რამ დააძლევინა შიში - როგორ გაიმარჯვა საკუთარ თავზე;
- როგორ შეინარჩუნა ღირსებაცა და სიცოცხლეც;
- რატომ იყო ეს გამარჯვება (ღონე) უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ხატვის ნიჭი.

წერისას დაიმოწმეთ შესაბამისი ადგილები ტექსტიდან.

4. აკაკი წერეთელი

ღამურა

(ზღაპარი)

ერთმა უგნურმა თაგუნამ
იუკადრისა თაგვობა,
დასწყევლა თვისი გაჩენა,
ბუნების იწყო მან გმობა:

„იმ უსამართლო ბუნებამ
თაგვად რად გამაჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,
მან ჭერ-ქვეშ მომცა ბინაო!

ვის ეკადრება თაგვებთან
კუდის ბზეკა და ლხენაო?
მე შემშვენოდა ჩიტობა,
რომ მეწყო აღმა ფრენაო.

რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს,
გამომაბამდეს ფრთებსაო,
გავფრინდებოდი, ერთს წამსა
გადავივლიდი მთებსაო!“

რომ დაასრულა ეს ნატვრა,
ნახა, რომ ფრთები ესხმება
და მეტის სიხარულითა
საბრალოს თავბრუ ესხმება...

ზიზღით შეხედა თვის ტოლებს,
დაუყოვნებლივ ავარდა,
ჩიტებში გამოერია,
იმანაც გაინავარდა...

ჩიტებმა ახედ-დახედეს,
სთქვეს: „ვინ მოსულა ესაო?
რა სჯულის ცხოველი არის?
ჩვენთან ვინ გააწესაო?

თვალ-ტანადობა თაგვს უგავს,
ფრთები ასხია ჩვენიო!
როგორღაც კეთილ სულს არ ჰგავს...
ჭირი არის და სენიო!

ეგება მტრებმა მოგზავნეს,
შემოჩენილი იყოსო!
არიქა, ფრთხილად იყავით,
არავინ გაგვაბრიყვოსო!...“

დაჰჟღივლეს, ჩაუნისკარტეს,
გაჰკრეს-გამოჰკრეს ბრჭყალები,
სისხლი ადინეს ღამურას,
გამოუბნელეს თვალები!

დაღმა დაეშვა ღამურა,
მიმართა ისევ ძველ სადგურს...
მაგრამ იქ უფრო შავი დღე
დაუდგა მაშინ უბედურს:

თაგვებმა აითვალწუნეს,
აღარ მიიღეს, რომ ნახეს,
მივარდნენ ერთად საკბენად,
„ჰკა მაგასაო!“ დასძახეს...

მაშინ კი მიხვდა ღამურა,
რომ ანგარიში წაუხდა
და მისი ნატვრა უგნური
საჭირბოროტოდ აუხდა!

გვიანღა იყო! გაფრინდა
გაკიცხულ, თავლაფდასხმული,
ერთ ძველ ნანგრევში შეფრინდა
და მოიბრუნა იქ გული.

მას შემდეგ ნანგრევში ბუდობს,
დღე-დღე ვერ ჩნდება სირცხვილით
და მუდამ ამას წრიპინობს
კვნესით და გულის ტკივილით:

„კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!

ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თვისსა ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
ჩემსავით ცრემლთა დენასა!

გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!

ძველ ტომში გამოსხლეტილსა
არ მოუშლიან კბენასა
და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასა!

კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!“



სიტყვების განმარტება

იუკადრისა - ითაკილა, თავის შესაფერისად არ მიიჩნია.
გმობა - გაკიცხვა, დაძრახვა, უარყოფა.
საჭირბოროტოდ - მისდა საზიანოდ, ცუდად (ბოროტად).
ტომი – აქ: ერი, ხალხი, ერთობა.
ანგარიში წაუხდა - გეგმა ჩაუვარდა, მოლოდინმა ვერ გაუმართლა.
თავლაფდასხმული - შერცხვენილი.
კრულ იყოს - დაწყევლილი იყოს.
გამოსხლეტილსა - გამოკლებულს, მოწყვეტილს.

უპასუხეთ კითხვებს

1. რა ინატრა უგუნურმა თაგუნამ და რატომ?
2. რატომ არ მოსწონდა თაგუნას თავისი მოდგმა? რას ელოდა ჩიტად გადაქცევით?
3. რა შედეგი მიიღო თაგუნამ ფრთების გამოსხმით: როგორ მოექცნენ, ერთი მხრივ, ჩიტები და, მეორე მხრივ, თაგვები ღამურას? რა მდგომარეობაში აღმოჩნდა საბოლოოდ?
4. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ადამიანის ნამდვილი წარმატება და განვითარება („მაღლა ფრენა“) შეუძლებელი მშობლიური ენის პატივისცემის გარეშე? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.
5. რა დასკვნა გამოაქვს ავტორს თაგუნას ისტორიიდან? იპოვეთ შესაბამისი სტროფები ტექსტში.
6. თქვენი აზრით, რა არის აკაკის მთავარი სათქმელი - რას გვიჩვენებს ლექსი? ჩამოაყალიბეთ თქვენი სიტყვებით.

დააკვირდით

- აკაკი თაგუნას დასაწყისშივე პირდაპირ ახასიათებს, „უგნურს“ უწოდებს. როგორ განაწყობს ავტორი პერსონაჟის მიმართ მკითხველს ამგვარი ხერხის გამოყენებით?
- ლექსში განვითარებულ ამბავს თუ გავითვალისწინებთ, რატომ შეაფასა პოეტმა პერსონაჟი ამგვარად? რაში გამოიხატა თაგუნას უგუნურება: მოქმედებასა თუ ფიქრში, ოცნებაში?
- თაგუნა მარტო დარჩა, ყველასაგან უარყოფილი. რამ განაპირობა მისი ცხოვრების ასეთი სამწუხარო ფინალი?
- აკაკი ზღაპარს უწოდებს თავის ლექსს. რა არის ზღაპრული ლექსში?
- ლექსის ბოლოს ავტორი პირდაპირ მიმართავს მკითხველს: „ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა“. რატომ გადადის ავტორი თხრობიდან დარიგებაზე?
- ავტორის მთავარი სათქმელი ზოგ ტექსტში პირდაპირ არის მოცემული, ზოგან მკითხველმა უნდა ამოიცნოს. როგორ არის

პოეტის სათქმელი გადმოცემული ამ ლექსში?

- თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს „სხვისი ქურქი“ დღევანდელ ცხოვრებაში - არსებობენ თუ არა დღეს ადამიანები, რომლებიც ხელაღებით უარყოფენ საკუთარს (მაგ.: ენას, ტრადიციებს, ფასეულობებს) და ბრმად ბაძავენ სხვებს? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.



სიტყვების კიდობანი

ქართული ენის საგანძური: თავლაფდასხმული

ენაში სიტყვათა მარაგი დროთა განმავლობაში იცვლება: ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა გადასხვაფერდება, ზოგი სიტყვა იკარგება, ჩნდება ახალი სიტყვებიც.

სიტყვათა მარაგის შესავსებად განსხვავებული გზები არსებობს: 1. არსებული სიტყვიდან ახლის შექმნა თავსართ-ბოლოსართების გამოყენებით; 2. ახალი სიტყვის შექმნა ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით; 3. სიტყვის სხვა ენიდან შემოტანა - სესხება.

საინტერესოა, რომ ზოგჯერ გარკვეული წეს-ჩვეულებები შესაძლოა სიტყვის შექმნას დაედოს საფუძვლად. მაგალითად, აკაკი წერეთლის „ღამურაში“ პოეტი პერსონაჟის მდგომარეობის საჩვენებლად იყენებს სიტყვას **თავლაფდასხმული.** ამ სიტყვაში ნათლად ჩანს სამი სხვადასხვა სიტყვის გაერთიანება: **თავი, ლაფი, დასხმული.** როგორ აღმოჩნდნენ ისინი ერთად?

საქმე ისაა, რომ ადრე არსებობდა დამნაშავის დასჯის ერთ-ერთი ასეთი წესი: საჯაროდ თავზე ლაფის - თხელი ტალახის - დასხმა. ეს შერცხვენას, გაკიცხვას, ღირსების შელახვას გამოხატავდა. თავზე ლაფდასხმული ადამიანი, რა თქმა უნდა, შერცხვენილი, ღირსებააყრილი იყო.

ენაში არსებობს როგორც ერთი სიტყვა: **თავლაფდასხმა** (სამი ფუძისგან შემდგარი კომპოზიტი), ასევე სიტყვათშეთანხმება **თავლაფის დასხმა.** ორივესგან მიიღება **თავლაფდასხმული.**

ასეთი სიტყვებისა და გამოთქმების თარგმნა სხვა ენაზე შეუძლებელია - ისინი მნიშვნელობას კარგავენ პირდაპირი თარგმანისას. მათ **ფრაზეოლოგიზმები ეწოდება.**

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოცემული სიტყვებიდან ამოიწერეთ მხოლოდ ისინი, რომლებიც შინაარსით სიტყვა „თავლაფდასხმულის“ მსგავსია.

დაღონებული, შერცხვენილი, სევდიანი, განმარტოებული, გაწბილებული გაამაყებული, თავმოჭრილი, გაავებული, პატივცემული, დამცირებული.

სავარჯიშო 2. გაეცანით ცხრილში მოცემულ ოთხ ფრაზეოლოგიზმს, მათ წარმომავლობას და უპასუხეთ კითხვებს. დაასახელეთ სწორი ვარიანტი და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

1. ფრაზეოლოგიზმი	**წარმომავლობა** (საიდან მოდის?)
ძაღლი პატრონს ვერ სცნობს.	ძაღლი ცნობილია პატრონისადმი თავისი ერთგულებით. ის ყოველთვის ცნობს, არასდროს ივიწყებს პატრონს.

როგორი ვითარებაა იქ, სადაც „ძაღლი პატრონს ვერ სცნობს“?
ა) ღრმა სიჩუმეა;
ბ) დიდი მხიარულებაა;
ბ) სრული სიბნელეა;
დ) დიდი არეულობაა.

2. ფრაზეოლოგიზმი	**წარმომავლობა** (საიდან მოდის?)
ადამის ხნისაა	ბიბლიის თანახმად, ადამი იყო პირველი ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა.

როგორია „ადამის ხნის“ საგანი, მოვლენა ან ადამიანი?
ა) სრულიად უვარგისი;
ბ) ძალიან უჩვეულო;
გ) ძალიან დიდი ხნის;
დ) მდიდარი ისტორიის მქონე.

3. ფრაზეოლოგიზმი	**წარმომავლობა** (საიდან მოდის?)
მიახუთშაბათა	ძველად პარასკევი ითვლებოდა ღვთისმსახურების დღედ, როცა ფიზიკური შრომა იკრძალებოდა. ყველა საქმე წინა დღეს, ხუთშაბათს, უნდა დამთავრებულიყო. ორი დღის საქმის გაკეთება ყოველთვის ვერ ესწრებოდა, ამიტომ ხუთშაბათს საქმეს ზოგჯერ ნაჩქარევად, ზერელედ აკეთებდნენ.

რისი გამოხატვა სურთ, როდესაც ადამიანზე ამბობენ, რომ საქმე „მიახუთშაბათა“? მან:
ა) ძალდატანებით იშრომა;
ბ) უხარისხოდ იშრომა;
გ) ბევრი იშრომა;
დ) კარგად იშრომა.

4. ფრაზეოლოგიზმი	**წარმომავლობა** (საიდან მოდის?)
მშვილდი ძირს დავდე	საომარ ველზე მშვილდის ძირს დადებით მებრძოლი მოწინააღმდეგეს ატყობინებდა, რომ ბრძოლას წყვეტდა.

რისი თქმა სურს ადამიანს, რომელიც ამ სიტყვებს ამბობს?
ა) გავიმარჯვე;
ბ) დავმორჩილდი;
გ) შევრცხვი;
დ) ვნანობ.

შემოქმედებითი სახელოსნო

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. პოსტერის შექმნა - შექმენით აკაკი წერეთლის „ღამურას“ მიხედვით პოსტერი, რომელზეც ასახული იქნება ლექსის დედააზრი შესაბამისი ვიზუალური გაფორმებით.

პოსტერზე:
- შეარჩიეთ და გამოსახეთ ერთი მოკლე ფრაზა, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე უკეთ გამოხატავს ლექსის დედააზრს. შეგიძლიათ გამოიყენოთ ფრაზა ლექსიდან ან მოიფიქროთ თქვენ თვითონ (მაგ.: „საკუთარი თავის ღალატი ყველაზე დიდი მარცხია“);
- შეარჩიეთ და გამოიყენეთ ფერები, რომლებიც ეხმიანება ლექსის განწყობას (მაგ.: სირცხვილი, მარტოობა, სინანული);
- ვიზუალურად გამოსახეთ აკაკის ლექსიდან მონაკვეთი ან მონაკვეთები, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოგვიჩენს პოეტის სათქმელს.

2. ღამურას ამბის გაგრძელება - წარმოიდგინეთ, რომ ღამურა ნანგრევებში შეხვდა თაგვს, რომელსაც უნდა „სხვისი ქურქის“ მოსხმა საკუთარი ბუნების ღალატის ხარჯზე. დაწერეთ, რა რჩევას მისცემდა ღამურა თაგვს, დაუჯერებდა თუ არა თაგვი მის ნათქვამს.

ლიტერატურული ხიდები

აკაკის „ღამურას“ მსგავსი იგავ-არაკი აქვს ძველ ბერძენ მეიგავე ეზოპეს (ჩვ. წ. აღ. - მდე VI საუკუნე). წაიკითხეთ ეს იგავი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

ფრინველები, მხეცები და ღამურა

ფრინველებმა და მხეცებმა ერთმანეთს ომი გამოუცხადეს. დათმობა არავის უნდოდა, ამიტომ ცხოველები სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამბობდნენ, შუღლი დაიწყო იმის გამო, რომ მელიების ოჯახი ავიწროებდა ბატების მოდგმას. ბრძოლის მიზეზი სხვებსაც ჰქონდათ: არწივი გამუდმებით

ესხმოდა თავს კურდღლებს, ბუ კი თაგვებით სადილობდა ყოველდღე.

ეს იყო საზარელი ბრძოლა. მრავალი კურდღელი და თაგვი დაიღუპა. ქათმები და ბატები გუნდ-გუნდად ეცემოდნენ ბრძოლის ველზე და გამარჯვებული ყოველთვის ნადიმით ზეიმობდა.

ღამურების ოჯახი არცერთ მხარეს არ მიემხრო აშკარად. ისინი ძალიან მედროვე მოდგმისანი იყვნენ. ამიტომ, როდესაც ღამურები ხედავდნენ, რომ ფრინველები იმარჯვებდნენ, ისინი მთელი არსებით ჩიტებად გადაიქცეოდნენ ხოლმე, მაგრამ, როდესაც ბრძოლის ბედი შემოტრიალდებოდა, მაშინვე მხეცების მხარეს გადადიოდნენ.

როდესაც ომი დასრულდა, ცხოველებმა ღამურების საქციელი სამშვიდობო თავყრილობაზე განიხილეს. ასეთი ვერაგობა უპატიებელი აღმოჩნდა - ფრინველები და მხეცები გაერთიანდნენ, რათა ღამურები განედევნათ. მას შემდეგ ღამურების ოჯახი ბნელ კოშკებსა და მიტოვებულ ნანგრევებში იმალება და მხოლოდ ღამღამობით დაფრინავს.

უპასუხეთ კითხვებს

თქვენი აზრით, რატომ ემხრობოდნენ ღამურები ხან ერთ, ხან მეორე მხარეს? რისი მიღწევა უნდოდათ ამით?

შეადარეთ

1. შეადარეთ ერთმანეთს ეზოპეს იგავი და აკაკი წერეთლის ლექსი „ღამურა“. ყურადღება მიაქციეთ ორივე ტექსტის მთავარ სათქმელს და გამოკვეთეთ:

- ✓ რა არის ეზოპეს იგავის მორალი?
- ✓ რა არის აკაკის ლექსის დედააზრი?

იმსჯელეთ მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე (ყურადღება გაამახვილეთ ორივე ნაწარმოების დეტალებზე).

2. ეზოპესთან ღამურა „მოღალატეა“ (მედროვეა და ორპირობს ომის დროს), აკაკისთან კი ღამურა „გადაგვარების მოსურნეა“ (თავისიანებს იწუნებს). ისაუბრეთ:

- თქვენი აზრით, რომელი უფრო მძიმე დანაშაულია: მედროვეობა და ორპირობა (როგორც ეზოპესთან) თუ საკუთარი ფესვების დაგმობა (როგორც აკაკისთან)? რატომ ფიქრობთ ასე?

წერითი დავალება

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

დავალება 1. დაწერეთ თხზულება თემაზე: „თანამედროვე ღამურა“, რომელშიც წარმოაჩენთ, რა შეიძლება იყოს „სხვისი ქურქი“ ჩვენი დროის ადამიანის ცხოვრებაში.


- შესავალ ნაწილში ახსენით, რას ნიშნავს „ღამურობა“ (აკაკის ლექსზე დაყრდნობით);
- იმსჯელეთ, როგორები არიან დღევანდელი „ღამურები“ - როგორია მათი დამოკიდებულება მშობლიურ ენასთან, ტრადიციებთან. დაიმოწმეთ შესაბამისი მაგალითები;
- ისაუბრეთ, რა შედეგი მოაქვს ადამიანისთვის ასეთ არჩევანს;
- გადმოეცით, როგორ შეიძლება ვისწავლოთ სხვისგან ისე, რომ განვითარდეთ, წინ წავიდეთ, მაგრამ საკუთარი სახე შევინარჩუნოთ;
- დასკვნაში მოკლედ შეაჯამეთ მსჯელობა.

დავალება 2. დაწერეთ თხზულება: „გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია“.

იმსჯელეთ:

- ნიშნავს თუ არა საკუთარი წარმომავლობის ერთგულება იმას, რომ ადამიანს არ აქვს განვითარებისა და „მაღლა ფრენის“ უფლება;
- რა არის ის მთავარი, რაც ადამიანმა უნდა შეინარჩუნოს იმისთვის, რომ წინსვლა-განვითარების დროს საკუთარი ვინაობა არ დაკარგოს;
- თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი მაგალითები (წიგნებიდან, ფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან).

5. ჭაბუა ამირეჯიბი (1921-2013)



„ღირსება ერთი მონაცემია, მისი სწორად გამოყენების უნარი - მეორე“.
ჭაბუა ამირეჯიბი

ჭაბუა ამირეჯიბი თბილისში დაიბადა. მისი ბავშვობა საბჭოთა რეპრესიების ეპოქას დაემთხვა: მამა დაუხვრიტეს, დედა კი გადაასახლეს. თავად მწერალი, ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით, მრავალი წლით იყო დაპატიმრებული.

მწერლის გამორჩეული რომანია „დათა თუთაშხია“, რომელიც ასახავს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებას. ავტორმა შექმნა კეთილშობილი ყაჩაღის სახე, რომელიც მთელი ცხოვრება ბოროტებას უპირისპირდება და სამართლიანობას იცავს.

სიცოცხლის ბოლო წლებში მწერალმა სულიერი ნავსაყუდარი მონასტერში იპოვა - ბერად აღიკვეცა და დავითი ეწოდა. მისი ნაწარმოებები თაობებს უჩვენებს ღირსების დაცვისა და დაბრკოლებებთან ბრძოლის მაგალითებს.

მოემზადეთ წასაკითხად

თქვენ გაეცნობით ჭაბუა ამირეჯიბის რომან „დათა თუთაშხიას“ მთავარი გმირის ცხოვრების ერთ-ერთ საინტერესო ეპიზოდს, რომელსაც მოგვითხრობს ამავე რომანის პერსონაჟი, მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი ანდრიევსკი. ესაა ჩანაწერი დღიურიდან, რომელიც დათა თუთაშხიას ხასიათსა და შინაგან სამყაროს ანდრიევსკის თვალით დაგვანახვებს.

ანდრიევსკის ნაამბობი
(ფრაგმენტი რომანიდან „დათა თუთაშხია“)

გუშინ მე და დათა თუთაშხია კედიას ორადგილიანი ეტლით მაზრაში წავედით. ცხენი ტაატით მიდიოდა. დროდადრო სცრიდა. გზად მიმავალ შუახნის ქალს წამოვეწიეთ. დაღლილი, სველი, სიცივისგან გაცრეცილი იყო. დათამ თქვა, ეს ქალი დავსვათ, რაღა დარჩა, ფეხით სიარული კიდეც მეხალისებაო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. დავსვით, მაზრაში ჩავიყვანეთ.

ჯერ საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში შევედით, საყიდლები მქონდა. მერე მანუფაქტურისთვის შევიარეთ, ორთავეს რაღაც გვჭირდებოდა. საბაზრო კვირადღე იყო, მუშტარი ბლომად ტრიალებდა, დახლთან პატარა რიგიც კი იდგა. ჩვენც დავდექით და დაველოდეთ. რიგმა მალე მოგვიწია, ნოქარს საქონელი გადმოვაღებინეთ. ამ დროს დარბაზში შაფათავას ცოლი შემოცქრიალდა. მასწავლებელი შაფათავა ახალგაზრდა კაცია, ცოლიც ახალგაზრდა, ლამაზი ჰყავს, მაგრამ ცოტა ცანცარაა. შემოცქრიალდა და პირდაპირ ჩვენი დახლისკენ წამოვიდა. ხალხი საკმაოდ მოურიდებლად გასწი-გამოსწია. დათას მოადგა, იგივე დაუპირა. დათამ ქალს თვალი შეავლო, გზა არ მისცა. მისი თავაზიანობის ამბავი ვიცოდი და გამიკვირდა. ქალი ეჯაჯგურებოდა, დაჟინებით ცდილობდა, დათა როგორმე გზიდან ჩამოეცილებინა, ნოქრამდე მიეღწია, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა, დათას დაძვრას მამაკაცის ღონე სჭირდებოდა. შაფათავას ლამაზი ცოლი მაინც არ ცხრებოდა.



არც დათა გამოდგა ნაკლებად ჯიუტი, გოჯი არ დაუთმო. ნოქარმა ნაყიდი საქონელი გაგვიხვია, ფულიც გადავიხადეთ, მაგრამ დათამ ადგილი არც ახლა დათმო, არც მე გამიშვა, – იდექიო, და ჩვენს შემდეგ მდგომ ქალს ჰკითხა, რომელი ნაჭერი გნებავთო. როცა ნოქარს ის ნაჭერი მოატანინა, პოზიცია მერეღა დატოვა.

გამოვემგზავრეთ. გზაში ვკითხე, – ეტლიდან ჩამოხვედი, უცნობი ქალი დასვი, მაზრამდე ფეხით იარე და შაფათავას ლამაზი ცოლი კი, მოკვდი და დახლს არ მიაკარე. ეს როგორღა გავიგოთ-მეთქი?

– მისთვის მოვიქეცი ასე, ჩემთვის არ მოვქცეულვარ! – მითხრა დათა თუთაშხიამ.

გამოდიოდა, რომ დათა თუთაშხიას საქციელი შაფათავას ცოლის ინტერესებს ემსახურებოდა. ამ თავზეხელაღებულმა ალტრუიზმმა დამაეჭვა. რიგიანად გამოვკითხე, თუ რას გულისხმობდა და აი, რა გამოვიდა:

თურმე თავხედებად იმდენნი არ იბადებიან, რამდენნიც მერე ხდებიან. თვითონ კი არ ხდებიან, ჩვენ ვაქცევთ თავხედებად: ქალი იქნება თუ კაცი, – შაფათავას ცოლისთანა ტუტუცი, – ერთხელ ინსტინქტურად რომ ჩაიდენს თავხედობას და ამას მორიდებული, ხათრიანი კაცის მიმართ იზამს, ეს კაცი, თავისი ზნეობრივი მონაცემებიდან გამომდინარე, თავხედობას შეარჩენს. მეორედ სხვა სიტუაციაშიც შეიძლება ასე გამოუვიდეს. მესამედაც. ტუტუცი კია, მაგრამ მიხვდება, – თავხედობა ცხოვრებას აადვილებსო, და სიკვდილამდე თავხედი იქნება. ბავშვს ჰკითხეს, რა გატირებსო? გამდის და ვტირიო!



ახლა პირიქით ვნახოთ: ტუტუცს დღეს არ დაუთმეს გზა თუ რაც არის და თავხედობა არ გაუვიდა. ხვალაც ასე მოხდა. ზეგ იქნებ ისეთსაც გადაეყაროს, რომ თავხედობისთვის მიუზღოს კიდეც. როგორი ტუტუციც უნდა იყოს ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, თავხედობაზე ხელს აიღებს და სამარემდე წესიერი კაცი იქნება.

პარადოქსია. თავხედურს თავხედი იზამს. თავხედთან კი ასე ნაზად მოქმედი საშუალებებით, ვფიქრობ, ვერაფერს გახდება კაცი. მიუხედავად ამისა, ჩემი მასპინძლის თვალსაზრისში მაინც არის ერთგვარი, ჩემთვის გაუგებარი ჭეშმარიტება და ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების მკაფიო გამოვლინება.

სიტყვების განმარტება

ხათრიანი – მორიდებული, ის, ვინც სხვას ანგარიშს უწევს, პატივს სცემს.
ტაატით - აუჩქარებლად, ნელა სიარული.
სცრიდა - წვიმდა წვრილად, ჟინჟლავდა.
გაცრეცილი - ფერმიხდილი, ფერდაკარგული (აქ: სიცივისგან გაფითრებული).
მანუფაქტურა - ქსოვილებისა და საფეიქრო საქონლის მაღაზია.
ნოქარი - გამყიდველი.
ცანცარა - დაუფიქრებელი, დაუფიქრებლად ჩქარი, ჭკუამსუბუქი.
გოჯი - სიგრძის ძველი საზომი (დაახლოებით 4 სმ.); გადატანითი მნიშვნელობით: ძალიან მცირე ადგილი, ნაბიჯი.
ტუტუცი - უჭკუო, ქარაფშუტა.
ინსტინქტურად – გაუცნობიერებლად, თავისთავად, შინაგანი ბიძგით.
ალტრუიზმი - სხვებზე ზრუნვა ყოველგვარი პირადი სარგებლის გარეშე, სხვისი ინტერესების დაყენება პირად ინტერესებზე მაღლა.
პარადოქსი - აზრი, რომელიც, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივია ან ეწინააღმდეგება საღ აზრს, თუმცა შესაძლოა ღრმა ჭეშმარიტებას შეიცავდეს.

უპასუხეთ კითხვებს

1. როგორ დაეხმარა დათა შუახნის ქალს? დათას რა თვისებაზე მეტყველებს მისი ქცევა?
2. ტექსტზე დაყრდნობით ახსენით, რატომ უწოდებს ანდრიევსკი შაფათავას ცოლს „ცანცარას“?
3. თქვენი აზრით, რატომ მოატანინა დათამ ნოქარს საქონელი რიგში უკან მდგომი ქალისთვის?
4. რატომ გაუკვირდა ანდრიევსკის დათას უხეშობა თუ გაჯიუტება?
5. როგორ გესმით დათას ფრაზა: „მისთვის მოვიქეცი ასე, ჩემთვის არ მოვქცეულვარ!“? რატომ მიიჩნევს

დათა, რომ გზის გადაღობვით ის ახალგაზრდა ქალს ეხმარებოდა?

6. დათას აზრით, რა აყალიბებს ადამიანს თავხედად? რა პასუხისმგებლობა გვეკისრება სხვების „გათავხედებასა“ ან „გაკეთილშობილებაში“?
7. იზიარებთ თუ არა დათას თვალსაზრისს? რატომ?
8. როგორ შეიცვლებოდა თქვენი შთაბეჭდილება, ეს ამბავი თავად დათა თუთაშხიას რომ მოეყოლა და არა ანდრიევსკის? კითხვაზე პასუხის გასაცემად დაფიქრდით: რა განსხვავებაა, როდესაც ადამიანი საკუთარ თავზე ჰყვება და როდესაც მასზე სხვა გვიყვება; რომელია უფრო სანდო და რატომ.

დააკვირდით

- დააკვირდით ფრაზას: „ბავშვს ჰკითხეს, რა გატირებსო? გამდის და ვტირიო!“. ამ ხალხური სიბრძნით დათა ხსნის, რომ თავხედობა მაშინ იჩენს თავს, როდესაც მას წინააღმდეგობა არ ხვდება. როგორ ფიქრობთ, რა განსხვავებაა „ხათრიანობასა“ და იმგვარ „მორიდებულობას“, თავშეკავებას შორის, რომელიც ადამიანებს თავხედობის გამოვლენის საშუალებას აძლევს? თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ არც ზრდილობა დაკარგოს და არც სხვისი უზნეობის ხელშემწყობი გახდეს?
- დააკვირდით დათას სიტყვებს: „თვითონ კი არ ხდებიან, ჩვენ ვაქცევთ თავხედებად“. როგორ ფიქრობთ, როდის ვართ ჩვენ დამნაშავეები სხვის ცუდ საქციელში?
- დააკვირდით დათა თუთაშხიას ორ უკიდურესად განსხვავებულ საქციელს: ერთ შემთხვევაში ის უცნობ ქალს საკუთარ ადგილს უთმობს ეტლში, მერე თავაზიანად ეხმარება საქონლის არჩევაში რიგში უკან მდგომ ქალს; მეორე შემთხვევაში კი შაფათავას ცოლს რიგს არაფრით არ უთმობს. თქვენი აზრით, როგორ განასხვავებს დათა, ვის სჭირდება დახმარება და ვის - ჭკუის სწავლება? ახსენით ტექსტზე დაყრდნობით.

შემოქმედებითი სახელოსნო

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. წარმოსახვითი სიტუაცია - წარმოიდგინეთ და წერილობით აღწერეთ სიტუაცია (მაგ.: ავტობუსში, სკოლის ბუფეტში), როდესაც ვინმე წესრიგს არღვევს. გადმოეცით: სად ხართ, როგორ მოიქცა წესის დამრღვევი; როგორია თქვენი რეაქცია - როგორ მოიქცევით? რას ეტყვით?

გაითვალისწინეთ: თქვენი უფლება და ღირსება უნდა დაიცვათ ისე, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენოთ სხვას, თუნდაც ის წესრიგს არღვევდეს, უსაქციელობას სჩადიოდეს.

2. პერსონაჟის დღიური - დაწერეთ ჩანაწერი შაფათავას ცოლის დღიურისთვის, რომელშიც აღწერილი იქნება დათასთან შეხვედრა. გადმოეცით ამ პერსონაჟის პირით: როგორი განწყობით შეხვედით მაღაზიაში; რატომ გეგონათ, რომ რიგში არ უნდა ჩამდგარიყავით; რა იგრძენით: ბრაზი, წყენა თუ გაოცება, როდესაც უცნობმა კაცმა რიგი არ დაგითმოთ; რა დასკვნა გამოიტანეთ ამ შემთხვევიდან - უზრდელობა იყო ეს თუ მკაცრი გაკვეთილი; როგორ მოიქცევით მომავალში - შეიცვლით თუ არა ქცევას და რატომ.

იმსჯელეთ

- იმსჯელეთ, რატომ სჭირდება თავხედობას პასუხი. მოიყვანეთ მაგალითები ცხოვრებიდან, როცა ვინმე თავხედობისთვის არ დაისაჯა (არავინ მიუთითა) და ამან ის უფრო გაათამამა.
- როგორც უკვე იცით, ალტრუიზმი არის სხვისთვის სიკეთის კეთება ისე, რომ არაფერს ელი სამაგიეროდ. მოიყვანეთ ალტრუიზმის მაგალითები რეალური ცხოვრებიდან, წიგნებიდან, ფილმებიდან. იმსჯელეთ, რატომ მიგაჩნიათ ეს მაგალითები ალტრუიზმის გამოხატულებად. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.
- „თავზეხელაღებული ალტრუიზმი“ - ამგვარ შეფასებას აძლევს ანდრიევსკი დათას საქციელს. „თავზეხელაღებულს“ უწოდებენ ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს არ უფრთხილდება, რისკავს თამამად, არავისი არ ერიდება და არ ეშინია. იმსჯელეთ, როგორ შეიძლება გავიგოთ „თავზეხელაღებული ალტრუიზმი“ დათას შემთხვევაში. დაასაბუთეთ მოსაზრება ტექსტზე დაყრდნობით.
- დათას მოსაზრებას ანდრიევსკი პარადოქსს უწოდებს. მისთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ სხვის მიმართ გამოჩენილი სიმკაცრე შეიძლება იმავე ადამიანისთვის სასიკეთო მიზანს ემსახურებოდეს. მოიყვანეთ მაგალითები შემთხვევებისა, როდესაც გარეგნული სიმკაცრის უკან სიკეთე შეიძლება დავინახოთ.

დისკუსია

მოაწყვეთ დისკუსია თემაზე: „პასიური სიკეთე თუ აქტიური სამართლიანობა?“

- სხვისთვის ჭკუის სწავლება რა შემთხვევაში ჩაითვლება სიკეთედ და რა შემთხვევაში - თავხედობად?
- რა მოხდებოდა, დათას ახალგაზრდა ქალისთვის შენიშვნა მხოლოდ სიტყვით რომ მიეცა და არა მოქმედებით გაეწია წინააღმდეგობა?

- რატომ მიიჩნევს ანდრიევსკი დათას თვალსაზრისს „ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების მკაფიო გამოვლინებად“?
- ზოგჯერ მშობლები ან მასწავლებლები მკაცრები არიან ჩვენ მიმართ. როგორ ახსნით მათ სიმკაცრეს?

მწერლის ენა და სტილი

მწერალი პერსონაჟთა სახეების დასახატავად სხვადასხვა ხერხს იყენებს.

1. „ხატვა“ ზმნებით - შაფათავას ცოლის სახეს მწერალი გვიხატავს ენერგიული მოძრაობების აღმნიშვნელი, დინამიკური ზმნებით. დინამიკური ზმნა მხოლოდ იმას კი არ გამოხატავს, თუ რა მოხდა, არამედ გამოკვეთს - როგორ მოხდა. ზმნები თითქოსდა თვალწინ გვიცოცხლებს ამ პერსონაჟის ბუნებასა და თვისებებს: სიმსუბუქეს, სისწრაფეს, მოუთმენლობასა და თავხედობას. დააკვირდით:

- ✓ „შემოცქრიალდა“ - ქალი მაღაზიაში კი არ შემოვიდა, არამედ „შემოცქრიალდა“. ეს სიტყვა მაშინვე გვიქმნის წარმოდგენას ქალზე, მის მსუბუქ, დაუფიქრებელ და ენერგიულ ხასიათზე. მის სურვილზე, რომ მოექცეს ყურადღების ცენტრში.
- ✓ „გასწი-გამოსწია“ - მთხრობელი ნათლად გვაჩვენებს ქალის თავხედურ ქცევას. ვხედავთ, რომ მისი მოქმედება აგრესიულია და სხვებს პატივს არ სცემს.

ამდენად, ავტორს არ სჭირდება რომელიმე ზედსართავი სახელი (მაგალითად, „უზრდელი“, „თავხედი“ ან „ქარაფშუტა“), რადგან გამოყენებული ზმნები პირდაპირ ამ თვისებებზე მიგვანიშნებს. მკითხველი ქალის ხასიათს მის მოქმედებებში ხედავს.

- მოძებნეთ ტექსტში შაფათავას ცოლის ქმედებებთან დაკავშირებული სხვა ზმნები და მიუთითეთ, პერსონაჟის რა თვისებებზე მიგვანიშნებენ ისინი.

2. სხვა პერსონაჟების შეფასება - „ცოტა ცანცარა“, „თავხედი“, „ტუტუცი“ - ასე ახასიათებენ მთხრობელი ანდრიევსკი და დათა შაფათავას ცოლს.

- როგორია თქვენი თვალით დანახული ეს პერსონაჟი - მართლაც „ტუტუცი“ და „თავხედია“, თუ, უბრალოდ, ზედმეტად მხიარული და ენერგიულია? თქვენი აზრის დასასაბუთებლად გამოიყენეთ ზმნებზე დაკვირვების შედეგები.

3. სიტყვები, რომლებიც ემოციას გვიჩენს - ტექსტში გვხვდება ეპითეტები, რომლებიც, მშრალი აღწერის ნაცვლად, ცოცხალ სურათებს გვიხატავს და მკითხველში ემოციას აღძრავს. სიცივისგან „გაცრეცილი“ ქალი - ეს ეპითეტი თითქოს მთელ ამბავს ჰყვება ამ პერსონაჟის გასაჭირზე. მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ესაა მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანი და თანაუგრძნობს მას.

- ამოიწერეთ ტექსტიდან ეპითეტები და მიუთითეთ: როგორ გვიხასიათებენ ისინი პერსონაჟის მდგომარეობას ან ხასიათს? რა ემოციები გაგიჩნდათ მათი წაკითხვისას?

წერითი დავალება

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება

დავალება 1. დაწერეთ თხზულება: **„სად გადის ზღვარი ზრდილობასა და საკუთარი ღირსების დაცვას შორის?“** განიხილეთ, არის თუ არა დათმობა ყოველთვის კარგი საქციელი.

დავალება 2. დაწერეთ თხზულება: **„ხათრი - სიკეთე თუ დათვური სამსახური?“** განიხილეთ სიტუაცია, როცა ვინმეს რაღაცას „ხათრით“ ვაპატიებთ და ამით შემდგომშიც ცუდი საქციელისკენ ვუბიძგებთ.

ეს საინტერესოა

პარადოქსების სამყარო

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება პარადოქსების გასაოცარ სამყაროში!

აქ ყველაფერი თავდაყირა დგას - ლოგიკა საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, ხოლო საღი აზრი თითქოსდა აღარ არსებობს. პარადოქსი ხომ ისეთი გამონათქვამია, რომელიც წინააღმდეგობრივია და, ერთი შეხედვით, შეუძლებელი ჩანს. თუმცა, თუკი უფრო ღრმად დავუკვირდებით, მასში შეიძლება ჭეშმარიტება აღმოვაჩინოთ.

მოდი, გავეცნოთ ზოგიერთ ცნობილ პარადოქსს.

1. უცოდინრობის პარადოქსი - „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“ - ეს პარადოქსი ძველ ბერძენ ფილოსოფოს სოკრატეს მიეწერება.

მოდი, გავიაზროთ, რა არის პარადოქსული ამ გამონათქვამში?

თუკი ადამიანმა ის მაინც იცის, რომ არაფერი იცის, მაშინ გამოდის, რომ ერთი რაღაც სცოდნია. და, თუკი ერთი რამე მაინც იცის, მაშინ არასწორია იმის თქმა, რომ არაფერი იცის. თუმცა, თუკი დავუკვირდებით ამ გამონათქვამს, მასში უფრო ღრმა შინაარსს აღმოვაჩენთ: რაც უფრო მეტს სწავლობს ადამიანი, მით უფრო მეტად ხვდება, რამდენად უსაზღვროა სამყარო და რამდენი დარჩა კიდევ აღმოსაჩენი. ნამდვილი სიბრძნე ხომ საკუთარი უცოდინრობის ან შეზღუდული ცოდნის გაცნობიერებით იწყება. ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის, წყვეტს განვითარებასა და ძიებას.


2. მატყუარას პარადოქსი - წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი გეუბნებათ: „რაც ვთქვი, ტყუილია“. თუ მისი ნათქვამი სიმართლეა, გამოდის, რომ ტყუილია, რასაც გეუბნებათ. მაგრამ, თუკი ის მართლაც ტყუილს ამბობს, მაშინ მისი ნათქვამი სიმართლე გამოდის.

3. აქილევსისა და კუს პარადოქსი - ეს პარადოქსი ეკუთვნის ძველ ბერძენ ფილოსოფოს ზენონს. ზენონი ერთმანეთს უპირისპირებს სისწრაფით განთქმულ აქილევსს - ბერძენი პოეტის, ჰომე-

როსის, „ილიადის“ გმირს - და კუს - ცხოველს, რომელიც ნელა გადაადგილდება.

ზენონი თავის პარადოქსში ამტკიცებს, რომ ფეხმარდი აქილევსი ვერასდროს ვერ დაეწევა კუს, რომელიც ზანტად მოძრაობს. აი, როგორ ასაბუთებს ფილოსოფოსი თავის მოსაზრებას:

წარმოვიდგინოთ, რომ აქილევსს ათასი ნაბიჯი აშორებს კუსგან. სანამ აქილევსი ამ ათას ნაბიჯს გაირბენს, კუ ას ნაბიჯს გადადგამს. სანამ აქილევსი კიდევ ას ნაბიჯს გაირბენს, კუ ათ ნაბიჯს გადადგამს და ასე შემდეგ. ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ, ასე რომ აქილევსი ვერასდროს ვერ დაეწევა კუს.



- თქვენ რომელი პარადოქსი მიგაჩნიათ ყველაზე საინტერესოდ? რატომ?
- დაფიქრდით და ისაუბრეთ, ხომ ვერ ხედავთ რაიმე პარადოქსულს თქვენ ირგვლივ?

6. გოდერძი ჩოხელი (1954-2007)



„როგორი უნდა იყოს მწერალი? იმ მზის სხივს უნდა ჰგავდეს, გაზაფხულზე ნაადრევად მოსულ ყვავილს მოყინულ ფოთლებს რომ გაულხვობს“.
გოდერძი ჩოხელი

გოდერძი ჩოხელი გუდამაყრის ხეობის სოფელ ჩოხში დაიბადა. მთის მკაცრმა ბუნებამ და მამაპაპურმა ტრადიციებმა წარუშლელი კვალი დატოვა მის შემოქმედებაზე. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში გამოავლინა განსაკუთრებული ნიჭი - იგი სამყაროს არა მხოლოდ თვალით, არამედ გულით აღიქვამდა. მშობლიური გუდამაყარი მისთვის მხოლოდ გეოგრაფიული ადგილი კი არა, სამყაროს ცენტრი და შთაგონების ამოუწურავი წყარო იყო.

მრავალმხრივი იყო გოდერძი ჩოხელის ნიჭი: პროფესიით კინორეჟისორი ქმნიდა ფილმებს, წერდა სცენარებსა და მოთხრობებს. თბილისში ცხოვრების მიუხედავად, იგი სულით ყოველთვის მთაში რჩებოდა. სწორედ ამ სულიერმა კავშირმა შეაქმნევინა ფილმები: „ადამიანთა სევდა“, „ადგილის დედა“; მოთხრობები: „სულეთის კიდობანი“, „მგელი“, „თევზის წერილები“, რომლებშიც სრულიად განსაკუთრებული - „ჩოხელისეული“-სამყაროა ასახული. ესაა სამყარო, სადაც რეალობა და ზღაპარი ერთმანეთს ერწყმის; სამყარო, რომელიც სავსეა ღრმა ფილოსოფიური სევდითა და ადამიანის უსაზღვრო სიყვარულით. მწერალს სწამდა, რომ ქვეყნიერებას მხოლოდ სიკეთე გადაარჩენს.

ცასწავალა

ვუძღვნი პატარა უფლისწულის ხსოვნას

მეტ-ნაკლებად ყველას აქვს ცაში წასვლის სურვილი. პოეტები ვარსკვლავებს უმღერიან, ხეები ზეცას შეჰღაღადებენ, დამშეული მგლებიც ცას შეჰყმუიან. ყველას აქვს ზეცაში ამაღლების სურვილი. იმათ შორის პატარა ცისფერთვალება ჩიტსაც, რომელსაც ცასწავალას ეძახიან. ცასწავალა ღობემძვრალაზე ოდნავ დიდი თუ იქნება, ძალიან პატარა ფრთები აქვს, ძალიან პატარა ნისკარტი. ცასწავალა აყვავებულ მთის ფერდობზე გავიცანი. თეთრად აყვავებულ კანკეშებში გულაღმა ვიწექი და ცაში წასვლაზე ვოცნებობდი. უცებ ჩემ ქვემოთ ერთი პატარა ჭრელი ჩიტი ამოფრინდა და ცაში აიჭრა, თან წკრიალა ხმით იძახდა: ცასწავალ! ცასწავალ!

სიჩუმეში ისე დაირხა მისი ხმა, ყველა მას შესცქეროდა: გუთნისჩიტები, ბოლოცეცხლები, ჩხიკვები, კლდის ქიმზე შემომჯდარი ორბებიც კი და ყვავილებიც კი შეიშმუშნენ.

ცასწავალამ ერთხანს იფრინა ასე და უცებ ისევ დაბლა დაეშვა. მოდიოდა და ახლა იმას იძახდა: ვტყუი! ვტყუი! ვტყუი!

ჩამოვიდა და ბალახებში გაუჩინარდა. მერე რამდენჯერმე კიდევ აფრინდა ცაში გაგულისებული ძახილით: - ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! - რაღაც ზღვარს მიაღწევდა, ღონე გამოელეოდა და ისევ ქვემოთ დაეშვებოდა: - ვტყუი! ვტყუი! ვტყუი! - ამით თითქოს თავს იმართლებდა. თავის უღონობას მალავდა, რათა სხვებს არ გაეგოთ, რომ ცაში წასვლა არ შეეძლო.

ჯერ უთმინეს ფრთოსნებმა ეს ტყუილი. მერე კი, ეტყობა, საწყენად მიიღეს, ჩემს იქით, კანკეშიან გორზე, იწყეს შეკრება. მოვიდა ყველა ჯურის ფრინველი. ეტყობა, რაღაც თავისებური უმავთულო ტელეფონები აქვთ, თორემ როგორ გააგებინეს ასე უცებ ერთმანეთს: მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ათასნაირად ჩაცმულები. გორზე ტევა აღარ იყო. როცა ყველანი შეიკრიბნენ, რაღაც ითათბირეს და გაისუსნენ.

ბალახებიდან ისევ ამოფრინდა ცასწავალა და ცაში აიჭრა: ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! - ყვიროდა ის, მერე მიაღწია რაღაც ზღვარს და ქვემოთ დაეშვა: - ვტყუი! ვტყუი! ვტყუი! - ის-ის იყო, ბალახებში უნდა ჩამალულიყო, რომ გორზე შეკრებილ ფრინველებს ორი მიმინო გამოეყო, ეცნენ ცასწავალას და გაკოჭეს, აღარ აცალეს დამალვა. მიმინოებმა ცასწავალა გორზე შეკრებილ ფრთოსნებს მიჰგვარეს. იმათ ამოირჩიეს მოსამართლე და დაიწყო სასამართლო.

მე, ჩუმად, ახლოს მივიწიე, რომ კარგად დამენახა, რა მოხდებოდა.

მოსამართლე ყვავმა თავისი ადგილი დაიკავა და დაიწყო:

- მოქალაქე ცასწავალა, თქვენ ბრალად გედებათ აქ შეკრებილი საზოგადოების მოტყუება. მითხარით, ვინა გყავთ ცაში?

- არავინ, - თქვა სევდიანად ცასწავალამ.

- ვაა! - აღმოხდა ყვავს, - როგორ თუ არავინ, მაშ ვისთან მიდიოდი?



-ისე, ცაში მინდოდა წასვლა.

- ვისთან, ვინ დაგპატიჟათ, რა მიზეზით?

- არა, არავის დავუპატიჟნივარ, მაგრამ...

- „მაგრამ“ აქ გამორიცხულია, მოქალაქე ცასწავალა, თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ აქ დამსწრე საზოგადოებას. განა შეიძლება ამდენი ტყუილი? მეტი საქმე არა გაქვს, რომ მთელი დღე გვატყუებ, ცასწავალ, ცასწავალ! და მერე ურცხვად იმეორებ, ვტყუი, ვტყუი! - ვინ არის შენი მოსატყუებელი. უფროსებისა მაინც არა გრცხვენია? სახლში ვინა გყავს?

- არავინ.

- ობოლი ხარ?

- დიახ... - თქვა საბრალო ცასწავალამ და თავი მუხლებში ჩამალა.

- საზოგადოების მოტყუებისათვის ცასწავალას მიესაჯოს ერთი დღე-ღამით თავისუფლების აღკვეთა, კანკეშის ღეროზე



მიბმით, - გამოიტანა მოსამართლემ განაჩენი. ცასწავალა ფრთებითა და ფეხებით კანკეშის ღეროზე მიაბეს და საკრებულო ნება-ნება დაიშალა. ყველაზე ბოლოს მოლაღული შემორჩა, მივიდა ცასწავალასთან, კარგახანს იდგა დაფიქრებული, მერე ცას ახედა, ამოიოხრა და მოწყენილი გაფრინდა.

- გამაგრდი, ცასწავალა! - ჩამოსძახა კანკეშაზე მიბმულ ცასწავალას.

ჩამოვარდა სიჩუმე. საწყალმა ცასწავალამ ამაოდ სცადა მარსლების გაწყვეტა. მთელი ღამე არ მეძინა, მეშინოდა, მელიას არ მიეგნო დაბმული ცასწავალასთვის.

დილით ადრე გავირეკე მთისაკენ ცხვარი, იმ ადგილას რომ მივედი, ჯერ ვერ დავინახე ცასწავალა, მერე კინაღამ ზედ შევდექი, ფოთლები ეფარა ზედ და ეძინა. ეტყობა, მოლაღულმა დააფარა, რომ მელიას ვერ დაენახა. მართლაც, რამდენიმე წუთში საიდანღაც მოფრინდა მოლაღული და ფოთლები მიმა-

ლ-მომალა, რომ ფრთოსნებს არ ენახათ.

შუადღემდე დაბმული იყო ცასწავალა. შუადღისას ისევ შეიკრიბნენ ფრთოსნები და ახსნეს, ჯერ უგონოდ დაეცა, ეტყობა ფრთები ეტკინა. მოლაღულმა ნისკარტით წყაროს წყალი მოარბენინა და მოასულიერა ცასწავალა.

- გაგვითავისუფლებიხარ, ცასწავალავ, ოღონდ ერთი პირობით: მეტი აღარ მოიტყუო, - უთხრა ყვავმა.

- არა, აღარ მოვიტყუებ, - პირობა მისცა ცასწავალამ.

წავიდ-წამოვიდნენ ფრთოსნები და ახლომახლო აყვავებულ ბალახებში ჩასხდნენ.

ცასწავალა კარგა ხანს იჯდა დაფიქრებული. მერე, ეტყობა, მოსწყინდა ასე ყოფნა, ფრთები გაშალა და ცაში აიჭრა:

- ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! - იძახდა ცასწავალა და ისე მაღლა წავიდა, ოდნავღა ჩანდა, გასცდა იმ ზღვარს, სადამდისაც ადრე მიდიოდა ხოლმე - უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა და ერთი სურვილით შეპყრობილი, მიწაზე დარჩენილ ფრთოსნებს ჩამოსძახოდა: - ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ!

ყველანი მას შეჰყურებდნენ. ის წერტილივით ჩანდა. უკანასკნელი ამოსუნთქვისთვისღა ეყო ღონე და გული გაუსკდა. უკან მსუბუქად და მდუმარედ ეშვებოდა. მერე ასევე მსუბუქად დაეცა თავის საყვარელ ბალახებში.

საწყალი ცასწავალა ფრთოსნებმა იმ გორაკზე დაასაფლავეს, სადაც გუშინ სასამართლო მოუწყვეს. ყვავმა გრძელი სიტყვა წარმოთქვა. მოლაღულმა ბევრი იტირა, სხვებიც ვიშვიშებდნენ, თავს აქეთ-იქით აქნევდნენ. მერე დაიშალნენ და დარჩა გორზე პატარა სასაფლაო. ეს ოდნავ ცისკენ ამოწეული მიწა ზემოთ დარჩენილთ თითქოს იმას მიანიშნებდა, რომ მის ქვეშ ზეცაში წასვლის სურვილით შეპყრობილი ცასწავალა იწვა, და ვინც კი ნახავდა, გული სწყდებოდა: ეს სურვილი ხომ მეტ-ნაკლებად ყველას გვაქვს, ზოგი ვამჟღავნებთ, ზოგი გულში ვიმარხავთ სამუდამოდ.

სიტყვების განმარტება

შეჰღაღადებენ - ხმამაღლა ეუბნებიან (თავიანთ მოწოდებას, ხვეწნა-მუდარას).
კანკეში - მაღალი, ქოლგისებრი მცენარე.
ღობემძვრალა - ძალიან პატარა ჩიტი.
ზღვარი - მიჯნა, ბოლო წერტილი, რომლის იქითაც წასვლა შეუძლებელია.
გაგულისებული - აქ: გულმოცემული, შეგულიანებული, გათამამებული.
მარსლები - თოკები, საკვრელები, ბორკილები.
ვიშვიში - ხმამაღალი გლოვა, წუხილი.
ჯურის - სახეობისა, ნაირსახეობისა.
უმავთულო ტელეფონი - აქ: გადატანითი მნიშვნელობით (ირონიულად): ამბის სწრაფად გავრცელების უნარი.

უპასუხეთ კითხვებს

1. რატომ იძახის ცასწავალა დაბლა დაშვებისას: „ვტყუი! ვტყუი!“? რას მალავდა ის ამ სიტყვებით?
2. როგორ ფიქრობთ, რატომ გამოიწვია ცასწავალას საქციელმა სხვა ფრინველების გაღიზიანება? რატომ ჩათვალეს მათ თავი მოტყუებულად?
3. რატომ სთხოვს ყვავი ცასწავალას მიზეზს ცაში წასასვლელად? რატომ ჰგონია მას, რომ იქ აუცილებლად ვიღაცამ უნდა „დაგპატიჟოს“?
4. რა როლს ასრულებს მოთხრობაში მოლაღული? როგორ გამოხატავს ის თანაგრძნობას ცასწავალას მიმართ?
5. აისრულა თუ არა ცასწავალამ ოცნება? საიდან ჩანს? მოძებნეთ შესაბამისი მონაკვეთი ტექსტში.
6. როგორ შეიცვალა ფრინველების დამოკიდებულება ცასწავალას მიმართ მისი სიკვდილის შემდეგ? როგორ ფიქრობთ, რატომ?
7. თქვენი აზრით, როდის არიან ფრინველები გულწრფელნი - როდესაც ასამართლებენ ცასწავალას თუ როდესაც დასტირიან? რატომ ფიქრობთ ასე?
8. ტექსტის რომელ მონაკვეთში ჩანს, რომ ცასწავალას სახელი და ოცნება უკვალოდ არ გამქრალა? ახსენით, გვიტოვებს თუ არა ეს ეპიზოდი იმედის განცდას და რატომ.
9. ვინ ჰყვება ცასწავალას ამბავს? წაიკითხეთ მონაკვეთები, რომლებშიც მთხრობელი ჩანს.

დააკვირდით

- მწერლის თქმით, ცაში წასვლის სურვილი მეტ-ნაკლებად ყველა ცოცხალ არსებას აქვს. ამ სიტყვებში ცა, უბრალოდ, ფიზიკური სივრცე როდია - ესაა შინაგანი თავისუფლების, მიუწვდომელი ოცნების გამოხატულება. ზეცაში ამაღლების სურვილი აერთიანებს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ არსებებს: პოეტებს, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ცდილობენ ამაღლებულ სამყაროსთან შეხებას, მიწაზე ფესვებით „დაბმულ“ ხეებს, რომლებიც ზეცას მოუხმობენ ხმამაღლა, და მშიერ მგლებს, რომლებიც თავიანთ ტკივილსა და მარტოობას ცას უზიარებენ.
- თუკი ადამიანებს, ხეებსა და მგლებსაც კი აქვთ ზეცაში ამაღლების სურვილი, მაშინ რატომ დასცინიან და სჯიან ცასწავალას ფრინველები, რომლებსაც ფრენა შეუძლიათ - ნიშნავს თუ არა ეს, რომ ზეცასთან სიახლოვეს ფრთების ქონა კი არა, სხვა რამ განსაზღვრავს? პასუხის გასაცემად დააკვირდით, როგორ იყენებენ ფრენის უნარს მოთხრობაში სხვა ფრინველები.
- სასამართლოზე ყვავი ცასწავალას ეკითხება: „ვინა გყავს ცაში?“, „ვინ დაგპატიჟათ, რა მიზეზით?“. ეს „მიწიერი“ აზროვნების გამოხატულებაა, რომელიც მიიჩნევს, რომ ნებისმიერ ქცევას პრაქტიკული საჭიროება, სარგებელი ან ნებართვა უნდა განაპირობებდეს. ეს უპირისპირდება ცასწავალას „ზეციურ“ სამყაროს, სადაც მთავარი თავისუფლება და ოცნებაა.
- თქვენი აზრით, გაუგებს თუ არა ოდესმე ყვავი ცასწავალას? რატომ ფიქრობთ ასე? ახსენით ტექსტზე დაყრდნობით.

- მწერლის თქმით, ზეცაში წასვლის სურვილს „ზოგი ვამჟღავნებთ, ზოგი გულში ვიმარხავთ სამუდამოდ“. რომელი სჯობს? როგორი იქნებოდა ჩვენი სამყარო, ყველა რომ გულში სამუდამოდ მალავდეს თავის სურვილებსა და ოცნებებს?
- წაიკითხეთ ცხრილში მოყვანილი ციტატები და რვეულში ჩაწერეთ, რა ფიქრი ან ემოცია გაგიჩნდათ მათი კითხვისას.

ციტატა ტექსტიდან (რა წერია?)	**ჩემი კომენტარი, რეაქცია (რას ვფიქრობ? რა ემოცია გამიჩნდა?)**
1. ცასწავალას „ფოთლები ეფარა ზედ და ეძინა. ეტყობა, მოლაღულმა დააფარა, რომ მელიას ვერ დაენახა. მართლაც, რამდენიმე წუთში საიდანღაც მოფრინდა მოლაღული და ფოთლები მიმალ-მომალა, რომ ფრთოსნებს არ ენახათ“.	
2. ცასწავალა „გასცდა იმ ზღვარს, სადამდისაც ადრე მიდიოდა ხოლმე - უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა და ერთი სურვილით შეპყრობილი, მიწაზე დარჩენილ ფრთოსნებს ჩამოსძახოდა: - ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ!“	
3. ცასწავალას „უკანასკნელი ამოსუნთქვისთვისღა ეყო ღონე და გული გაუსკდა. უკან მსუბუქად და მდუმარედ ეშვებოდა. მერე ასევე მსუბუქად დაეცა თავის საყვარელ ბალახებში.“	

შეადარეთ

ნაწარმოები ეძღვნება ფრანგი მწერლის, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის, მოთხრობა „პატარა უფლისწულის“ მთავარ გმირს - მეოცნებე პატარა უფლისწულს.



ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ნახატი

ბიჭუნა სხვა პლანეტიდანაა მოსული დედამიწაზე. მისი სამშობლო ერთი ასტეროიდია - პლანეტებზე ბევრად პატარა ციური სხეული. უფლისწული დედამიწაზე თავს სრულიად მარტო გრძნობს, აქ ყველაფერი უცხო და მიუღებელია მისთვის. ბიჭუნა ოცნებობს იმაზე, რომ დაბრუნდეს თავის პატარა ასტეროიდზე, სადაც მას საყვარელი არსება, ვარდის ბუჩქი, ელოდება. მოთხრობის ბოლოს უფლისწული ნებაყოფლობით დააკბენინებს გველს თავს, რათა მოიშოროს სხეულის სიმძიმე და ცაში ამაღლდეს სამშობლოში დასაბრუნებლად.

- როგორ ფიქრობთ, რატომ მიუძღვნა მწერალმა „ცასწავალა“ პატარა უფლისწულს? დაფიქრდით და დაწერეთ, რა მიგაჩნიათ ამ ორი პერსონაჟის ყველაზე მნიშვნელოვან საერთო ნიშნად (მაგ.: სწრაფვა სულიერი თავისუფლებისკენ, სულიერი მარტოობა, მიწიერი სამყაროს მიუღებლობა, თავგანწირვა ოცნებისა და იდეალებისთვის ან სხვა) და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

ლიტერატურული მეგზური

1. სიმბოლო

გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში ცა, უბრალოდ, ფიზიკური სივრცე როდია - ესაა შინაგანი თავისუფლების, მიუწვდომელი ოცნების, ჭეშმარიტების სიმბოლო.

რა არის სიმბოლო?

დაიმახსოვრეთ:

სიმბოლო (ბერძნ. „ვაერთებ“) არის კონკრეტული საგანი ან მოვლენა, რომელსაც, პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, აქვს სხვა, უფრო განზოგადებული და ღრმა მნიშვნელობა. ამდენად, სიმბოლოში გაერთიანებულია საგნის ან მოვლენის ორი მნიშვნელობა: პირდაპირი მნიშვნელობა - ის, რასაც თვალით ვხედავთ, და გადატანითი მნიშვნელობა - ღრმა, განზოგადებული შინაარსი.

სიმბოლოები მხატვრულ ლიტერატურაში - მხატვრულ ლიტერატურაში სიმბოლო მხოლოდ მშრალი ინფორმაცია არ არის. ის ყოველთვის ემოციურადაა დატვირთული და გვაგრძნობინებს, რას განიცდის პერსონაჟი თუ მწერალი.

ა) არსებობს სიმბოლოები, რომლებიც საერთოა სხვადასხვა ეპოქისა თუ კულტურისათვის. თითოეულ სიმბოლოს სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობაც კი შეიძლება ჰქონდეს. აი, ზოგიერთი მათგანი:

საერთო, უნივერსალური სიმბოლოები	
საგანი, მოვლენა	**სიმბოლური მნიშვნელობა**
წყალი	სიცოცხლე, განწმენდა
მდინარე	დროის დინება, ცხოვრების გზა
მზე	სიცოცხლე (სიცოცხლის დაბადება), განათლება
გველი	სიბრძნე, ცოდნა, ბოროტება, ვერაგობა
ბუ	სიბრძნე, განსწავლულობა
თეთრი ფერი	სიწმინდე, უმწიკვლობა (შინაგანი სისუფთავე, უნაკლოება)
ცა	შინაგანი თავისუფლება, უმაღლესი ჭეშმარიტება, ღვთაებრივი სამყარო, მიუწვდომელი ოცნება
ქარიშხალი	ძლიერი ემოციები, სულიერი მღელვარება, კონფლიქტი

გაითვალისწინეთ, რომ სიმბოლოების სამყარო ძალიან მრავალფეროვანია. ცხრილში მოცემული მნიშვნელობები მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც შეიძლება აღნიშნავდეს დასახელებული საგანი თუ მოვლენა. თუმცა, როგორც წესი, მწერალი თავის ნაწარმოებში სიმბოლოს ერთი მნიშვნელობით იყენებს - მნიშვნელობით, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მის სათქმელს.

ბ) უნივერსალურის გარდა, არსებობს სიმბოლოები, რომლებიც გვხვდება რომელიმე ერთი მწერლის შემოქმედებაში ან ერთ კონკრეტულ ნაწარმოებში. ასეთი სიმბოლოები ასახავენ მწერლის პირად გამოცდილებას, წარმოდგენებსა თუ შეხედულებებს.

- წარმოიდგინეთ, რომ წერთ მოთხრობას ბავშვობის თემაზე. წერილობით გადმოეცით:

✓ რომელ უნივერსალურ სიმბოლოს ან სიმბოლოებს გამოიყენებდით?

✓ გაიხსენეთ თქვენი ბავშვობიდან რომელიმე საგანი, მოვლენა ან ადგილი (მაგ.: ველოსიპედი, ეზოს მოედანი, ჟანგიანი ჭიშკარი). აირჩიეთ რომელიმე მათგანი და ახსენით: თქვენს პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, რას განასახიერებს იგი თქვენთვის? რისი სიმბოლო იქნებოდა თქვენს მოთხრობაში?

2. პერსონაჟი, როგორც სიმბოლო - მხატვრულ ლიტერატურაში სიმბოლო შეიძლება იყოს თავად პერსონაჟიც. ეს ნიშნავს, რომ პერსონაჟი, კონკრეტულად, ერთი ადამიანი არ არის - იგი რაღაც იდეას, თვისებას ან ადამიანთა მთელ ჯგუფს განასახიერებს. პერსონაჟი შეიძლება იყოს სიმბოლო თავგანწირვის, სიკეთის, მარტოობის, სიხარბისა თუ ბოროტებისა.

- როგორ ფიქრობთ, რისი სიმბოლოა ცასწავალა? ახსენით ტექსტზე დაყრდნობით.
- თქვენი აზრით, როგორი ადამიანების ან რა თვისებების სიმ-

ბოლოებად შეიძლება მივიჩნიოთ ყვავი და მოლაღული? ახსენით ტექსტზე დაყრდნობით.

- გაიხსენეთ და წერილობით გადმოეცით: თქვენთვის ნაცნობი წიგნებიდან ან ფილმებიდან რომელი პერსონაჟი მიგაჩნიათ რაიმე თვისების ან იდეის სიმბოლოდ და რატომ. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

შემოქმედებითი სახელოსნო

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. „გამოსათხოვარი წერილი ფრინველებს“ - წარმოიდგინეთ, რომ ცასწავალა ბოლო გაფრენის წინ, კანკეშის ძირას, გამოსამშვიდობებელ წერილს უტოვებს მოლაღულსა და სხვა ფრინველებს. მოირგეთ ცასწავალას როლი და დაწერეთ ეს წერილი. გადმოეცით: რატომ გიზიდავთ ცა - რა არის იქ ისეთი, რასაც მიწაზე ვერ პოულობთ; რა ხდება იმ „ზღვარს“ მიღმა, სადაც სხვები ვერ აღწევენ: რას ხედავთ, რა ფერებია და რა გრძნობა გიჩნდებათ, როდესაც მთელ დედამიწას ზემოდან დაჰყურებთ; რას ეტყვით მოლაღულს; რას უსურვებთ მათ, ვინც მხოლოდ მიწას დაჰყურებს და ამით კმაყოფილდება.

2. რეპორტაჟი გაზეთისთვის „ტყის ამბები“ - წარმოიდგინეთ, რომ ფრინველები გამოსცემენ თავიანთ გაზეთს. მოირგეთ ამ გაზეთის ჟურნალისტი ფრინველის როლი და დაწერეთ რეპორტაჟი, რომელშიც თქვენს მკითხველებს მოუთხრობთ ცასწავალას ამბავს: შეაფასეთ ფრინველების დამოკიდებულება ცასწავალას მიმართ, მოსამართლის პოზიცია და სასამართლო გადაწყვეტილება. გამოკვეთეთ თქვენი პირადი თვალსაზრისი - ჰქონდათ თუ არა ფრინველებს უფლება, დაესაჯათ ცასწავალა თავისი ოცნების ერთგულებისთვის; რას ფიქრობთ ცასწავალას არჩევანზე, მის ბოლო გაფრენაზე; რისი გაკვეთილი უნდა იყოს ეს ფრინველთა „საზოგადოებისთვის“. რეპორტაჟში შეგიძლიათ ჩართოთ „ინტერვიუები“ ყვავთან, მოლაღულთან ან ადამიანთან, რომელიც შეესწრო ამ ამბავს (ამბის მთხრობელთან). მოიფიქრეთ რეპორტაჟისთვის ისეთი სათაური, რომელიც მკითხველის ყურადღებას მიიზიდავს.

3. იმიტირებული სასამართლო - მოაწყვეთ იმიტირებული სასამართლო, რომელზედაც განიხილავთ, დამნაშავეა თუ არა ცასწავალა. მსჯელობისას დაეყრდენით მოთხრობის ტექსტს, მოსაზრებების დასასაბუთებლად კი გამოიყენეთ დარწმუნების სხვადასხვა ხერხი (ლოგიკა, სანდოობა, ემოცია).

სასამართლო პროცესზე მონაწილეობას იღებენ:

- ✓ **ბრალდებული ცასწავალა** - ბრალი ედება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში. უნდა ახსნას, მიაჩნია თუ არა თავი დამნაშავედ და რატომ.
- ✓ **ბრალმდებელი ყვავი** - წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც ასაბუთებს, რატომ არის სახიფათო საზოგადოებისთვის ცა-

სწავალასნაირი „მატყუარა“ (მაგ.: არღვევს დამკვიდრებულ წესრიგს, ტყუილი იმედებით კვებავს ფრინველებს, სწყვეტს მათ აუცილებელ ცხოვრებისეულ საჭიროებებს). შეეცადეთ გამოიყენოთ სანდოობასა და ლოგიკაზე დამყარებული არგუმენტები.

- ✓ **ბრალდებულის დამცველი მოლაღული** - წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც გამოკვეთს, რატომ არ არის ცასწავალას საქციელი ტყუილი, რა არის მისი ნამდვილი მიზანი და რატომ არ არის ეს სახიფათო (მაგ., ესაა რწმენა, ოცნება; საზოგადოების სულიერად ამაღლება). შეგიძლიათ გამოიყენოთ ემოციური არგუმენტებიც.

- ✓ **მოწმეები** - უპასუხებენ შეკითხვებს მომხდართან დაკავშირებით, მათი საუბარი უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ რეალურ ფაქტებს - რა ნახეს, რა მოისმინეს.

- ✓ **ნაფიცი მსაჯულები** - გამოაქვთ გადაწყვეტილება (ვერდიქტი), დამნაშავეა თუ არა ცასწავალა. გადაწყვეტილებას იღებენ კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, მას მერე, რაც მოუსმენენ ცასწავალას, ყვავს, მოლაღულსა და მოწმეებს.

- ✓ **მოსამართლე** - მიჰყავს სასამართლო სხდომა და გამოაქვს საბოლოო დასკვნა ნაფიცი მსაჯულების თვალსაზრისის გათვალისწინებით; ხსნის, რატომ გამოიტანა ასეთი დასკვნა.

გაინაწილეთ როლები და ჩაატარეთ სასამართლოს სხდომა.

მოწმეების როლში შეიძლება იყვნენ ამბის მთხრობელი, მიმინოები. ნაფიცი მსაჯულების როლში იქნებიან ყველანი, ვინც სიტყვით არ გამოდის პროცესზე. ისინი უსმენენ მხარეებს და ინიშნავენ საყურადღებო ინფორმაციას. სხდომის დასრულების შემდეგ მსჯელობენ იმაზე, რაც მოისმინეს და ნახეს, მოჰყავთ დამატებითი არგუმენტები (მოთხრობის ტექსტიდან, სხვა ტექსტებიდან, რეალური ცხოვრებიდან) და კენჭისყრის შედეგად გამოაქვთ გადაწყვეტილება.

იმსჯელეთ

იმსჯელეთ შეკითხვებზე დაყრდნობით და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

- რატომ გაასამართლეს ფრინველებმა ცასწავალა - მან მართლა დააშავა რაღაც თუ, უბრალოდ, იმიტომ დაისაჯა, რომ სხვებისგან განსხვავდება?

ქვემოთ მოცემულია ცასწავალას დასჯის სამი მიზეზი. იმსჯელეთ, რომელი მიგაჩნიათ მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად და რატომ. შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ განსხვავებული ვარიანტიც.

ა) გაუგებრობა და შიში - ცასწავალა ფრინველებისთვის საფრთხეა, რადგან არ ესმით, რატომ იქცევა ასე;

ბ) საზღვრების დარღვევა - ცასწავალამ გაბედა და გასცდა საზოგადოებაში დაწესებულ „მიწიერ“ საზღვრებს;

გ) საკუთარი სიმართლის დამტკიცება - ფრინველები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათი „მიწიერი“ ცხოვრება მართებულია, ცასწავალას ოცნებები კი - დანაშაული.

- არის თუ არა ცასწავალა ტრაგიკული გმირი? როგორ უნდა გავიგოთ ცასწავალას ბოლო გაფრენა - ეს მისი გამარჯვებაა თუ დამარცხება?

წერითი დავალება

დაწერეთ თხზულება: **„ოცნება - სიცოცხლის მიზანი“**, რომელშიც დაახასიათებთ გოდერძი ჩოხელის მოთხრობის გმირ ცასწავალას.

იმსჯელეთ:

- რა ადგილი უკავია ოცნებას ცასწავალას ცხოვრებაში;
- რატომ უპირისპირდებიან მას ფრინველები;
- რა თვისებები განასხვავებს მას ყვავისაგან, მოლაღულისაგან, რა არჩევანი გააკეთა ცასწავალამ;
- რაზე დაგაფიქრათ, რა გასწავლათ ამ მოთხრობამ;
- თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ოცნება იყოს სიცოცხლის ერთადერთი მიზანი - რა მოხდება, თუკი ადამიანი მხოლოდ საკუთარი ოცნებით იცხოვრებს და ყოველდღიურ მოვალეობებს სრულიად დაივიწყებს.





წაიკითხეთ ფრაგმენტები თანამედროვე ამერიკელი მწერლის, რიჩარდ ბახის, მოთხრობიდან „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“ და ისაუბრეთ, როგორ უკავშირდება ეს ტექსტი გოდერძი ჩოხელის „ცასწავალას“.

რიჩარდ ბახი

თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი (ფრაგმენტები)

თოლია ჯონათან ლივინგსტონს ყველაზე მეტად ფრენა უყვარდა. თუმცა ასეთი ხასიათი, როგორც თვითონვე მიხვდა, სულ არ ხდიდა პოპულარულს სხვა თოლიების თვალში. თვით მისი მშობლებიც კი შეაშფოთა იმ ამბავმა, რომ ჯონათანი მთელ დღეებს მარტოობაში ატარებდა და ასობით დაბალ გაფრენას ახორციელებდა.

ვერ იტყოდა, რატომ, მაგრამ, როდესაც ზედ წყლის თავზე მისრიალებდა, როცა წყლის ზედაპირს ნახევარი ფრთის მოქნევაღა აშორებდა, მაშინ ჰაერში უფრო დიდხანს ჩერდებოდა, თანაც - ნაკლები ძალისხმევით. ეს გაფრენებიც ფეხების წყალში ჩადგაფუნებით კი არ მთავრდებოდა, როგორც თოლიებს სჩვევიათ, არამედ ხანგრძლივი კილვატერით, როცა, ბოლოს და ბოლოს, წყალს სხეულზე მჭიდროდ მისალტული ფეხებით შეეხებოდა. როცა ჯონათანმა ნაპირზეც ფეხებაკეცილმა დაიწყო გასრიალებით დაჯდომა, შემდეგ კი - ქვიშაზე დატოვებული კვალის ნაბიჯებით გაზომვა, მშობლები მართლა ძალიან დაშინდნენ.

- რატომ, ჯონ, რატომ? - ჰკითხა დედამ, - რატომ არის ასე ძნელი, რომ სხვა თანაგუნდელებივით იცხოვრო? რატომ არ დაანებებ თავს პელიკანებთან და ალბატროსებთან ფრენას? ჭამით მაინც რატომ არ ჭამ? ძვლები და ბუმბულიღა ხარ, შვილო!

- დიდი ამბავი: ძვლები და ბუმბული, დე. მე მხოლოდ იმის გაგება მსურს, რისი გაკეთება შემიძლია ჰაერში და რისი - არა. სულ ესაა. მე მხოლოდ ამის ცოდნა მსურს.

- მოიხედე, ჯონათან, - უთხრა მამამ არცთუ ბრაზიანად, - ზამთარი შორს აღარ არის და წყლის ზედაპირზე მცურავი თევზი მალე ღრმად ჩაყვინთავს. თუ სწავლას აპირებ, მაშინ საკვები და მისი მოპოვება შეისწავლე. გაფრენ-გამოფრენა კარგია, მაგრამ მაგით კუჭს ვერ დაიოკებ. არ დაგავიწყდეს, რომ შენი ფრენის მიზანი ჭამაა.

ჯონათანმა მამას მორჩილად დაუკრა თავი. რამდენიმე მომდევნო დღის მანძილზე შეეცადა სხვა თოლიებივით ეცხოვრა. მართლა შეეცადა: ჭყიოდა და გუნდთან ერთად პირსებს და თევზსარეწ გემებს დასტრიალებდა, თევზის და პურის ნაფლეთებისთვის წყალში ყვინთავდა... მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

„რა უაზრობაა, - ფიქრობდა ჯონათანი, - ... შემეძლო მთელი

ეს დრო ფრენის სწავლაში გამეტარებინა. კიდევ რამდენი რამეა სასწავლი!“

ცოტა ხნის შემდეგ ჯონათანი ისევ მარტო იყო ზღვაში, ნაპირიდან შორს, მშიერი, ბედნიერი და სწავლას დაწაფებული.

ამჯერად საქმე სისწრაფეს ეხებოდა და ჯონათანიც ერთ კვირაში უფრო მეტად გაერკვა ამ საკითხში, ვიდრე ცოცხალ თოლიათაგან უსწრაფესი...

მთლად ჩამობნელებულიყო, როცა ჯონათან ლივინგსტონი ნაპირზე მსხდომ გუნდს შეუერთდა. სასტიკად დაქანცულს, თავბრუ ესხმოდა. თუმცა, ძირს დაშვებისას, სიამოვნებისგან მაინც მარყუჟი შეკრა და მიწაზე დაჯდომამდე სულ ერთი წამით ადრე ფრთების ტკაცუნით ამოტრიალდა ჰაერში.

„ამას რომ გაიგებენ, - გაივლო ჯონათანმა, - ამ გარღვევის ამბავს, სიხარულით გაგიჟდებიან. კიდევ რამდენი რამისთვის ღირს თურმე ცხოვრება! იმის ნაცვლად, რომ სულ წინ და უკან ვიბოდიალოთ თევზსარეწ გემებზე, ახლა ცხოვრების მიზანი გაჩნდა! ახლა შეგვიძლია უმეცრებიდან გამოვიდეთ, შეგვიძლია დავინახოთ, რა სრულქმნილი, რა გონიერი, რა ოსტატობის მფლობელი არსებები ვართ. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ თავისუფლები! ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ ფრენა!

მომავალი წლები იმედისმომცემად ციალ-კიალებდნენ.

ძირს დაშვებულ ჯონათანს თოლიების საბჭო შეკრებილი დახვდა. აშკარად მას ელოდნენ.

- ჯონათან ლივინგსტონ! შუაში გამოდი! - უხუცესის სიტყვები უკიდურესად ცერემონიულად ჟღერდა. შუაგულში დგომა ან დიდ სირცხვილს ნიშნავდა, ან დიდ პატივს. პატივისთვის ცენტრში დგომა წილად ხვდა თოლიების გუნდის ყველა გამოჩენილ ლიდერს.

„რა თქმა უნდა, - გაიფიქრა ჯონათანმა, - ამ დილით საუზმის გუნდი ჩემს გარღვევას ნახავდა, მაგრამ მე არავითარი პატივ-დიდება არ მინდა. მხოლოდ ის მსურს, რომ გავუზიარო, რაც გავიგე, ვუჩვენო, რა შესაძლებლობები ჰქონია თითოეულ ჩვენგანს.

და ჯონათანი წინ მიდგა.

- თოლია ჯონათან ლივინგსტონ! - წარმოთქვა უხუცესმა, - ცენტრში გამოდი! შენ თავი მოიჭერი თანაგუნდელი თოლიების თვალში!

თითქოს თავში რაღაც დაჰკრესო: ჯონათანს მუხლი მოეკვეთა, ბუმბული ტანზე უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა, ყურები აუგუგუნდა. ცენტრში დადგომა სირცხვილისთვის? შეუძლებელია! გარღვევა?! მათ ეს არ ესმით! ისინი ცდებიან, ცდებიან!

- ... მისი უგუნურებისა და უპასუხისმგებლობისთვის, - ბუბუნებდა ხმა ცივად და ზვიადად, - რომელმაც ხელჰყო თოლიების ოჯახის ღირსება და ტრადიცია...

შესარცხვენად ცენტრში გამოყვანა - თოლიების საზოგადოებიდან განდევნასა და შორეულ კლდეებზე სიმარტოვეში გასახლებას ნიშნავდა.

- ერთხელაც, თოლია ჯონათან ლივინგსტონ, შენ მიხვდები, რომ უპასუხისმგებლობას ვერაფერი გამოისყიდის. ცხოვრება გაუგებარია და შეუცნობელი და, როგორც ჩანს, ჩვენ ამქვეყნად იმისთვის მოვედით, რომ ვჭამოთ და რაც შეიძლება დიდხანს ვიცოცხლოთ.

თოლია ვერასოდეს შეუბრუნებდა სიტყვას გუნდის საბჭოს, მაგრამ ჯონათანმა ხმა ამოიღო:

- უპასუხისმგებლობაო?! ძმებო! - შესძახა მან, - ვინ არის თოლიაზე უფრო მეტად პასუხისმგებელი, რომელიც ეძებს და პოულობს ცხოვრების უფრო ამაღლებულ მიზანს? ათასობით წელი თევზის თავების დევნაში გავატარეთ, ახლა კი, როგორც იქნა, სხვა მიზანი გაგვიჩნდა: სწავლა, აღმოჩენა, თავისუფლება! მომეცით შანსი ჩემი აღმოჩენები გიჩვენოთ.

გინდ გუნდისთვის უთქვამს, გინდ ქვისთვის.

- ძმობა დამთავრებულია, - წაიმღერა მთელმა გუნდმა. ყველამ ერთად საზეიმოდ დაიყრუა ყური და საზეიმოდ აქცია ზურგი თოლია ჯონათან ლივინგსტონს.

ამიერიდან ცხოვრებას იგი მარტოობაში ატარებდა. ისე კი, შორეულ კლდეებზე არ დარჩენილა, - უფრო შორს წავიდა. იმდენად მარტოობა კი არ ტანჯავდა, არამედ ის, რომ სხვა თოლიებმა არ ირწმუნეს ფრენის დიდება, რომელიც მათ ელოდათ; თვალების გაღება და დანახვა არ მოისურვეს... ის, რისი მოპოვების იმედიც უწინ მთელი გუნდისთვის ჰქონდა, ახლა მხოლოდ თავისთვის მოიპოვა. მან ფრენა ისწავლა და არ ეძვირებოდა ფასი, რომელიც ეს დაუჯდა...

სამი თვის შემდეგ ჯონათანს უკვე ექვსი მოწაფე ჰყავდა, ყველა - განკვეთილი, და ამავე დროს, გატაცებული ამ უცნაური ახალი იდეით: ფრენა თვით ფრენის სიხარულისთვის!..

ჯონათანი ამბობდა: „თოლიას უფლება აქვს იფრინოს... თავისუფლება თვით მისი არსი და ბუნებაა... ერთადერთი ჭეშმარიტი კანონი ისაა, რომელსაც თავისუფლებისკენ მივყავართ... სხვა არ არსებობს!“

* * *

ჯონათანი მალე მშვენიერ ოსტატად იქცა, იგი სხვებს ასწავლიდა. მალე მან ერთი სამყარო დატოვა და განვითარებისათვის შემდეგ სამყაროში გაფრინდა. მისი მოსწავლე ფლეტჩერი ხშირად ფიქრობდა ჯონათანის სიტყვებზე. განსაკუთრებით მაშინ, როცა უჭირდა ან, პირიქით, ეჩვენებოდა, რომ სრულყოფის ზღვარს მიაღწია:

„არავითარი საზღვარი, ჯონათან!.. მაშ არავითარი საზღვარი, ჯონათან?“ - გაიფიქრა ფლეტჩერმა და ბაგე ღიმილმა გაუპო. ის უკვე მიჰყვებოდა სწავლის მარათონს.

თარგმანი დავით აკრიანისა

სიტყვების განმარტება

ძალისხმევა - ძალის დაძაბვა.
ჩადგაფუნება - წყლის ყრუ ხმაური რაიმე საგნის დაცემის გამო.
კილვატერი - ჭავრილი (ამონადენი წყლის სვეტი), რომელსაც აჩენს მიმავალი გემი ზღვის ზედაპირზე.
მისალტული - აქ: მჭიდროდ მიკრული.
პელიკანი - ფრინველი ვარხვი.
ალბატროსი - ზღვის (ოკეანის) დიდი ფრინველი, წაგრძელებული ნისკარტითა და გრძელი, ვიწრო ფრთებით.
დაიოკებ - აქ: დაიცხრობ, დააწყნარებ (შიმშილს).
პირსი - ნავსადგურში: ზღვაში შეჭრილი ნაგებობა ორივე მხრიდან გემების მისადგომად.
თევზსარეწი გემი - გემი, რომლითაც არა მხოლოდ იჭერენ თევზს, არამედ იქვე ამუშავებენ და ინახავენ.
მარყუჟი შეკრა - აქ: ორმაგი წრე ფრენისას.
გარღვევის - აქ: იგულისხმება თოლიებისთვის მანამდე არსებული ფრენის სიჩქარის ზღვრის გადალახვა.
ვიბოდიალოთ - უაზროდ, უთავბოლოდ ვიაროთ (ვიფრინოთ).
სრულქმნილი - სრულყოფილი, უნაკლო.
ციალ-კიალებდნენ - ციმციმებდნენ, სხივებს აფრქვევდნენ.
ცერემონიულად - აქ: გადაჭარბებულად ოფიციალური ტონით.
ბუბუნებდა - ყრუ ხმით ამბობდა.
ზვიადად - მედიდურად, ქედმაღლურად;
ხელჰყო (ხელყო) - შელახა, დააზიანა.
შანსი - შესაძლებლობა.
განკვეთილი - გარიყული, გაძევებული.

უპასუხეთ კითხვებს

1. რატომ აღშფოთდნენ ჯონათანის მშობლები?
2. თქვენი აზრით, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯონათანს სხვა თოლიებივით ცხოვრება არ გამოუვიდა - მის სისუსტეზე თუ სიძლიერეზე? ახსენით თქვენი პასუხი.
3. რაში ხედავს გუნდი სიცოცხლის დანიშნულებას, რაში - ჯონათანი?
4. როგორ ფიქრობთ, ჯონათანის რა თვისებაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ მას თავისი აღმოჩენის თანაგუნდელებისთვის გაზიარება სურს? (მაგ.: ტრაბახაა, ალტრუისტია, ძალაუფლების მოყვარულია, გულჩვილია). პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.
5. რა ბრალდება წაუყენა უხუცესმა ჯონათანს? რატომ ფიქრობს გუნდი, რომ ჯონათანის მიღწევა საფრთხეს წარმოადგენს?
6. როგორ აბათილებს ჯონათანი უხუცესის ბრალდებას „უპასუხისმგებლობის“ შესახებ?
7. მოთხრობა მოსწავლის, ფლეტჩერის, ფიქრებით მთავრდება. თქვენი აზრით, რატომაა მნიშვნელოვანი, რომ „ერთადერთ ჭეშმარიტ კანონს“ - თავისუფლებას - არა მხოლოდ ჯონათანი,

არამედ სხვებიც იზიარებენ? ნიშნავს თუ არა ეს, რომ იდეა უკვდავია? პასუხი დაასაბუთეთ.

8. ჯონათანს უწევს არჩევანის გაკეთება - „ჭამა“ თუ „ფრენა“. ადამიანის ცხოვრებაშიც არის ეს ორი მხარე - ყოველდღიური მოვალეობები - ერთ მხარეს, ოცნება და გატაცება - მეორე მხარეს. თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა იცხოვრო ისე, რომ არც საზრუნავი დაგავიწყდეს და არც ოცნებაზე თქვა უარი? რატომ ფიქრობთ ასე?

დააკვირდით

მოთხრობაში ვკითხულობთ: „შუაგულში დგომა ან დიდ სირცხვილს ნიშნავდა, ან დიდ პატივს.“ ეს წინადადება პარადოქსს მოგვაგონებს. მართლაც, როგორ შეიძლება ერთ ადგილზე დგომას ორი აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს?!

ფაქტია, რომ ორივე შემთხვევაში ცენტრში დგანან გუნდის რიგითი წევრებისგან გამორჩეული თოლიები - გამორჩეული ბელადები ან ისინი, ვინც შერცხვენას იმსახურებენ. მაშ, რა განსხვავებაა ამ ორ გამორჩეულობას შორის და რა პრინციპით წყვეტს საზოგადოება, ვინ იმსახურებს პატივს და ვინ - შერცხვენას?

- ტექსტში ორ საპირისპირო სამყაროს ვხვდებით: „უმეცრებასა“ და თავისუფლებას. უმეცრების სიბნელეში ცხოვრობს გუნდი, რომელსაც, საკვების შოვნის გარდა, არაფერი აინტერესებს, „თავისუფლების გზა“ კი გაიხსნა ჯონათანისთვის, რომელმაც აღმოაჩინა ფრენის, როგორც ხელოვნების, საიდუმლო.

როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს რიჩარდ ბახი ამ სიმბოლოებს? რა კავშირი აქვს სიბნელეს საკუთარი შესაძლებლობების არცოდნასთან, ხოლო სინათლეს - თავისუფლებასა და განვითარებასთან? პასუხი ახსენით, ახსნისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ილია ჭავჭავაძის საჯარო სიტყვა, რომელიც შეისწავლეთ მეორე თავში.

წერითი დავალება

დაწერეთ თხზულება თემაზე: „უმეცრებიდან თავისუფლებისკენ“ (რიჩარდ ბახის მოთხრობის მიხედვით).

თხზულებაში გამოკვეთეთ აბზაცები და სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. სათქმელი შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ შემდეგნაირად:

შესავალი

ისაუბრეთ, რას ნიშნავს თავისუფლება, მწერლის თვალსაზრისით; რატომ არის უმეცრება სიბნელე, ცოდნა და განვითარება კი - სინათლე.

ძირითადი ნაწილი

იმსჯელეთ, რა არის თოლიების ცხოვრების მიზანი და რატომ უწოდებს ამას ბახი უმეცრებას; რა აკლია თოლიების სამყაროს.

რა ნაბიჯი გადადგა ჯონათანმა სიბნელიდან გამოსასვლელად, რას განასახიერებს მისთვის ფრენა; როგორ შეიცვალა მისი სამყარო, როცა მან ფრენის „სიდიადე“ აღმოაჩინა.

დასკვნა

შეაჯამეთ ძირითად ნაწილში გამოთქმული აზრები და გამოკვეთეთ, რაზე დაგაფიქრათ ამ მოთხრობამ.

შეადარეთ

შეადარეთ ერთმანეთს გოდერძი ჩოხელის „ცასწავალა“ და რიჩარდ ბახის „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“.

I. ორივე მოთხრობაში პერსონაჟს უწყობენ სასამართლოს.

- ✓ ისაუბრეთ, რა არგუმენტები მოჰყავთ ფრინველებს ცასწავალასთვის განაჩენის გამოსატანად - ერთი დღე-ღამით თავისუფლების აღსაკვეთად - და რით ასაბუთებენ თოლიები ჯონათანის გუნდიდან გაძევებას? რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ ამ ორ სასამართლოს შორის?
- ✓ ვინ გამოდის სიტყვით სასამართლოზე ერთ მოთხრობაში და ვინ - მეორეში? რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს?
- ✓ შეადარეთ როგორ იღებენ ცასწავალა და ჯონათანი დაკისრებულ სასჯელს? რით ჰგვანან ერთმანეთს, რით განსხვავდებიან ისინი?

II. გაეცანით სიმბოლოებისა და პერსონაჟთა სახეების ძირითად მნიშვნელობებს, შემდეგ უპასუხეთ შეკითხვებს.

პერსონაჟები, მოვლენები, საგნები (სიმბოლური მნიშვნელობები)	
ცასწავალა	**თოლია ჯონათან ლივინგსტონი**
ცა (უნივერსალური სიმბოლო) - შინაგანი თავისუფლება, მიუწვდომელი ოცნება.	ცა (უნივერსალური სიმბოლო) - ჭეშმარიტება, ცოდნა, განვითარება.
ცასწავალა - ოცნების ერთგულება, სულიერი სწრაფვა.	ჯონათანი - სრულყოფილებისკენ სწრაფვა.
ყვავი და სხვა ფრინველები - „მიწიერი აზროვნება“, ვერ ხვდებიან ოცნების საჭიროებას.	უხუცესი და სხვა თოლიები - მხოლოდ მატერიალური ყოფა, „ჭამა“, ვერ ხვდებიან ფრენის მიზანს.
მოლაღული - თანაგრძნობა, ოცნებას გულში იმარხავს.	ფლეტჩერი - თავისუფლების იდეის უკვდავება - ცხოვრობს ჯონათანის აღმოჩენილი კანონით.
ზღვარი - საზოგადოების მიერ დაწესებული ფარგლები.	სიჩქარის ზღვარი - საზოგადოების მიერ დაწესებული ფარგლები.
სასამართლო - ფრინველები სჯიან ცასწავალას კანკეშის ღეროზე მიბმით.	სასამართლო - გუნდი სჯის ჯონათანს გაძევებით.
სიკვდილი - გამარჯვება, ოცნების ასრულება.	სხვა სამყარო - შემდგომი განვითარება, გზის გაგრძელება.

შეკითხვები:

1. ცა - ცხრილში ცა ერთადერთი უნივერსალური სიმბოლოა.

- როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევითობაა თუ ცა რაღაც ისეთს განასახიერებს, რაც ერთნაირად სჭირდება ყველა ადამიანს დედამიწის ნებისმიერ კუთხესა და ნებისმიერ ეპოქაში? რა არის ეს „რაღაც“ - რას ეძებენ ადამიანები ცაში, რაც ყველას ერთნაირად სჭირდება?
- როგორ ფიქრობთ, რატომ იქცა ამ საერთო მისწრაფების სიმბოლოდ სწორედ ცა და არა სხვა რამ - მაგალითად, ზღვა ან მთა? პასუხის გასაცემად დაფიქრდით, რა მახასიათებლები აქვთ მთასა და ზღვას (მაგ.: შეგვიძლია ხელით შევეხოთ, მთავრდება ნაპირით ან მწვერვალით) და რით განსხვავდება ცა მათგან.

2. ცასწავალა და ჯონათანი - ისინი ფიზიკურად სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ცასწავალა პატარა, უღონო ჩიტია, ჯონათანი კი - ყველაზე სწრაფი თოლია. როგორ ფიქრობთ, რა არის ის ერთი რამ, რაც მათ ერთმანეთთან ათანაბრებს?

3. ზღვარი - ცასწავალა და ჯონათანი - ორივე გასცდება ზღვარს, მაგრამ შედეგი სხვადასხვაა - ერთი კვდება, მეორე „სხვა სამყაროში გადადის“. თქვენი აზრით, რამდენად შეგვიძლია მოთხრობების დასასრულს იმედიანი ვუწოდოთ - გაქრა თუ არა პერსონაჟების ოცნება მათთან ერთად? უპასუხეთ მოთხრობების კონკრეტულ ეპიზოდებზე დაყრდნობით.

4. სასამართლო - ცასწავალასაც და ჯონათანსაც სასამართლოს უწყობენ და ორივეს სჯიან ერთი მიზეზის - განსხვავებულობის - გამო. თქვენი აზრით, ვინ აღმოჩნდა ამ დაპირისპირებაში რეალურად გამარჯვებული - საზოგადოება, რომელმაც ისინი დასაჯა, თუ თავად პერსონაჟები? რატომ ფიქრობთ ასე?

შემოქმედებითი სახელოსნო

შეარჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

1. „შეხვედრა ცაში“

წარმოიდგინეთ, რომ ცასწავალა და ჯონათან ლივინგსტონი უსასრულო ცაში ფრენისას ერთმანეთს შეხვდნენ. ორივე მათგანმა უდიდესი ზღვარი გადალახა. დაწერეთ თხზულება: **„შეხვედრა ცაში“,** რომელშიც აღწერთ, როგორ ჩაივლიდა ცასწავალასა და ჯონათანის შეხვედრა - როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რას გაუზიარებდნენ თავიანთი გამოცდილებიდან, დამეგობრდებოდნენ თუ არა, იფრენდნენ თუ არა ერთად.

2. „ჩემი ცა და ჩემი მიწა“

დაწერეთ მცირე თხზულება, რომელშიც გადმოსცემთ: რა არის თქვენი გატაცება ან ჰობი, რომელიც ყველაზე მეტად გაინტერესებთ, და რატომ არის ის თქვენთვის მნიშვნელოვანი; რა არის თქვენს ცხოვრებაში ის აუცილებელი საქმეები და მოვალეობები, რომლებიც თქვენს გატაცებას დროს ართმევს; როგორ უნდა მოიქცეთ, რომ ერთდროულად იყოთ ოცნების ერთგულიც და პასუხისმგებლიანი ადამიანიც - „იფრინოთ“ ისე, რომ „მიწა“ არ დაგეკარგოთ.

7. თავგაუტეხელი კაცი

(ქართული ხალხური ზღაპარი)

ერთი მოხუცებული კაცი ვენახს რწყავდა, თან ღვინოს შეექცეოდა. აიღო სავსე ჩარექა, ცერი ყურში გაუყარა და თავისი თავი ასე დალოცა:

- ღმერთო, დამასწარ მრავალ ამ დროს. ამ ხნის კაცი ვარ, ჯერ თავი ჩემთვის არავის გაუტეხნია და ნურც მივალ იმ ზომამდის, რომ ვინმემ გამიტეხოსო.

ერთი ჯეელი ბიჭი ყურს უგდებდა მოხუცის ლოცვას. აიღო თოხი და წყალი თავის ვენახს მიუგდო.

რა წყალი შეუწყდა მოხუცს, გაჯავრებული წყლის სათავისაკენ გაეშურა. სათავეში თოხით ხელში ვიღაც ყმაწვილი დაინახა, რომელსაც წყალი თავის ვენახში გადაეგდო, მოხუცი შეეკითხა:

- რატომ გადამიგდე წყალიო?

ახალგაზრდამ უთხრა:

- ჩემი ჯერიაო.

- რათა, კაცო, ჩემი ჯერი არ არიო?

- შენი ჯერი იყო. მაგრამ მე უნდა მოვრწყო ახლაო.

მოხუცმა რა შეატყო ახალგაზრდას - შარზეაო, უთხრა:

- კარგი და დღეს შენ მორწყე, შვილო, ხვალ კი მე მოვრწყავო!

ახალგაზრდამ უთხრა:

- ხვალაც მე მინდაო.

- კარგი და რაკი ხვალაც შენ გინდა, მე კიდევ ზეგ მოვრწყავო.

- არა, ზეგაც მე მინდაო.

- კარგი და რაკი ზეგაც შენ გინდა, მაზეგ მე მოვრწყავო.

ახალგაზრდამ ვერ იპოვა ჩხუბის მიზეზი. შერცხვა და უთხრა:

- ასეთი კაცი რომ ყოფილხარ, იმიტომ არ გაგტეხია თავიო, - და წყალი ისევ მოხუცის ვენახს მიუგდო.

სიტყვების განმარტება

თავგაუტეხელი - აქ: ადამიანი, რომელსაც კონფლიქტი არავისთან მოსვლია, რომლის ღირსებაც არავის შეულახავს.
შეექცეოდა - სიამოვნებით მიირთმევდა.
ჩარექა - აქ: თიხის ჭურჭელი, რომელშიც დაახლოებით ერთი ლიტრი ღვინო ეტევა.
ჯეელი - ახალგაზრდა, ყმაწვილი კაცი.
შარზეა - ჩხუბის საბაბს ეძებს, განგებ ცდილობს კონფლიქტის გამოწვევას.
მიუგდო (წყალი) - აქ: თოხით არხი გადაჭრა, წყალს მიმართულება შეუცვალა და თავისი ვენახისკენ მიუშვა მოსარწყავად.
ჯერი - რიგი. აქ: სარწყავი წყლის გამოყენების რიგი.
მაზეგ - ზეგინდელი დღის მომდევნო დღეს.



უპასუხეთ კითხვებს

1. რა იყო მოხუცის ლოცვის მთავარი შინაარსი?
2. რატომ გადაწყვიტა ახალგაზრდამ წყლის „გადაგდება“? რა იყო მისი ნამდვილი მიზანი?
3. რამდენჯერ დაუთმო მოხუცმა ახალგაზრდას? რა სიტყვებით უპასუხებს ყოველ ჯერზე?
4. როგორ ფიქრობთ, რატომ დაუთმო მოხუცმა ახალგაზრდას - შეეშინდა თუ შეგნებულად აირჩია სიმშვიდე? პასუხი დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.
5. როგორ ფიქრობთ, რატომ შერცხვა ახალგაზრდას - რა დაინახა საკუთარ თავში ისეთი, რამაც ეს ემოცია გამოიწვია?
6. რით დასრულდა დაპირისპირება?
7. როგორ ფიქრობთ, ამ ამბის მერე შეეცვლება თუ არა ახალგაზრდას დამოკიდებულება სხვა ადამიანების მიმართ? რატომ?
8. რას გვასწავლის ზღაპარი იმაზე, თუ როგორაა შესაძლებელი კონფლიქტის მოგვარება?

დააკვირდით

- მოხუცი ღმერთს სთხოვს: „ნურც მივალ იმ ზომამდის, რომ ვინმემ თავი გამიტეხოსო.“
  - ✓ როგორია იმ ადამიანის სულიერი მდგომარეობა, რომელიც უკიდურეს ზღვრამდე („იმ ზომამდე“) არის მისული? რატომ უფრთხის ამას მოხუცი?
  - ✓ როგორ ფიქრობთ, „თავის გატეხა“ ყოველთვის სხვისი ბრალია, თუ თავად ადამიანიც ისე უნდა მოიქცეს, რომ კონფლიქტი აირიდოს? პასუხი დაასაბუთეთ მაგალითით.
- მოხუცმა ყველაფერში დაუთმო ახალგაზრდას.
  - ✓ მოხუცი შესაძლოა გაბრაზდა, მაგრამ მოთმინება აირჩია. როდესაც ადამიანი თავად წყვეტს, როგორ მოიქცეს და არ ემორჩილება ემოციას, ეს სისუსტეა თუ სიძლიერე? რატომ ფიქრობთ ასე?
  - ✓ მოხუცი სიმშვიდითა და მოთმინებით იმარჯვებს. როგორაა ეს შესაძლებელი? მოიყვანეთ ერთი მაგალითი ლიტერატურიდან ან ცხოვრებიდან, რომელიც ადასტურებს ამ პერსონაჟის სიბრძნეს.
  - ✓ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ საბოლოოდ ახალგაზრდამაც გაიმარჯვა? პასუხი ახსენით.

წერითი დავალება

ზღაპარში მოხუცი კონფლიქტის ნაცვლად სიმშვიდეს ირჩევს და სწორედ ეს აღმოჩნდება მისი სიძლიერე.

დაწერეთ თხზულება სათაურით: **„როდესაც სიმშვიდე იმარჯვებს“,** რომელშიც ზღაპრის სათქმელს დააკავშირებთ თქვენს პირად გამოცდილებასთან. აღწერეთ სიტუაცია: როდის და სად მოხდა კონფლიქტი, რას გრძნობდით და რატომ აირჩიეთ სიმშვიდე ბრაზის ნაცვლად; რით დასრულდა კონფლიქტი. გადმოეცით, რატომ არის სიმშვიდის შენარჩუნება და საკუთარი თავის მართვა რეალური სიძლიერე.

გაითვალისწინეთ: თუ მსგავსი პირადი გამოცდილება არ გაქვთ, მოიყვანეთ მაგალითი სხვა ადამიანის ცხოვრებიდან, ფილმიდან, წიგნიდან ან თავად წარმოიდგინეთ და აღწერეთ მსგავსი სიტუაცია.

შეადარეთ

1. ილია ჭავჭავაძე თავის ნაწარმოებში „დამაკვირდი“ წერს:

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა:
სულგრძელობითა ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა ძლევასა“.

- ისაუბრეთ, რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ ამ ლექსსა და ზღაპარში მოყოლილ ამბავს შორის.

2. შეადარეთ ერთმანეთს დათა თუთაშხიასა და მოხუცის არჩევანი.

- დათამ მაღაზიაში რიგი არ დაუთმო თავხედ ქალს. ანდრიევსკიმ ეს პარადოქსად ჩათვალა, რადგან დათამ სიმკაცრე ამ ქალის სასიკეთოდ გამოიჩინა. მოხუცმა ყველაფერი დაუთმო ახალგაზრდას, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა. შეიძლება თუ არა პარადოქსი დავინახოთ მოხუცი კაცის ქცევაშიც? რატომ ფიქრობთ ასე?

- თქვენი აზრით, რომელი მიდგომა უფრო ამართლებს თავხედობის წინააღმდეგ ბრძოლაში - დათასი თუ მოხუცი კაცისა? რატომ ფიქრობთ ასე?

- როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა რომელიმე მათგანის (ან დათას, ან მოხუცის) ქცევა ნებისმიერ სიტუაციაში გამართლებული და სწორი იყოს? პასუხი ახსენით.

შემოქმედებითი დავალება

აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება:

დავალება 1.

არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანის პიროვნებას მის მიერ გაკეთებული არჩევანი განსაზღვრავს. დაწერეთ თხზულება, რომელშიც იმსჯელებთ, როგორ არის წარმოჩენილი ეს მოსაზრება მესამე თავში შესწავლილ ნაწარმოებებში (გამოიყენეთ, სულ მცირე, ორი ტექსტი).

ნამუშევარში:

- წარმოაჩინეთ, რა გარემოში უწვეთ პერსონაჟებს არჩევანის გაკეთება, რა სირთულეები ახლავს ზოგჯერ ამას (მაგ.: საზოგადოების წნეხი, დამკვიდრებული ჩარჩოები);
- ახსენით, რა არჩევანი გააკეთეს პერსონაჟებმა, რა მიიღეს შედეგად;
- ისაუბრეთ, როგორ გადააქცევს არჩევანი პერსონაჟს რომელიმე თვისების სიმბოლოდ (მაგ.: სიმტკიცის, მოხერხებულობის, თავგანწირვის, შეზღუდული აზროვნების);
- ჩამოაყალიბეთ, რას გვასწავლის პერსონაჟების გამოცდილება იმაზე, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ მართებული არჩევანი ჩვენს ცხოვრებაში;
- დაიმოწმეთ ტექსტებიდან მაგალითები თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად;
- გამოკვეთეთ სამი ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა, რომელშიც შეაჯამებთ თქვენს მოსაზრებებს;
- გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

დავალება 2.

მოამზადეთ 5-7-წუთიანი პრეზენტაცია სათაურით: **„არჩევანი - ადამიანის ნამდვილი სახე“** მესამე თავში შესწავლილ ნაწარმოებებზე დაყრდნობით. ამისთვის შეარჩიეთ და გამოიყენეთ ის ნაწარმოებები, რომლებიც, თქვენი აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს თქვენს სათქმელს.

ნამუშევარში:

- იმსჯელეთ, რა გვხდის ჩვენ იმად, ვინც ვართ - გარემოება (პირობები ან სიტუაცია, რომელშიც აღმოვჩნდით) თუ არჩევანი (ჩვენი საპასუხო გადაწყვეტილება ან მოქმედება);
- ისაუბრეთ, თქვენი აზრით, რომელმა პერსონაჟებმა გააკეთეს სწორი არჩევანი და რა თვისებები დასჭირდათ ამისთვის;
- გადმოეცით, როგორ არის შესაძლებელი, რომ არც ჩვენს არჩევანსა თუ ოცნებებზე ვთქვათ უარი და არც ყოველდღიური საზრუნავი დავივიწყოთ;
- ისაუბრეთ, რომელი პერსონაჟის არჩევანი მიგაჩნიათ ყველაზე საინტერესოდ და რატომ;
- დაიმოწმეთ კონკრეტული ადგილები ნაწარმოებებიდან თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად;
- მოიყვანეთ, სულ მცირე, ერთი შესაბამისი მაგალითი რეალური ცხოვრებიდან, მედიიდან ან ისტორიიდან.

პრეზენტაციის გასაფორმებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ თავში შესწავლილი სიმბოლოების ვიზუალური გამოსახულებები, მაგალითად: ცა, ნაპირი/ მიწა, ზღვარი, „დიდი წყალი“ (ზღვა, მდინარე) ან სხვა.

QR-კოდები ციფრული მასალებისთვის

I თავი. სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!

ნიკო ლორთქიფანიძე - მოუარეთ საქართველოს.

ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“

ლადო ასათიანი - საქართველოში

ლექსის აუდიოჩანაწერი

ილია ჭავჭავაძე - ბაზალეთის ტბა

ლექსის აუდიოჩანაწერი



აკაკი წერეთელი - ხატის წინ

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

ანა კალანდაძე - საქართველოო ლამაზო

სიმღერის აუდიოჩანაწერი

II თავი. ცოდნის გზაზე

გადაცემა დავით გურამიშვილზე

ივანე ჯავახიშვილი - საჯარო გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში



III თავი. ადამიანის არჩევანი

სულხან-საბა ორბელიანი - მეფე და მხატვარი (ადაპტირებული)- ქვიშაზე ხატვა

გოდერძი ჩოხელი - ცასწავალა

მოთხრობა „ცასწავალას“ რადიოინსცენირება



ქართული მწერლობა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა, როგორც ჩვენი ხალხის სულიერი საგანძური, სიბრძნისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის სიმბოლო. ძველი ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან დაწყებული, „ვეფხისტყაოსნითა“ თუ მოგვიანო ხანის შედევრებით დასრულებული, ლიტერატურა ყოველთვის წარმოგვიჩენდა ქართული სიტყვის სილამაზესა და ქართველი ხალხის მთავარ ფასეულობებს - მეგობრობას, სამშობლოს სიყვარულსა და სიმართლის ძიებას. ეს სახელმძღვანელო სწორედ ამ დიდებულ სამყაროში სამოგზაუროდ გიწვევთ.

ამ გზაზე ერთ-ერთი გამორჩეული ეპოქა მეფე ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელებს უკავშირდება. მათი მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა ქართული კულტურის აღორძინების საფუძვლად იქცა. ვახტანგ მეფის დავალებითა და უშუალო მონაწილეობით სულხან-საბამ არაერთი სახელმწიფოებრივი და კულტურული საქმე აღასრულა, რითაც საფუძველი ჩაუყარა განმანათლებლობის ახალ ტალღას საქართველოში. მის კალამს ეკუთვნის იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ და „ლექსიკონი ქართული“, რომელსაც ვახტანგ VI-მ სიყვარულით „სიტყვის კონა“ უწოდა.

ყდაზე გამოსახული ეს ორი დიდი მოღვაწე შეგვახსენებს, რომ ლიტერატურა არის ცოცხალი და უწყვეტი პროცესი, როდესაც ცოდნა, შრომა და მეგობრობა ქვეყნის საკეთილდღეოდ ერთიანდება.



9 789941 889059

26.02.7.1.1